დინამო

№ 129
(12 199)

4 ივნისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუზია და რეალობა

შაბათს, კაუნასში. გოლი საქართველოს ნაკრების კარში

ავტორის ფოტოები



კლაუს ტოპმიოლერი: ბიჭების თამაშით ჰმაყოფილი დავრჩი

პაატა თოთაძე
კაუნასიდან

გაგიკვირდებათ და, აქ, ლიტვაში, საკუთარი გუნდის წარმატებისა უფრო ნაკლებად სჯეროდათ, ვიდრე საქართველოში. ფეხბურთი აქ დიდად პოპულარული არ არის, მაგრამ სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს საქართველო ლიტვაზე გაცილებით ძლიერ გუნდად მიაჩნდათ. და, უნდა გენახათ, ადგილობრივების გაკვირვება და სიხარული, როცა ასეთი "ძლიერი" გუნდი დაამარცხეს. სიმართლე გითხრათ, თავიდან მეგონა, დიპლომატიას იჩენენ, ასე რომ საუბრობენ-მეთქი, მაგრამ მერე და მერე აღმოჩნდა, რომ მართლა ასე ფიქრობდნენ. მიზეზი კი ავტორიტეტები - **კალაძე, კობიაშვილი** და **ხიზანიშვილი** იყვნენ. სერია A, ბუნდესლიგა და პრემიერლიგა აქ მაგიური სიტყვებია. ამათი წარმოდგენით, იქ მოთამაშეებს მოედანზე სასწაულების მოხდენა შეუძლიათ. ჰოდა, ასეთი რამ რომ ვერ ნახეს, დიდად გაკვირვებულები დარჩნენ, ყველას აქვს ჩავარდნა, ეტყობა ეგ გჭირთ, თორემ მოიგებდითო.

ლიტვაში მოთამაშე **აკაკი ხუბუტიას** უთქვამს თამაშამდე ჩვენებისთვის, დიდი არაფერი გუნდია, მოთამაშეებიც საშუალო დონისანი არიან, მაგრამ ხანდახან ისეთ რამეებს აკეთებენ გაგიკვირდება, ერთს გაიტანენ და მორჩა, სულ დაცვაში არიან, ჰოდა, მთავარია არ გაიტანონო.

გახსოვთ ტოპმიოლერის სიტყვები? ფრანკფურტში იმიტომ ვვარჯიშობდით, უცხო თვალს არ ენახა, რას ვაკეთებდით და ჩვენი კოზირები არ შეესწავლაო. ისიც თქვა მწვრთნელმა, სტანდარტულების შესრულებაზე ვიმუშავეთ ბევრი, მეტოქის ხარვეზებიც ვიცით და მათ გამოყენებას შევეცდებითო. რას გულისხმობდა ტოპმიოლერი, გაუგებარი დარჩა. არანაირი სიახლე გუნდის თამაშში არ შეინიშნებოდა. გაუგებარი დარჩა ისიც, თუ რატომ ჰქონდა გადაწყვეტილი მწვრთნელს **ოთარ მარცვალაძის** შეყვანა მოედანზე მეორე ტაიმში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი თამაში და ანგარიში იქნებოდა. არადა, ეს გადაწყვეტილი იყო და ვინ იცის ეგებ ისიც გადაწყვეტილი იყო, რომ ის **ზურაბ მენთეშაშვილის** მაგივრად უნდა შესულიყო. არადა, ზურამ გუშინ საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა, განსხვავებით მარცვალაძისგან, რომელსაც არც პასები გამოსდიოდა კარგი და მატჩის ბოლოს ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტადაც დაარტყა. აშკარაა კიევის "დინამოში" უთამაშებლობამ ნიჭიერ ფორვარდზე უარყოფითად იმოქმედა და ეს ყველაზე უკეთ მწვრთნელს უნდა სცოდნოდა.

მაღალ მცველებთან ძალიან გაუჭირდათ **იაშვილს** და **დემეტრაძეს**. თუმცა იაშვილი რამდენიმეჯერ მაინც დაემუქრა მეტოქის კარს და თანაგუნდელებიც გაიყვანა კარგ პოზიციაზე. პირველ ტაიმში სწორედ მისი დარტყმული მოხვდა ძელს, მანამდე კი დემეტრაძეს კარგი პასი მიანოდა, მაგრამ ბოლო მომენტში იყოჩაღა მცველმა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი საჯარიმო მოედანში, ძალიან ხელსაყრელი პოზიციდან ააცილა კარს.

აშკარაა, გუნდს შემტევი პოტენციალი აკლია. ბევრი იმოძრავა დემეტრაძემაც, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა **მალხაზ ასათიანის** საჭიროებაში. და, ერთიც: მაღალ მცველებთან ჭიდილში ჩვენებმა მეტოქის საჯარიმოში, თუ არ ვცდები, ერთი ბურთიც ვერ მოიგეს. მწვრთნელები და თავად ფეხბურთელები ძალიან აქებენ **ლევან მჭედლიძეს**. ამ ჭაბუკს სიმაღლეც აქვს, ჯანიც, ფეხითაც კარგად თამაშობს და თავითაც. თუმცა იმ დროს, როცა ის დამტვრეულია, წინ კი იაშვილის და დემეტრაძის გარდა არავინაა (უთამაშებელი მარცვალაძის გარდა), შესაძლებელია **სანდრო იაშვილის** გამოძახება. ბუნებრივია, თამაშის მერე მომხდარზე საუბარი ადვილია, მაგრამ, ვფიქრობთ, ტანმაღალ ლიტველებთან მეორე სართულზე ჭიდილი სანდროს შეეძლო.

მეტს მოველოდით კობიაშვილისგან. ჩანს არც ისაა ჯერჯერობით სასურველ ფორმაში. პირველ ტაიმშიც და მეორეშიც მეტოქის საჯარიმოში შესულმა დარტყმა ვერ მოახერხა მცველებთან ჭიდილში. **ცქიტიშვილიც** ვერ ახერხებდა თამაშის გამწვავებას და მოედანიც ნერვებმოშლილმა გინებით დატოვა. ყვითელი ბარათების გამო ორივეს მოუწევს საფრანგეთთან მატჩის გამოტოვება და მათთან ერთად დემეტრაძესაც, სიმულანტობისთვის რომ აიკიდა ყვითელი ბარათი პირველი ტაიმის მიწურულს. იმ ეპიზოდში მსაჯმა ქართველი ფორვარდი საჯარიმოში განზრახ ნაქცევისთვის დააჯარიმა, მანამდე კი იყო მომენტი, როცა მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი დემე აშკარად ნააქციეს. კიდევ ერთი საკამათო ეპიზოდი მეორე ტაიმის მიწურულს დაფიქსირდა, ამჯერად ლიტველმა მცველმა მარცვალაძესთან ორთაბრძოლაში ითამაშა ხელით საკუთარ საჯარიმოში.

მიმოხილვა, პრესკონფერენცია და გამოხმაურება 2-3

ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები უკვე თბილისშია

სეგრეტის მეგობარი საესი

ინიაკის ჩვენებიდან მარტო ლევან ყენია გაუგია. ესპანელთა მწვრთნელის აზრით, ფავორიტს მხოლოდ თამაში გამოაჩენს 4

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE





გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვა-საქართველო 1:0

02.06.2007. კაუნასი. დარიუსი და გირენასი. 6 000 მაყურებელი

1:0 მიკოლაიუნასი (78)

ლიტვა: კარჩემარსკასი, კლიმავიჩუსი, პაულაუსკასი, შემბერასი, სკერლა, სტანკიავიჩუსი, ჟვირგჟდაუსკასი, მორინასი (62. მიკოლაიუნასი), სავენასი (55. კალონასი), ბენიუსისი (75. ლაბუკასი), დანილიავიჩუსი.

სათადარიგოები: გრიბაუსკასი, ალუნდერისი, ივაშკევიჩუსი, რაძინევიჩუსი.

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, კალაძე, ხიზანეიშვილი, ელიავა, კობიაშვილი, კვირკველია, მენთეშაშვილი (64. მარცვალაძე), ცქიტიშვილი (80. მუჯირი), დემეტრაძე, იაშვილი.

სათადარიგოები: ჭანტურია, სალუქვაძე, შაშიაშვილი, ბურდული, კანკავა.

გაფრთხილება: დემეტრაძე (35), ხიზანიშვილი (45), კობიაშვილი (53), ცქიტიშვილი (73), მიკოლაიუნასი (79), კარჩემარსკასი (90)

არბიტრი: კლაუდიო ჩირკეტა (შვეიცარია)

სტატისტიკა

4 (2)	დარტყმა	3 (1)
9	ჯარიმა	8
8	კუთხური	4
2	თამაშგარე	2
44%	ბურთის ფლობა	56%

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	6	5	0	1	14-2	15
2. იტალია	6	4	1	1	11-6	13
3. უკრაინა	6	4	0	2	8-6	12
4. შოტლანდია	5	4	0	1	11-6	12
5. ლიტვა	6	2	1	3	4-5	7
6. საქართველო	7	2	0	5	13-13	6
7. ფარერები	6	0	0	6	2-25	0

მომავალი ტური

6 ივნისი, ოთხშაბათი

საფრანგეთი-საქართველო

ლიტვა-იტალია

შოტლანდია-ფარერები

კალაძე ჩვენებისგან საუკეთესო იყო. თამაშის ბოლოს კაპიტანი შეტევებშიც გადადიოდა

დემეტრაძის წაქცევისთვის მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა

ილუზია და რეალობა

პირველი გვერდიდან

ჩინებულად გამოიყურებოდა **კახა კალაძე,** მიუხედავად იმისა, რომ ფეხი დაუცდა ცუდ დროს და გოლი გაგვიტანეს. იმ ეპიზოდში **ხიზანიშვილმა** დატოვა უკონტროლოდ ზონა, ვერც **ხიზანეიშვილმა** ივარგა და მათი შეცდომის გამოსწორებას შეეცადა კაპიტანი. მანამდე კი არაერთხელ განმუტტა სახიფათო მომენტი ჩვენს კართან, ერთხელაც **სავენასის** დარტყმულს ჩაუწვა, თორემ ვინ იცის, ანგარიში ეგებ ადრეც გახსნილიყო. საერთოდაც შეტევაში წასული მცველების უკან დროულად დაბრუნება ჩვენთან რატომღაც ჭირს. მარცხნივ მოთამაშე **ელიავა** თავდაჯერებული იყო, საკუთარი კარის სიახლოვეს დრიბლინგსაც არ ერიდებოდა, შეტევებშიც კარგად ერთვებოდა, მაგრამ ეპიზოდებში უკან დროულად ჩასვლას ვერ ახერხებდა. **კვირკველიამაც** ვერ ითამაშა კარგად, რამაც, საერთო ჯამში, ლიტველებს ამ ფრთაზე შეტევის საშუალება მისცა. კალაძის ყოფნამ დაცვის თამაში შედარებით საიმედო გახადა, მაგრამ ტოპმიოლერს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, რადგან პრობლემები დაცვაში ისევ მრავლადაა.

კარგი იყო **გიორგი ლომაია**. მართალია, მატჩის დასაწყისში შეცდა, მაგრამ მერე უკვე თავდაჯერებული იყო და არაერთხელ იხსნა გუნდი გოლისგან **დანილევიჩიუსისა** და **ბენიუსის** დარტყმების შემდეგ. სხვათა შორის ამ ეპიზოდებშიც ლიტველებმა თავით თამაშში გვაჯობეს.

საერთოდ, თამაშს იგებს სტაბილურობა და მაღალი სათამაშო დისციპლინა, რაც თავისთავად იწვევს შეცდომების შემცირებას. ტოლ-სწორი მეტოქეების თამაშისას კი იგებს ის, ვინც ნაკლებ შეცდომას უშვებს. ამ შეხვედრაში ასეთად ლიტვა მოგვევლინა, რომელმაც დაცვაში არაერთი შეცდომა დაუშვა და ქართველებს შეტევისას სწორი გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, ანგარიში სხვაგვარი იქნებოდა. მატჩის ბოლოსკენ კალაძეც არაერთხელ ჩაერთო შეტევაში, სტანდარტულების გათამაშებისას კი მუდამ იქ ტრიალებდა, თავით რომ მოეგო ბრძოლა. კიდევ ერთი, რაც გამოარჩევდათ ლიტველებს, სწრაფი კონტრშეტევები იყო, საკუთარი საჯარიმოდან მომენტალურად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ჩვენი კარის სიახლოვეს.

ახლა მნიშვნელობა არ აქვს რას დაარქმევენ ამას, შეცდომას, უცოდინრობას, შესაძლოა, ვინმემ სხვა რამეც დაარქვას, მთავარია, ტოპმიოლერმა მოუძებნოს ზუსტი ახსნა, რომ მერე მისი ნამლობა შეძლოს, თორემ რა გამოდის - თითქოს ნორმალურად ვთამაშობთ, მომენტებსაც ვქმნით ასე თუ ისე, გოლი კი ვერ გაგვაქვს. ლიუბინსკასმა კი დანაპირები შეასრულა - ქართველების დამარცხების დრო დაგვიდგაო, მატჩამდე "ლელოსთან" საუბარში განაცხადა.

ქართველი ფანები კაუნასის სტადიონზე

ავტორის ფოტოები

იაშვილი და მარცვალაძე ბურთისთვის ბრძოლაში

P.S. **გუშინ, დილით, საქართველოს ნაკრებმა ივარჯიშა და გეზი ფრანკფურტისკენ აიღო. იქიდან დღეს, შუადღისას, პარიზში ჩავლენ, საიდანაც ავტობუსით ოსერში გაემგზავრებიან.**

მატჩის შემდეგ



კლაუს ტოპმიოლერი

კლაუს ტოპმიოლერი:

- ლიტვის ნაკრებმა წინა მატჩებთან შედარებით დღეს უკეთ წარმოაჩინა თავი. ვფიქრობ, პირველ ტაიმში მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა ლიტველთა კარში. მართალია, წავაგეთ, მაგრამ, საერთო ჯამში, ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. დღეს იღბალმა ლიტვას გაუღიმა...

- ტაქტიკურად სწორად ვითამაშეთ, ვერ შევძელით მხოლოდ შეტევების ზუსტად დაგვირგვინება და გვაკლდა სისწრაფე შეტევებში...

- არ მიმაჩნია, რომ ამ წაგების შემდეგ ცხრილში უფრო მაღალი ადგილის დაკავებას ვერ შევძლებთ, წინ კიდევ ბევრი მატჩი გვაქვს, უმეტესობა შინ...

- ლიტვამ საკმაოდ კარგად ითამაშა. ეს იყო ორი, ერთნაირი დონის გუნდის საკმაოდ საინტერესო თამაში.

ალგიმანტას ლიუბინსკასი:

- ახლა მიჭირს თამაშის კომენტირება. მთავარია, რომ ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს მივაღწიეთ. დაცვაში სათამაშო დისციპლინა მოიკოჭლებდა და კიდევ კარგი, რომ ქართველებმა ამით ვერ ისარგებლეს. ჩვენ კი ჩვენი შანსი გამოვიყენეთ, მიკოლაიუნასმა ორი მცველი დაანვინა და ისე გაიტანა გოლი.

- საქართველოს ნაკრები ძალიან ტექნიკური გუნდია. ამ კომპონენტში მათ ვერ გავეჯიბრებოდით და პრაგმატული ფეხბურთი ავირჩიეთ. თუმცა საკმაოდ სანახაობრივი თამაში გამოვიდა. საკმაოდ სერიოზულად ვემზადებოდით მატჩისთვის.

- თანაბარძალოვანი მეტოქეების ჭიდილში მთავარია, მეტოქეს არც ერთი წამით არაფერი დაუთმო.

- ჩემს გუნდში კარი ყველასთვის ღიაა, ასე რომ, ვინც დღეს არ ითამაშა, ან ღირსი არ იყო, ანაც თავად არ სურდა თამაში.

- იტალიასა და საფრანგეთს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენები მეტ-ნაკლებად ერთნაირი დონისანი არიან. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ფარერებს.

- მსაჯმა ბევრი დაამატა, მაგრამ საერთო ჯამში, მისი ქმედებით კმაყოფილი ვარ.

- ცხრილში კიდევ შეიცვლება ბევრი რამ. ადვილი შესაძლებელია საქართველომ გადაგვისწროს, არც ისაა გამორიცხული, შოტლანდია ჩამოქვეითდეს ან უკრაინა.

- თუ რამე არ მოხდებოდა, შეცვლების გაკეთებას მეორე ტაიმში ვაპირებდი. მიკოლაიუნასის შემოყვანა მატჩამდე მქონდა გადაწყვეტილი, თუკი მანამდე ბევრ გოლს არ გავიტანდით, რისი შანსიც ძალიან მცირე იყო.

- აღდგენითი პროცესის გეგმა შედგენილი გვაქვს და იმედია, იტალიასთან მატჩამდე ბიჭები მოახერხებენ ძალების აღდგენას.

ზურაბ ხიზანიშვილი: - დასანანი მარცხი განვიცადეთ. არ იყო წასაგები თამაში, მაგრამ იღბალმა არ გაგვიღიმა. ერთიცაა, გასატანი უნდა გაიტანო, როცა ამის შესაძლებლობა გეძლევა.

ლევან კობიაშვილი: - არც კი ვიცი, რა გითხრათ, რაშია საქმე. თითქოს დათარსულები ვართ, მომენტებს ვქმნით, მაგრამ ვერ ვიყენებთ. ძალიან დასანანი მარცხი ვინვნიეთ, თამაშს თითქოს ჩვენ ვაკონტროლებდით, მეტოქეზე უკეთ ვმოქმედებდით, მაგრამ...



• ალგიმანტას ლიუბინსკასი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სად არის დანაპირები?

სად არის მეორე ნაკრები, სად არის მწვრთნელთა საბჭო?

წავაგეთ, ისევ გასკდა გული და დაიმსხვრა იმედები, წავაგეთ იმ ლიტვასთან, რომელთან მოგებაც სავსებით რეალური ჩანდა. მომენტებიც გვქონდა, მსაჯმა ორჯერ პენალტი არ დაგვინიშნა (ისე, კალაძის ხელზეც დახუჭა თვალი), მაგრამ მთავარი ტაბლოზე დაფიქსირდა: მოიგო ლიტვამ...

მატჩამდე, **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ გამოძახებული 26 მოთამაშიდან ამა თუ იმ კლუბის ძირითადში მხოლოდ ექვსმა (?!) ითამაშა. მათგან ერთი, **შოთა არველაძე**, ნაკრებს ლიტვა-საფრანგეთში ვერ გაჰყვა. ტოპმიოლერი გამოცდილი მწვრთნელია და ყოველთვის აფიქსირებდა - უთამაშებლებს ჩვენთან არაფერი ესაქმებათო. ლიტვასთან სამი ასეთი ფეხბურთელი - **ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი დემეტრაძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი** (თუმცა ეს უკანასკნელი "ფრაიბურგში" შეცვლაზე მაინც თამაშობს და სათამაშო პრაქტიკა ასე თუ ისე აქვს) ძირითადში მოხვდა. ანუ, რატომღაც, ცნობილი სპეციალისტი საკუთარ სიტყვას არ ასრულებს.

ხიზანიშვილი 24 მარტს შოტლანდიაში დაშავდა და მას შემდეგ, პირველი შეხვედრა კაუნასში ჩაატარა. დემეტრაძე დონეცკის "მეტალურგის" ძირითადში დიდი ხანია აღარ გამოდის. ის იშვიათი გამონაკლისია და საკლუბო კარიერაში პრობლემების მიუხედავად, ნაკრებში ყოველთვის მოტივირებულია. ასე იყო კაუნასშიც, მაგრამ მას და ხიზანიშვილს, ელემენტარულად, ძალა არ ეყოთ. ეს ფეხბურთელების ბრალი არაა. ისინი ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, ტრავმა და უთამაშებლობა დაღს ასვამს და საკუთარ პოტენციალს ყოველთვის ვერ გამოამჟღავნებენ.

ასევე იყო **ოთარ მარცვალაძის** შემთხვევაში, რომელმაც მკურნალობა გაზაფხულზე დაასრულა და მას შემდეგ, მხოლოდ კიევის "დინამოს" დუბლებში თამაშობს. მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს, კონკრეტულ მატჩში გუნდისთვის უფრო სასარგებლო რომელი ფეხბურთელია და რომელს შესწევს ძალა, შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატაროს, თორემ ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, დემეტრაძე და მარცვალაძე ნაკრებს რომ სჭირდებიან, ორი აზრი არ არსებობს.

კი ბატონო,.ვიძახოთ, რომ ტოპმიოლერი მაღალი დონის სპეციალისტია და ეს ყველამ ვიცით, მაგრამ საფრანგეთთან, შოტლანდიასა და ლიტვასთან მის მიერ დაშვებული შეცდომები ფაქტის კონსტატაციით ვერ გამოსწორდება. ვის მოუტრიალდებოდა ენა და იტალიასთან წაგების შემდეგ ფეხბურთელებს გულგრილობას დაბრალებდა? მოთამაშეებმა გული და სული ჩადეს თამაშში, მაგრამ კაცნაკლულებმა მსოფლიო ჩემპიონს ვერაფერი დააკლეს. ლიტვასთან კი "ჯვაროსნები" ამაზრზენად უნიათოდ გამოიყურებოდნენ და ჩვენ სწორედ ეს გვადარდებს. ტოპმიოლერის პრობლემა ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან მოთამაშეს ნაკრებში თითქმის არ ანინაურებს და საჭირო დროს, გამოცდილი ლეგიონერების შემცვლელი არ ეგულება. მთავარ სათქმელს მივადექით და კონკრეტული მოთხოვნებიც დავასახელოთ.

2006 წლის დეკემბრის ბოლოს თითქოს გადაწყდა, რომ მეორე ნაკრები და მწვრთნელთა საბჭოს უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამ იდეას თავად ტოპმიოლერიც ემხრობოდა. იყო დაპირებები და კონკრეტული პასუხიც - ალტერნატიული ნაკრების პრეზენტაცია 6 თებერვალს, თურქეთის მეორე ნაკრებთან თამაშისთვის დაინიშნა.

ჩვენდა მოულოდნელად, მეზობლები ახალგაზრდული გუნდით გვესტუმრნენ და მას ასევე ახალგაზრდული ნაკრები დავახვედრეთ. მას შემდეგ, საქართველოს მეორე ნაკრების შესახებ არაფერი გვსმენია და, გულახდილად რომ ვთქვათ, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ტოპმიოლერი ამ საკითხზე აღარც ფიქრობს. თუ ფიქრობს, დაპირებები უნდა შეასრულოს და ამ ნაკრებს თავი მოაბას.

ამხანაგურ მატჩში კლაუსი ერთ ფეხბურთელს მაინც შეარჩევს. ხშირად ვამბობთ, რომ ესა თუ ის მოთამაშე გასინჯვას მაინც იმსახურებს, მაგალითად - **სანდრო იაშვილი, დავით დიღმელაშვილი, დავით ოდიკაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი ფიფია, ლექსო კვახაძე**... ამათგან ერთიც თუ არ ივარგებს, მაშინ მართლა დასახური ყოფილა საქართველოს ჩემპიონატი და რაღას ვწვალობთ ამდენს? ის, რომ თითქოს ერთ-ერთი მათგანის მიწვევა სურდათ, მაგრამ რომელიღაც ღამის კლუბში სიგარეტით ნახეს, ან კიდევ სანდრო იაშვილს რომ მინი-ფეხბურთის თამაშის დროს წაასწრეს, მყარი არგუმენტები არ არის და ამას დასაბუთება უნდა. ისე, სიგარეტს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ფეხბურთელი არ უნდა ეწეოდეს, მაგრამ ცნობილი ამბავია, რომ გერმანიის ნაკრების მეკარე **ანდრეას კიოპკე** "აინტრახტში" თავად ტოპმიოლერის თანდასწრებით ეწეოდა...

სანდრო იაშვილზე კი რა გითხრათ... "ბენდელას თასი" მინი-ფეხბურთის ტურნირია და ოდითგანვე, იქ ლამის მთელი ნაკრები თამაშობდა, მაგრამ ეროვნულიდან არავინ დაუთხოვიათ. იაშვილს დავანებოთ თავი, აგერ, **კახა კალაძეს** სეზონი ბათუმის პლაჟზე გართობის დროს მიღებული ტრავმის გამო ჩაუვარდა. არ ვათამაშოთ კალაძე ნაკრებში?

...მაგრამ დავუბრუნდეთ მწვრთნელთა საბჭოს. ეს, ჯერაც არშექმნილი ორგანო, ყველა ასაკის ნაკრების მწვრთნელს სელექციაში უნდა ეხმარებოდეს. ამით, ტალანტების მოძიების ჩინებული პროექტი, რასაც **ჰერბერტ ცანკერმა** მოაბა თავი, და გარკვეული დოზით **პეტარ სეგრტიც** აკეთებს, კიდევ უფრო ეფექტური გახდება.

და, რაც მთავარია: ეროვნულ გუნდში დაუმსახურებლად გამოძახებულებს საბჭო ვეტოს დაადებს. რა უშლის ხელს ტოპმიოლერს და რატომ ვერ შეკრიბა ქართველი მწვრთნელები, რომელთაც ერთი სული აქვთ, სახელგანთქმულ გერმანელ სპეციალისტს თუნდაც ხელი ჩამოართვან? მოტივი უცნობია.

საქართველოს ჩემპიონატისა და ქართველი მწვრთნელების აზრის ასე კატეგორიულად იგნორირება აღარ შეიძლება. ერთხელ მაინც ათამაშონ ეს მეორე ნაკრები და გვეცოდინება, ვინაა ადგილობრივი მასშტაბის "ლომი" და ვინ - რეალურად პერსპექტიული მოთამაშე.

დაბოლოს, ნაკრებს სახელზე დამშეული მოთამაშეები სჭირდება და სწორედ მათშია მოსაძებნი "ახალი სისხლი". მით უფრო, როცა ტრავმირებულთა და უთამაშებელთა რაოდენობა ახლების გამოცდის საშუალებას იძლევა.

მერაბ მამულაშვილი



კლაუს ტოპმიოლერი ლიტვასთან მატჩის დროს

არიოლ-რეშკა

ესლა დარჩა ტოპისგან?

ARასოდეს დამავიწყდება 2001 წლის 2 ივნისი. მაშინ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ნაკრები იტალიას მასპინძლობდა. უწინდელ ჰიმნ "დიდებაში" იყო ფრაგმენტი, რომელიც პაუზით მთავრდებოდა და ეს პაუზა, ხშირად, ფეხბურთელებსა თუ გულშემატკივრებს ჰიმნის დასასრული ეგონათ. ასე მოხდა იმ მატჩის წინაც: ჰიმნი დამთავრებული ეგონათ მატჩის არბიტრს და გუნდების კაპიტნებსაც, და როცა "დიდება" გაგრძელდა, მსაჯი და კაპიტნები უკვე "არიოლ-რეშკათი" იყვნენ დაკავებულნი. რა თქმა უნდა, როცა ნაკრები საკუთარი ჰიმნის დროს "არიოლ-რეშკას" თამაშობს, განწირულია. ის მატჩი 1:2 წავაგეთ...

წლევანდელი 2 ივნისის ლიტვა-საქართველო ტელეეთერით ვნახეთ, მაგრამ ვერ ვნახეთ ჩვენი გუნდი საქართველოს ჰიმნის დროს - რეპორტაჟი მაშინ დაიწყო, როცა კაუნასის სტადიონზე უკვე მასპინძელთა ეროვნულ ჰიმნს უკრავდნენ...

"არიოლ-რეშკა" კი ახლა **კლაუს ტოპმიოლერმა** ითამაშა. ერთბაშად რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოიყვანა, ბოლო დროს თავიანთ კლუბებში სათამაშო პრაქტიკა რომ არ ჰქონიათ - **ზურაბ ხიზანიშვილი, ზაალ ელიავა, გიორგი დემეტრაძე, ოთარ მარცვალაძე**...

"არიოლ-რეშკას" თამაში მატჩის სიუჟეტის მიხედვითაც გაგრძელდა: გაშვებული გოლის შემდეგ, **კახა კალაძე** დაცვიდან... თავდასხმაში გადაწიეს. კალაძე ფორვარდი მაშინ იყო, საქართველო 16-წლამდელთა ნაკრებში რომ თამაშობდა, მას აქეთ მცველია, მაგრამ 13 წლის შემდეგ, ტოპიმ ის ისევ თავდასხმაში დააბრუნა. მაღალი ბურთები კალაძისკენ - ამ პრიმიტიულმა ხერხმა არ გაამართლა, კახამ შეტევაში ერთი საჰაერო ორთაბრძოლაც ვერ მოიგო...

თურმე, ტოპისთვისაც საჭირო ყოფილა ისეთი ცენტრფორვარდი, მაღალი ბურთის მოგება რომ შეუძლია. როცა გუნდი სხვანაირად ვერაფერს ახერხებს, დაცვაში გამაგრებული მეტოქის ნახევარზე თავისუფალ სივრცეს ვერ ქმნის, პრიმიტიული ტაქტიკა - ბურთის ჩაგდება მოწინააღმდეგის საჯარიმოში და საჯარიმოსთან - ხანდახან ეფექტურია.

დინამოელი **სანდრო იაშვილი** უმაღლესი კლასის ფორვარდი ჯერ ვერ არის, მაგრამ ამის გამო, მისთვის ნაკრების კარის ჩარაზვა, თანაც მაშინ, როცა ნაკრებს ცენტრფორვარდი ფიზიკურად არ შემორჩა, მართლაც გაუგებარია. ღმერთმა უწყის, როგორ ითამაშებდა სანდრო ლიტვასთან, მაგრამ შეტევაში მაღალი ბურთის მოგების სხვაზე მეტი შანსი რომ ექნებოდა, ამის დაჯერება ძნელი არ უნდა იყოს...

ტომპიოლერისთვის თითქოს ახირებად იქცა უთამაშებელი ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახება. ეს მეთოდი არ ამართლებს, ამან მხოლოდ ერთხელ მოუტანა ხეირი ნაკრებს, როცა დემეტრაძემ შოტლანდიასთან პირველ ტაიმში ჩანებულად ითამაშა. მერე ლიტვასთანაც გაიბრწყინა რამდენიმე ეპიზოდში, მეორე ტაიმში კი მეტოქის დაცვას ვერც ხელს უშლიდა და შესაბამისად, ვერც ნერვებს.

თამაშის რიტმში ვერანაირად ვერ ჩაჯდა მარცვალაძე, აკლდა ის ალღო და თავდაჯერება, რაც მხოლოდ სათამაშო პრაქტიკას მოაქვს. ნუთუ ტოპმიოლერი შინაგანად ვერ გრძნობს ფეხბურთს? მაშინ, როგორღა არის ის კარგი მწვრთნელი? ალბათ, ტოპი უფრო საკლუბო მწვრთნელია, ვიდრე სანაკრებო. ის საქართველოს ნაკრებშიც იმ მოდელის შექმნას ცდილობს, რაც თავის დროზე "ლევერკუზენში" მართლაც დიდებულად გამოუვიდა, მაგრამ ჯერ არ გამოსდის საქართველოს ნაკრებში და ჯერ არასდროს უცდია განსხვავებული სტილით თამაში. ამასობაში კი, ჩვენი უპირველესი გუნდი ევროშესარჩევში ყველასთან მარცხდება და ქულებს მხოლოდ ფარერებთან აგროვებს. ტოპმიოლერმა ლიტვასთანაც აქტიური, შემტევი ფეხბურთი აირჩია და მისმა გუნდმა ტაქტიკურადაც წააგო მატჩში. ლიტვამ უფრო მეტი საგოლე მომენტი შექმნა და გაიმარჯვა, თორემ ბურთის ფლობის ოსტატობასა და ხანგრძლივობაში არც კი უცდია ქართველებთან გაჯიბრება. ეს იყო მარცხი, როცა მწვრთნელი თავს ვერაფრით გაიმართლებს. ეს იყო მეხუთე მარცხი ამ შესარჩევში და არ გვგონია, ეს მყარი არგუმენტებით გაამართლოს ტოპმიოლერმა.

6 ივნისს, საფრანგეთთან თამაშს კარგი პირი არ უჩანს. ტოპმიოლერისგან განსაკუთრებულ ნოვაციებს უკვე აღარ ველით, თუმც ძალიან საინტერესოა, რას დაუპირისპირებს ის ფრანგებს, როგორ, რა პრინციპით ააგდებს "არიოლ-რეშკას", რამეთუ მის ხელში ნაკრების განვითარების და წინსვლის სტრატეგიას ჯერ ვერ ვხედავთ. ჰერ კლაუსის სამწვრთნელო შტაბი ასაკობრივ ნაკრებებში გარკვეული გეზით კი მუშაობს, მაგრამ მხოლოდ ამით ეროვნულ გუნდს ვერაფერი ეშველება. იქნებ, "არიოლ-რეშკას" თამაში პირველად ჩვენ დავიწყეთ, როცა სანაკრებო მწვრთნელობაში გამოუცდელი სპეციალისტი მოვიწვიეთ?!

დავით თავართქილაძე

CDN ტავტასიის სიფრიული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 255 — ტელეფონის დაფიქსირება;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭირველად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ორ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. B ჯგუფი. მეტოქეები

საფრანგეთი ულიდერებოდაც შეუჩერებელია

საფრანგეთი-უკრაინა 2:0

საფრანგეთი: კუპე, აბიდალი, ტურამი, გალასი, კლერი, მაკელელე, ტულალანი, რიბერი, ნასრი (81. დიარა), მალუდა, ანელკა (77. სისე).

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ჩიგრინსკი, რუსოლი, იეზერსკი (78. ლევჩენკო), გუსევი, მიხალიკი, ტიმოშჩუკი, გაი, კალინიჩენკო (63. როტანი), ვორონინი (72. ვორობეი).

გოლები: 1:0 რიბერი (57), 2:0 ანელკა (71)

მაყურებელი: 80 051

ბევრი იბრძოლა უკრაინამ, მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა – დღესდღეობით, **დომენეკს ბლოხინზე** გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავს. იმის მიუხედავად, რომ ფრანგებმა ლამის მეორე შემადგენლობით ითამაშეს (ანრის, ვიეირას, ტრეზეგესა და სანიოლის გარეშე), მეტოქეს დამაჯერებლად აჯობეს.

თამაში სწრაფ ტემპში წარიმართა. მასპინძლებმა აქცენტი ფლანგურ გარღვევებზე გააკეთეს. **მალუდა** და **რიბერი** შაბათს შეუჩერებელნი იყვნენ. მათ მხარი **ანელკამაც** აუბა, რომელმაც ერთ-ერთი საუკეთესო სანაკრებო მატჩი ჩაატარა და სპეციალისტთა შეფასებით, ეროვნულ გუნდში ადგილი მნიშვნელოვნად გაიმყარა. ამათ გარდა, მოედანზე ვეტერანი **კლოდ მაკელელე** გამოირჩეოდა, რომლის ანგარიშზეც დიდებული საგოლე პასია.

მარწუხებში მოქცეულ უკრაინას განსაკუთრებით შეტევაში უჭირდა. სტუმრებმა, ფაქტობრივად, ერთი რეალური საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნეს. შეგახსენებთ, ტრავმების გამო, ოლეგ ბლოხინმა **ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი** და **არტიომ მილევსკი** მოისაკლისა.

მართალია, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მაგრამ "სამფეროვანთა" უპირატესობა წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. აშკარად ჩანდა, რომ გოლი მხოლოდ დროის ამბავი იყო. 57-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა **ფრანკ რიბერიმ** შოვკოვსკი ერთი მოძრაობით ჩამოიტოვა და ბურთი კარში შეაგორა.

უკრაინელებმა თამაშის გადასარჩენად ყველაფერი იღონეს, მაგრამ როგორც ვთქვით, ამის რეალური შანსი არ მისცემიათ. ფრანგები კი მინიმალური სხვაობით არ დაკმაყოფილებულან. ნიკოლა ანელკამ შეხვედრას წერტილი ზუსტი და ძლიერი დარტყმით დაუსვა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დომენეკმა განაცხადა, წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, თუნდაც არაოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე ჩემი გუნდი უკრაინას უპირობოდ რომ სძლევდაო, ბლოხინმა კი ადრე ნათქვამი გაიმეორა, ჩვენი ევროპაზე გასვლა-არგასვლის ამბავი მაშინ გაირკვევა, უშუალო კონკურენტებს, საფრანგეთსა და იტალიას შინ რომ მივიღებთო.

ბებერი ინძაგი ახალგაზრდულ ფორმაშია. პირველი გოლი ფარერების კარში

ფარერული პროგრესი

ფარერები-იტალია 1:2

ფარერები: მიკელსენი, დანიელსენი, იოჰანსენი, ი. იაკობსენი, დიურჰუუსი, ბორგი (74. სამუელსონი), ოლსენი, ტომასენი, კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი, ფლოტუმი (58. ჰოლსტი).

იტალია: ბუფონი, ოდო, მატერაცი (67. ბარძალი), კანავარო, ტონეტო, გატუზო, პირლო, დიანა, როკი (87. კვალიარელა), დელ პიერო, ინძაგი.

გოლები: 0:1 ინძაგი (12), 0:2 ინძაგი (48), 1:2 რ. იაკობსენი (77)

მაყურებელი: 6 040

ფარერელებმა ამ შესარჩევი ციკლის პირველი გოლი თბილისში გაიტანეს, მეორედ კი თვით **ჯანლუიჯი ბუფონის** კარი დალაშქრეს. კუნძულელთაგან თავი კვლავ მათმა საუკეთესო მეგოლე **როგვი იაკობსენმა** გამოიჩინა. მოხდენილი თავურით მან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კიპერს შანსი არ დაუტოვა. ეს მატჩის 77-ე წუთზე მოხდა, თამაშის მიწურულს კი მიზანთან ახლოს **კრისტიან ჰოლსტი** იყო, მაგრამ უხეიროდ დაარტყა, ბუფონს რეაგირება არ გასჭირვებია და ხმაურიანი სენსაციაც არ მოხდა.

მარტინ იოგვან ოლსენის შეგირდები შეხვედრის დასკვნით ნაწილში გამოცოცხლდნენ, თორემ მანამდე იტალიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მსოფლიო ჩემპიონებმა პირველივე წუთებიდან იოლად იგდეს ხელთ ინიციატივა და **ფილიპო ინძაგიმ** ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ეს პიპოს პირველი სანაკრებო გოლი იყო მას შემდეგ, რაც შარშანდელ მუნდიალზე ჩეხეთის ნაკრების კარი დალაშქრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ინძაგიმ ფარერელებს კიდევ ერთი გაუტანა და ამის შემდეგ "სკუადრა აძურა" შეტევაში იშვიათად იყო. მთლიანობაში კი, სტუმრებს კიდევ ჰქონდათ საგოლე შანსები, რომლებიც იგივე ინძაგიმ, **ტონეტომ** და **დელ პიერომ** ვერ გამოიყენეს.

როგორც ხედავთ, აპენინელებმა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს. ნამატჩევს **რობერტო დონადონიმ** ახალი სახეების, **ტონეტოს, როკის, დიანასა** და **ლუკარელის** თამაშით კმაყოფილება გამოთქვა, ინძაგის კი ცხადია, გარჯა განსაკუთრებულად შეუქო. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირს ძირითადისკენ გზა **ლუკა ტონის** ტრავმამ გაუხსნა.

ოთხშაბათს იტალიას კაუნასში უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება ელის. დონადონისა და მის ბიჭებს ლიტვასთან ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ, ბალტიისპირეთში ვერმოგება მუნდიალის ტრიუმფატორებს, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურად დაუჯდეთ.

ფარერელებს კი ჩვენგან განსხვავებით, ნამდვილი პროგრესი აქვთ. მათ ხომ ციკლი საქართველოსთან საშინაო 0:6-ით დაიწყეს, შაბათს კი მსოფლიო ჩემპიონებს კინაღამ ქულა გამოჰგლიჯეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები თბილისში

სეგრტის მეგობარი საესი

გუშინ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები თბილისში ჩამოფრინდა. სტუმრები "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდნენ. მსუბუქი ლანჩისა და მცირე დასვენების შემდეგ, საღამოს 8 საათისთვის "მიხეილ მესხის" სტადიონს მიაშურეს. ინიაკი საესმა თბილისში ის 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანა, რომელთა ვინაობა რამდენიმე დღის წინათ გაგაცანით. აღსანიშნავია, რომ ესპანელთა შორის, ამასწინანდელი უეფას თასის ფინალის ორი მონაწილეა: "სევილიის" ფორვარდი ალეხანდრო ალფარო და "ესპანიოლის" მცველი მარკ ტორეხონი. ჩვენ კი, ვარჯიშზე გამგზავრებამდე, "სარაგოსის" მცველი ხერარდ პიკე დავიმარტოხელეთ და ორიოდ კითხვით მივმართეთ:

- რას ფიქრობთ მომავალ მატჩზე?

- ვფიქრობ, რთული თამაში გველის. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ახალი შესარჩევი ციკლის პირველი მატჩია და ამასთან, სტუმრად გვიწევს თამაში. მიუხედავად ამისა, მჯერა სამ ქულას ავიღებთ.

- საქართველოს ნაკრებზე თუ იცით რამე?

- არაფერი. ჩვენს წარმოდგენაში, როგორც სამხრეთული გუნდი, ალბათ, ტექნიკურ ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენ ძლიერი შემადგენლობით ჩამოვედით და გვჯერა, მოვიგებთ.

სტუმრების წვრთნამ საათნახევარს გასტანა. ვარჯიშის შემდეგ **ინიაკი საესმა** მასმედიელთა კითხვებს უპასუხა:

- როგორ გამოიყურება თქვენი გუნდი დამღლელი მგზავრობის შემდეგ?

- სწორედ ამ გადაღლის გამო, აღდგენითი ვარჯიში ჩავატარეთ. წვრთნის ბოლოს ცოტა კი გავერთეთ, მაგრამ კარშიც დავარტყით და მეკარეებიც დავტვირთეთ.

- საქართველოს ნაკრებზე რა ინფორმაციას ფლობთ?

- სიმართლე გითხრათ, არანაირს. ისევე, როგორც ჩვენ, არც საქართველოს ნაკრებს ჰქონია მზადებისთვის დიდი დრო. ჰო, მართლა, ერთი თქვენი ფეხბურთელი ვიცი, ძალიან საინტერესო ახალგაზრდაა... ახლა გვარს ვერ ვიხსენებ... *(მოგვიანებით, საესის თანმხლები პირისგან შევიტყვეთ, რომ "საინტერესო ახალგაზრდაში" მან ლევან ყენია იგულისხმა - ავტ).*

- თქვენი ვიზავი პეტარ სეგრტი ესპანეთში გაგიცვნიათ...

- დიახ, ჩვენ მადრიდში გავიცანით ერთმანეთი. თბილი, კონტაქტური ადამიანია. შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე ჩემი მეგობარია. რაც შეეხება მომავალ თამაშს, ის მოიგებს, ვინც მეტად მოინდომებს.

- ესპანეთი ჯგუფის ფავორიტია, მაგრამ 5 ივნისს მასპინძელი საქართველოა...

- ფავორიტობა მხოლოდ კარგი გუნდი და სახელი არაა. ეს სტატუსი ყველამ მოედანზე უნდა დაამტკიცოს.

- ნაკრებს 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული ბოიან კრკიჩი დაამატეთ. მას თუ მოუწევს ძირითად შემადგენლობაში თამაში?

- მატჩის რაღაც ნაწილს ითამაშებს. ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს გეტყვით.

- კარგა ხანია, ახალგაზრულ ნაკრებს წვრთნით. ამ კონტინგენტში თუ გყავთ ისეთი მოთამაშეები, როგორიც ფერნანდო ტორესი და სხვები იყვნენ?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

მეოთხე გვერდიდან

- 1996 წლიდან მოყოლებული, ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებში ვმუშაობ, ვიყავი ეროვნული გუნდის მწვრთნელიც... ყველა იმ ფეხბურთელმა, ვინც ახლა არაგონესის ხელმძღვანელობით თამაშობს, ჩემს ხელში გამოიარა. ეს ახალი კრებულია, ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ჩავატარეთ. თებერვალში ინგლისს სტუმრად 2:2 ვეთამაშეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ჩემპიონატის ბოლო ფაზაა და ფეხბურთელები გადაღლილები არიან.

- როგორ, ეს ბიჭები ხომ კარგა ხანია, ერთად თამაშობენ?

- ისინი ერთად იყვნენ 17-წლამდელთა ნაკრებშიც. თუმცა ბოლო ორი წელი ერთად არ უთამაშიათ. დავამატებდი, რომ ამ ნაკრების წევრები "ბარსელონაში", "რეალში", "ვალენსიაში", "სევილიასა" და სხვა კარგ კლუბებში თამაშობენ. ასე რომ, მართლაც ძლიერი გუნდი გვყავს...

ახლა ჩვენს გუნდზეც ვთქვათ. **პეტარ სეგრტმა** გუშინ დახურული ვარჯიში ჩაატარა. წვრთნაში 24-ივე ფეხბურთელი მონაწილეობდა, მათ შორის, **გიორგი ფოფხაძე, მირზა ბჟალავა** და **ვალტერ ხორგუაშვილიც**. ამ სამეულს ტრავმები აწუხებდა, მაგრამ **გელა შეყილაძის** თქმით, ექიმებმა მათი ფეხზე დაყენება შეძლეს. დღეს ორივე ნაკრები ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. 18:30 საათზე ჩვენების ჯერია, 20 საათზე კი ესპანელები გააგორებენ ბურთს.

დაბოლოს, ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველო-ესპანეთის მატჩის ბილეთები 5 ივნისს 11-დან 20 საათამდე ეროვნული სტადიონის ხუთ სალაროში გაიყიდება. ბილეთები დაუნომრავია, ღირებულება კი 3 ლარი.

დავით ცაბაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ბერაიები კონტრაქტს აგრძელებენ

აზერბაიჯანის ჩემპიონატი ორი კვირის წინათ დასრულდა, აღდამის "ყარაბაღმა" ცუდად იასპარეზა და 27 ქულით მხოლოდ მერვე ადგილს დასჯერდა. სეზონის დასრულების შემდეგ, მწვრთნელმა **რასიმ კარამ** უპირველესად ლეგიონერთა საკითხი გაარკვია. მან კლუბიდან გაუშვა სერბი **ბოიან ილიჩი** და თურქი **ჰაქან დემირი**, ხოლო ორი ქართველი, ტყუში ძმები **ირაკლი** და **გოგა ბერაიები** შეინარჩუნა. გოგა და ირაკლი კიდევ ერთ სეზონს გაატარებენ "ყარაბაღში". ისინი ამ კლუბში 2006 წლის იანვარში გადავიდნენ, მას შემდეგ, რაც "განჯა" დაიშალა. მოკლედ, გადავიდნენ და უმალ "ყარაბაღის" გულშემატკივართა სიყვარულიც მოიპოვეს. ირაკლის მთლიანად გაუცდა სეზონი უმძიმესი ტრავმის გამო. მიუხედავად ამისა, კლუბში მისი ტალანტის იმედი მაინც აქვთ.

"იმ სიტუაციაში, როგორშიც ახლა მე ვარ, ალბათ, ბევრი კლუბი არ დამეხმარებოდა, მაგრამ "ყარაბაღის" ხელმძღვანელობამ ხელი არ მკრა, რისთვისაც მათ ძლიერ ვემადლიერები", - განაცხადა ირაკლიმ. გოგას კი გუნდის "ძრავას" უწოდებენ. ცენტრალური ნახევარმცველი მეტად ენერგიულია. რასიმ კარა ამჟამად თურქეთშია, სადაც "ყარაბაღისთვის" ახალ ლეგიონერებს ეძებს.

უკრაინის პირველ ლიგაშიც

კიევის "დინამოს" ქართული ტრიოდან **კლაუს ტოპმიოლერმა** ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ **ოთარ მარცვალაძე** გამოიძახა, **კახა ალადაშვილი** და **დავით იმედაშვილი** უკრაინაში დარჩნენ. ისინი უმთავრესად "დინამოს" დუბლებში თამაშობენ, თუმცა ხდება გამონაკლისებიც: ხანდახან მათ "დინამო 2-შიც" უხმობენ. ეს გუნდი კი უკრაინის ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობს. ზუსტად იმ დღეს, როცა საქართველოს ნაკრებმა ლიტვაში წააგო, კიევის "დინამო 2-მა", გასვლაზე, პირველი ლიგის 35-ე ტურის მატჩი მოიგო "იგროსერვისთან" - 1:0. ალადაშვილი ძირითადში იყო, ის 77-ე წუთზე თანამემამულე იმედაშვილმა შეცვალა. შეგახსენებთ, რომ "დინამო 2-ს" **გენადი ლიტოვჩენკო** წვრთნის. "დინამო 2" 52 ქულით მეშვიდე ადგილზეა. მესამეადგილსან "ობოლონის" ღირსებას გოლკიპერი **ჩანგელია** იცავს.

ასათიანმა მოლდოვაში არ ითამაშა

2 ივნისს, მოსკოვის "ლოკომოტივი" 20 კაცის შემადგენლობით მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვს ესტუმრა, სადაც "ზიმბრუს" 60 წლისთავისადმი ორგანიზებულ ზეიმში მიიღო მონაწილეობა. **ანატოლი ბიშოვეცმა** თან **მალხაზ ასათიანიც** იახლა, თუმცა მისი გამოყვანა მაინც ვერ გარისკა. მატჩი კი "ზიმბრუმ" მოიგო, 1:0. მასპინძელთა რიგებში ქართველი მცველი **მამუკა ლომიძე** თამაშობდა. მე-80 წუთზე ის **ბერბინსკიმ** შეცვალა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რამიშვილი და არველაძე ბუნდესლიგამ მიიწვია

ლიტვიდან ქართული დელეგაცია სრული შემადგენლობით არ გამგზავრებულა ოსერში. ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ არველაძე** და პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** ბერლინში წავიდნენ. იქ ევროპული ლიგების ხელმძღვანელები არიან მიწვეულნი ორდღიან კონფერენციაზე. ღონისძიების მასპინძელი ბუნდესლიგაა. ქართული წარმომადგენლობა ასეთ კონფერენციაზე პირველად მიიწვიეს. რამიშვილი-არველაძე ეროვნულ ნაკრებს ხვალ ჩააკითხავენ.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ გიორგი ჭელიძესთან

ხელმოცარვა უიღბლობის ბრალია

ზესტაფონის ახალგაზრდებს მეტი ყურადღება სჭირდებათ

რაც კი "ზესტაფონმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი მოიპოვა, სულ მონინავეთა შორისაა, მაგრამ ჯერ ტიტული არ მოუგია. ბოლო ორი წელიწადი ზედიზედ გავიდა თასის ფინალში და აქაც ორივეჯერ ხელი მოეცარა. არადა, "ზესტაფონს" ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, გამოცდილიც და ახალგაზრდაც, მათ შორის ისეთებიც, ჯერ პირველი გუნდის ძირითადში ფეხი რომ არ მოუკიდებიათ და უკვე ახალგაზრდულ ნაკრებში რომ იძახებენ. 22 წლის ნახევარმცველი გიორგი ჭელიძე ერთ დროს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო, ახლა კი "ზესტაფონის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. მას ჯერ ის ვკითხეთ, თუ რა აკლია იმერულ კლუბს საიმისოდ, რომ ან თასს გამორჩეს, ან ჩემპიონობას...

- ...იღბალი, ძალიან ბევრს განაპირობებს. თასის წლევანდელ ფინალში მთელი თამაში ვუტევდით, მატჩი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ "ამერმა" ერთი კარგი შეტევა წამოიწყო და გოლიც გაგვიტანა. შარშანდელი თასის ფინალი პენალტების სერიაში წავაგეთ. მოკლედ, "ზესტაფონის" წარუმატებლობებს უიღბლობას ვაბრალებ.

- "ზესტაფონში" "დინამოდან" წელიწადნახევრის წინ გადახვედი, თუმცა კლუბის გამოცელით მკვეთრი წინსვლა ალბათ არ გაქვს, ათლეტიზმში თითქოს კიდევ ბევრი გაქვს სამუშაო...

- ალბათ ასეა, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება. იღბალს ფეხბურთელის წინსვლაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. გააჩნია, ვინ როგორი თვალით შემოგხედავს. "დინამოში", თითქმის ექვსი თვე, ფაქტობრივად, უთამაშებელი ვიყავი, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და მხოლოდ ბოლო ათ წუთს მათამაშებდნენ. ამან ძალიან დამხია უკან. ვარჯიში ერთია, მაგრამ კარგი კონდიციებისთვის სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია.

- თუ რა მიზნებს ისახავს მომავალი სეზონისთვის "ზესტაფონი", ამაზე უკვე იყო ლაპარაკი კლუბში?

- ჯერ არა. 5 ივნისს ვიკრიბებით და ახალი სეზონისთვის მზადებას ბაკურიანში ვიწყებთ. 26 ივნისს, ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე, ყაზახეთის "ტობოლს" ვხვდებით. ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გადავლახოთ. გუნდიდან ჯერ არავინ წასულა, ხოლო თუ ვის დავიმატებთ, ჯერ არ ვიცით.

- "ზესტაფონში" ბოლო დროს რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდამ მოიყარა თავი. მათგან ვის გამოარჩევდი?

- ბენაშვილი, დაუშვილი, სანაია, გოცირიძე, ხიდეშელი... "ზესტაფონში" პერსპექტიული ახალგაზრდა მართლაც ბევრია, მაგრამ მათ იმდენ ყურადღებას არ აქცევენ, რამდენიც აუცილებელია.

- რას გულისხმობ?

- კლუბში მთელი აქცენტი პირველ გუნდზეა გადატანილი, ნიჭიერი ახალგაზრდები კი მეტწილად "ზესტაფონის" მეორე გუნდში თამაშობენ.

დავით თავართქილაძე

ამერი

ექვსი საკონტროლო ჩეხეთში

ამერი, ერთადერთი ქართული კლუბი მაისის რეიტინგში

საქართველოს თასის ორგზის მფლობელი თბილისის "ამერი" შვებულებაშია, თუმც დამდეგი სეზონისთვის მოსამზადებელი გრაფიკი უკვე შეადგინა. ამერელებს შვებულება 8 ივნისს უმთავრდებათ. გუნდი თბილისში დაიწყებს ვარჯიშს, 12 ივნისიდან კი ბორჯომში წავა შეკრებაზე, საიდანაც დედაქალაქში ათ დღეში დაბრუნდება. 27 ივნისს "ამერი" ჩეხეთში გაემგზავრება და იქაურ ბლშანში გააგრძელებს სეზონისწინა მზადებას. ბლშანური შეკრება "ამერისთვის" ახალი არ იქნება. **გიორგი ჩიხრაძის** გუნდი იქ შარშანწინაც იყო. ამერელებს ჩეხეთში ექვსი საკონტროლო მატჩი აქვთ დაგეგმილი - ოთხი მთავარი ლიგის გუნდებთან, ორი კი შედარებით სუსტ მეტოქეებთან. "ამერი" შინ 12 ივლისს იქნება, ერთ კვირაში კი უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს. საამისო წილისყრა 29 ივნისს გაიმართება.

ამასობაში კი, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მსოფლიოს კლუბთა ახალი, მაისის თვის რეიტინგი გამოაქვეყნა. ბოლო დროს საუკეთესო 350 კლუბს შორის ოთხი ქართულიც იყო, ახლა კი მხოლოდ ერთია: "ამერი". გლდანური კლუბი 201-ე პოზიციაზეა, რაც აპრილის რეიტინგთან შედარებით, 30-ადგილიან წინსვლას ნიშნავს. სიის სათავეში კვლავ ესპანური "სევილიაა", რომელსაც კვალში "ჩელსი" და "მილანი" უდგანან.

დავით თავართქილაძე, ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩიხურა

საჩხერელთა უიმედო იმედი

„ჩიხურის" გასაჭირზე ბოლო პერიოდში სისტემატურად ვწერთ. შეგახსენებთ, რომ უკვე რამდენიმე თვეა, კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები აწუხებს და იმის მიუხედავად, რომ ფლეი ოფში „გაგრის" ძლევით უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, შესაძლოა, პირველ ლიგაში დაბრუნება მაინც მოუწიოს.

როგორც კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ბადრი ბრეგვაძემ** გვაცნობა, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება. არსებითი სიახლე ისაა, რომ მთავარმა დამფინანსებელმა **ბიძინა ივანაშვილმა** „ჩიხურის" პატრონობაზე საბოლოო უარი თქვა და კლუბი რაიონის გამგეობის ანაბარა დარჩა. ასეთ პირობებში კი „ჩიხურა" უმაღლესის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს და მხოლოდ პირველ ლიგაში შეძლებს თამაშს.

ბრეგვაძის თქმით, სხავადასხვა საშუალებით აქტიურად მიმდინარეობს სპონსორის ძიება, კლუბის მესვეურებს ჯერ არ დაუკარგავთ უცხოელი ინვესტორის პოვნის იმედი, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოკლე დროში ამის გაკეთება ძალიან გაჭირდება. იმერული კლუბის ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

შეგახსენებთ, აქტიურად განიხილება „ჩიხურის" ნაცვლად უმაღლეს ლიგაში სხვა კლუბის ასპარეზობის საკითხი. დიდია იმის ალბათობა, რომ საჩხერელებმა საკუთარი ადგილი „დილას", „ცხინვალს" ან „კოლხეთს" დაუთმონ.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

გოგუა და ჰართსი: რაც არ გინახავთ, ვერც ნახავთ

გოგუა ლამის ჰართსელი გახდა

გუშინ შოტლანდიური "ჰართსის" ლიტველმა ექსთავკაცმა **ვალდას ივანაუსკასმა**, რომელიც ამჟამად კლუბში პრეზიდენტ **ვლადიმირ რომანოვის** საფეხბურთო კონსულტანტად მუშაობს. ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს გული დასწყვიტა, როცა განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან შოტლანდიური კლუბი **გოგიტა გოგუას** ვერ აიყვანს.

აი, რას წერდა გუშინ ინტერნეტგამოცემა "სკოტსმენი": *"დღეს ვალდას ივანაუსკასმა დანანებით გაგვანდო, რომ ახალ სეზონშიც ვერ მოხერხდება ქართველი გოგიტა გოგუას ჩარიცხვა, რაკი ფეხბურთელმა რუსული პრემიერლიგის კლუბ "სატურნთან" ურთიერთობა გადაწყვიტა. ვლადიმირ რომანოვს დიდი ხანია, სურს გოგუას "ჰართსში" გადაყვანა, თუმცა კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელმა უარი თქვა ნალჩიკის "სპარტაკის" მოთხოვნაზე, ქართველის სანაცვლოდ მილიონი გირვანქა გადაეხადა. ამის შემდეგ გოგუა "სატურნს" სამწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა".*

ივანაუსკასი კი ამატებს: *"არ ვიცი, როგორ საფეხბურთო კონდიციაშია ახლა გოგუა, ეს ჩემი საქმე არ არის. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს კარგი შანსია გოგუასთვის, რადგან რუსული ლიგა ჯერაც საკმაოდ ძლიერია".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

განცხადება

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები ანარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

ს.კ. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

დანიას სანიმუშო სასჯელი ელის

ალბანეთში ქართულმა სამსაჯო ბრიგადამ იმუშავა

დანია-შვედეთი. ეპიზოდი რომლის გამოც მატჩი შეწყდა

A ჯგუფი

ყაზახეთი–სომხეთი 1:2

ყაზახეთი: ლორია, სმაკოვი, კუჩმა, ულმაგამბეტოვი, ირისმეტოვი, ჩიჩულინი, სერგიენკო (36. ბიაკოვი), ბალტიევი, სუიმაგამბეტოვი, ჟუმასკალიევი (78. კორნიენკო), კუკიევი (57. ტლეშევი).

სომხეთი: კასპაროვი, ჰოვსეპიანი, არზუმანიანი, თადევოსიანი, მკრტჩიანი, მინასიანი, არაქელიანი (80. ჰაკობიანი), ვოსკანიანი, მელიქიანი, მხითარიანი (75. შახგელდიანი), მელქონიანი (90. ა. ქარამიანი).

გოლები: 0:1 არზუმანიანი (31), 0:2 ჰოვსეპიანი (39), 1:2 ბალტიევი (88)

მაყურებელი: 17 100

ფინეთი–სერბეთი 0:2

ფინეთი: იასკელაინენი, ჰიიპია, კალიო, პასანენი, ტიჰინენი, ჰეიკინენი, ილოლა, ტაინიო (28. კოლკა), ვაირინენი, ფორსელი (62. იოჰანსონი), კუკი (70. ლიტმანენი).

სერბეთი: სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, კრსტაიჩი, რუკავინა, ვიდიჩი, კოვაჩევიჩი, კუუმანოვიჩი, სტანკოვიჩი, იანკოვიჩი (67. ლაზოვიჩი), კრაშიჩი (85. დულიაი), პანტელიჩი (60. იოვანოვიჩი).

გოლები: 0:1 იანკოვიჩი (3), 0:2 იოვანოვიჩი (86)

მაყურებელი: 33 615

აზერბაიჯანი–პოლონეთი 1:3

აზერბაიჯანი: ველიევი, რ. გულიევი, ე. გულიევი, ს. აბასოვი, რ. აბასოვი, ა. გურბანოვი (65. ი. გურბანოვი), იმამალიევი (70. გასიმოვი), მამედოვი (53. ჯავადოვი), ჩერტოგანოვი, ქერიმოვი, სუბაშიჩი.

პოლონეთი: ბორუცი, ვასილევსკი, დუდკა, ი. ბაკი, ჟეველაკოვი, ბლაშჩიკოვსკი (57. ლობოძინსკი), ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი, სმოლარეკი, რასიაკი (81. სობოლევსკი), ჟურავსკი (57. საგანოვსკი).

გოლები: 1:0 სუბაშიჩი (5), 1:1 სმოლარეკი (63), 1:2 კრჟინოვეკი (66), 1:3 კრჟინოვეკი (90)

მაყურებელი: 30 000

ბელგია–პორტუგალია 1:2

ბელგია: სტიინენი, ფელაინი, ჰუფკენსი (46. დე მანი), სიმონსი, ვერმელენი, კლემენი, მუდინგანი (76. გერერტსი), ვერტონგენი, დეფური, ე. მპენზა, სტერკელე (61. დე მული).

პორტუგალია: რიკარდო, ანდრადე, მეირა, ფერეირა, მიგელი (53. ბოსინგვა), დეკუ, პეტიტი, ტიაგო, ნანი (86. დუდა), პოშტიგა (79. ალმეიდა), კვარეშმა.

გოლები: 0:1 ნანი (43), 1:1 ფელაინი (55), 1:2 პოშტიგა (64)

მაყურებელი: 45 585

პორტუგალიას ბელგიიდან სამი ქულის წამოღება გაუჭირდა. გადამწყვეტი გოლი **ელდერ პოშტიგამ** შეაგდო. "პორტუს" თავდამსხმელს მთელი საღამო არ უმართლებდა, მაგრამ 64-ე წუთზე შორიდან ეფექტური ბურთი გაიტანა.

სტუმრებს **კრისტიანო რონალდო** არ ჰყავდათ. ამის გამო ბელგიელებს ოდნავადაც არ გაადვილებიათ საქმე. **ნანიმ** და **დეკუმ** მასპინძლები პირველივე წუთიდან შეავიწროვეს. პორტუგალიელთა ყოველი იერიში სახიფათო იყო.

პირველად დეკუმ დაარტყა. **სტიინ სტიინენმა** ბურთი ახლო კუთხეში დაიჭირა. მე-11 წუთზე ნანიმ პოშტიგა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ პორტუელმა დამაგვირგვინებელ ფაზაში შესცოდა. მოგვიანებით "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალწვეულმა ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და ორჯერ სახიფათოდ შეუტია. ტაიმის მიწურულს ნანი საჯარიმოში შეიჭრა და დაბალ კუთხეში გაიტანა. ეს მისი მეორე სანაკრებო გოლი იყო, 0:1.

მეორე ტაიმი ბელგიელთა იერიშებით დაიწყო. სტუმართა მეკარე **რიკარდომ ფრანსუა სტერკელეს** ურთულესი დარტყმა მოიგერია. მასპინძლებმა ზეწოლა გააძლიერეს და 55-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. **სტივენ დეფურის** პასით **მარუან ფელაინმა** ისარგებლა და თავით წონასწორობა აღადგინა (მისი პირველი გოლი ნაკრებში). დარჩენილ დროში ელდერ პოშტიგამ ის გოლი გაიტანა, რომელიც ზემოთ აღვწერეთ. ბოლო წუთზე **უგო ალმეიდას** წითელი ბარათი აუფრიალეს, მაგრამ ამით აღარაფერი შეცვლილა.

ნამატჩევს პორტუგალიელთა თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** შეუძლოდ გახდა. ამიტომ პრესკონფერენციაზე ვერ მივიდა. მისმა ვიზავიმ **რენე ვანდერეიკენმა** კი ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მათემატიკურად კიდევ გვაქვს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, მაგრამ ბევრი რამ ჩვენზე აღარ არის დამოკიდებული. დღევანდელი მატჩი ბედი იმან გადაწყვიტა, რომ მეტოქემ ყველა ხელსაყრელი ეპიზოდი გამოიყენა, ჩვენ კი დამაგვირგვინებელ ფაზაში ცუდად ვითამაშეთ..."*

ბაქოში, აზერბაიჯანი-პოლონეთის მატჩი მოულოდნელი სცენარით წარიმართა. თამაში გახურებული არ იყო, რომ მასპინძლებმა გოლი გაიტანეს. ანგარიში **ბრანიმირ სუბაშიჩმა** გახსნა. "ნეფთჩის" თავდამსხმელი მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა, **დარიუშ დუდკას** გასცდა და **არტურ ბორუცს** ახლო კუთხეში გაუტანა. ჩვენმა მეზობლებმა უპირატესობა მთელი ტაიმის განმავლობაში შეინარჩუნეს. ყველაზე ოპტიმისტმა ფანებმა ზედიზედ მეორე გამარჯვებაზე დაიწყეს ფიქრი. წინა ტურში აზერბაიჯანს ფინეთთან ჰქონდა მოგებული.

მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. 63-ე წუთზე **ები სმოლიარეკმა იაცეკ კრჟინოვეკის** პასით ისარგებლა და ახლო მანძილიდან გაათანაბრა. დორტმუნდის "ბორუსიის" თავდამსხმელმა მიმდინარე შესარჩევ ტურნირში მეოთხედ ისახელა თავი. სამ წუთში კრჟინოვეკმა ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო, მასპინძელი მცველების შეცდომით ისარგებლა და პოლონელები წინ გაიყვანა. თამაშის მიწურულს ბურთს ერთთავად სტუმრები აკონტროლებდნენ. სმოლიარეკმა ხარიხა შეაზანზარა. კრჟინოვეკმა კი ახლო მანძილიდან დუბლი შეასრულა. **ლეო ბეენჰაკერის** შეგირდებმა 19 ქულას მოუყარეს თავი და ცხრილის სათავეში პოზიციები გაიმტკიცეს. ოთხშაბათს ისინი ჩვენს მეორე მეზობელ სომხეთს ესტუმრებიან. აზერბაიჯანი კი სომხეთთან დამარცხებულ ყაზახებთან (სტუმრად) შეეცდება ქულების მოხვეჭას...

ჯგუფის კიდევ ერთმა ფავორიტმა სერბეთმა ჰელსინკიდან სამი ქულა წამოიღო. სტუმრებმა ანგარიში მეორე წუთზე გახსნეს. მალიორკელმა ნახევარმცველმა **ბოშკო იანკოვიჩმა ივიცა დრაგუტინოვიჩის** ფლანგური ჩანოდებით ისარგებლა და თავით გაიტანა. ამის შემდეგ სერბებმა თამაში კონტრიერიშებზე ააწყვეს. პირველ ტაიმში მასპინძლებს რეალური მომენტი არ ჰქონიათ. შესვენების შემდეგ სერბეთს მეორე გოლის გატანა შეეძლო. **იუსი იაასკელაინენმა ზდრავკო კუზმანოვიჩის** დარტყმა კუთხურზე მოიგერია. კუთხურს **ნემანია ვიდიჩის** თავური მოჰყვა. **ჰანუ ტიინენმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ტიინენმა მეტოქის კართანაც გაამწვავა მდგომარეობა. "ციურიხის" ცენტრალურმა მცველმა **იონას კოლკას** კუთხურისას ყველას დაასწრო. სერბების მეკარემ **ვლადიმირ სტოიკოვიჩმა** ბურთს უიმედოდ გააყოლა თვალი, მაგრამ ის ძელმა აისხლიტა. მომდევნო ეპიზოდში სტოიკოვიჩმა შეცვლაზე შესული **ჯონათან იოჰანსონის** დარტყმა უკუაგდო. იმ დროს, როცა სტუმართა კარში საპასუხო გოლი მწიფდებოდა, სერბეთმა სხვაობა ორამდე გაზარდა. 85-ე წუთზე მილან იოვანოვიჩმა მცველების უყურადღებობით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და აუღელვებლად გაიტანა. სერბეთს ჯგუფის ლიდერი პოლონეთისგან ისევ ხუთი ქულა აშორებს, მაგრამ **ხავიერ კლემენტეს** შეგირდებს ერთი თამაში თადარიგში აქვთ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	8	6	1	1	15-6	19
2. პორტუგალია	7	4	2	1	15-5	14
3. სერბეთი	7	4	2	1	10-4	14
4. ფინეთი	7	3	2	2	7-5	11
5. ბელგია	7	2	1	4	5-8	7
6. ყაზახეთი	7	1	2	4	4-10	5
7. სომხეთი	6	1	1	4	2-7	4
8. აზერბაიჯანი	7	1	1	5	3-16	4

მომდევნო ტური
6 ივნისი, ოთხშაბათი
ფინეთი–ბელგია
ყაზახეთი–აზერბაიჯანი
სომხეთი–პოლონეთი

C ჯგუფი

საბერძნეთი–უნგრეთი 2:0

საბერძნეთი: ხალკიასი, ანატოლაკისი (52. პაპადოპულოსი), კირიაკოსი, სეიტარიდისი, ბასინასი, კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (87. ლიბეროპულოსი), ხარისტეასი (79. იანაკოპულოსი), გეკასი.

უნგრეთი: ვეგი, ბალაიშა, ბალოგი, ბოდორი (40. ვანჩაკი), იუჰაჟი, ტოტი, ტოჟერი, ვადოში (73. შელეში), გერა, ჰაინალი, პრისკინი (79. ჟუჟაკი).

გოლები: 1:0 გეკასი (15), 2:0 სეიტარიდისი (29)

მაყურებელი: 24 000

ნორვეგია–მალტა 4:0

ნორვეგია: ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, რიისე, ანდერსენი, კარუ (72. ჰელსტადი), პედერსენი (62. ბრენე), ივერსენი, რიისე, ჰესტადი (83. ბრაატენი), სტორბეკი.

მალტა: მუსკატი, აცოპარდი, საიდი, ველმანი, აგიუსი, მიფსუდი (83. ბარბარა), სამუტი (46. ვუდსი), მალია, შემბრი (70. ბოგდანოვიჩი), შიკლუნა, პეისი.

გოლები: 1:0 ჰესტადი (31), 2:0 ჰელსტადი (73), 3:0 ივერსენი (79), 4:0 რიისე (90)

მაყურებელი: 16 364

ბოსნია–თურქეთი 3:2

ბოსნია: გუზო, რაჰიმიჩი, ბაიჩი, მუზიჩი, დამიანოვიჩი, მუსლიმოვიჩი (90. ჰანჯა), მისიმოვიჩი, დზეკო (61. ჟება), რადელიჩი, ჰრგოვიჩი, მალეტიჩი (83. კუსტოვიჩი).

თურქეთი: რუშთუ, სერვეთი, იბრაჰიმი, გოქანი, მეჰმეთი, გიოქდენიზი (46. ჰუსეინი), არდა (63. ბაშთურქი), თუნჯაი, ჰამით ალთინთოფი, ჰაქანი, საბრი (77. უმით ქარანი), ჰაქან შუქური.

გოლები: 0:1 ჰაქან შუქური (13), 1:1 მუსლიმოვიჩი (27), 1:2 საბრი (39), 2:2 ჯეკო (45), 3:2 კუსტოვიჩი (89)

მაყურებელი: 20 000

საბერძნეთმა თურქეთის მოულოდნელი მარცხით ისარგებლა და C ჯგუფში პირველ ადგილზე აინაცვლა. ევროპის ჩემპიონებმა უნგრეთს კრეტაში უმასპინძლეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. გოლები ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **თეოფანის გეკასმა** და **იურკას სეიტარიდისმა** გაიტანეს. **ოტო რეჰაგელის** შეგირდებს უახლოესი მდევრისგან ორი ქულა ჰყოფთ.

საწყის შვიდ წუთში **იოანის ამანატიდისმა** ორი მომენტი შექმნა. ბურთმა სტუმართა კარს ორჯერვე სანტიმეტრებში ჩაუქროლა. უნგრელთა მეკარე **ზოლტან ვეგმა გეორგიოს კარაგუნისის** უძლიერესი დარტყმა უკუაგდო. იქვე ზოლტან გერა **კონსტანტინოს ხალკიასთან** ერთი-ერთზე გავიდა, მაგრამ მისი მოტყუება ვერ შეძლო.

უნგრელებს ხელსაყრელი მომენტის განიავება ძვირად დაუჯდათ. ერთ წუთში გეკასმა ანგარიში გახსნა. "ლევერკუზენში" გადასულმა თავდამსხმელმა ამანატიდისის პასი მიიღო და მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. მასპინძლებმა ტემპს მოუმატეს და 13 წუთში მეორედ აიღეს ვეგის კარი. მარჯვენა მცველი სეიტარიდისი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, გერას გვერდი აუარა და ძლიერად დაარტყა, 2:0. ტაიმის მიწურულს ამანატიდისს მესამე გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ბურთი ხარიხას მოახვედრა. შესვენების შემდეგ ბერძნები საგრძნობლად დამშვიდდნენ, მაგრამ უნგრელების კართან ორი მომენტი მაინც შეიქმნა. ერთხელ გეკასმა ძელი მოიკითხა, კარაგუნისის იერიშისას კი ვეგმა ბურთი კუთხურზე გადააგდო. ოთხშაბათს საბერძნეთი მოლდოვას უმასპინძლებს და პირველ ადგილზე პოზიციების გამტკიცებას შეეცდება – თურქები ხომ სექტემბრამდე არ თამაშობენ...

შაბათს **ფათიჰ თერიმის** შეგირდებმა წაუგებელი სერია შეწყვიტეს. შეცვლაზე შესულმა **ადნან კუსტოვიჩმა** (ნაკრებში მეორე მატჩი, პირველი გოლი) ბოსნიელთა მესამე გოლი 89-ე წუთზე გაიტანა. მასპინძლებმა ხასიათის უჩვეულო სიმტკიცე გამოავლინეს. ისინი ორჯერ აგებდნენ, მაგრამ ორჯერვე გაათანაბრეს, საბოლოოდ კი სენსაციურ შედეგს გამოკრეს ხელი.

თურქებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს. **ჰაქან შუქურმა** მე-13 წუთზე გაიტანა. საგოლე პასი **არდა თურანმა** ჩაიწერა აქტივში. ბოსნიელებმა 27-ე წუთზე გაათანაბრეს. **ზლატან მუსლიმოვიჩმა ზვიეზდან მისიმოვიჩის** გადაცემით ისარგებლა, 1:1. შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე სტუმრები ისევ დაწინაურდნენ. **საბრი სარიოღლუმ** მეკარე **ადნან გუშოს** შორ კუთხეში გაუტანა. ბოსნიელები არ დანებდნენ. ძალები მოიკრიბეს და ექვს წუთში ხელმეორედ გაათანაბრეს: **დზეკომ ვედინ მუსიჩის** გრძელი პასი მიიღო და საჯარიმოს ხაზიდან შეაგდო. მეორე ნახევარში ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს არდა თურანმა და **თუნჯაი სანლიმ** – ორჯერვე მეკარე გუშომ იყოჩაღა. ამასობაში, 89-ე წუთიც მოახლოვდა. **მირკო ჰრგოვიჩმა** მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი. იქ ყველას კუსტოვიჩმა დაასწრო და თავით გამარჯვების გოლი გაიტანა. ოთხშაბათს ბოსნიელები გაცილებით სუსტ მეტოქეს, მალტას უმასპინძლებენ და მორიგი წარმატების შემთხვევაში, ქულებით თურქეთს გაუთანაბრდებიან. როგორც აღვნიშნეთ, თურქები სექტემბრამდე ისვენებენ. 8 სექტემბერს მათი მორიგი მეტოქე მალტის ნაკრები იქნება...

შაბათს მალტელებმა ოსლოში ითამაშეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ნორვეგიელებს უკანასკნელ სამ შეხვედრაში ერთი ქულა ჰქონდათ მოპოვებული. ამიტომ გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ. ანგარიში 31-ე წუთზე **კრისტოფერ ჰელსტადმა** გახსნა. თამაშის მიწურულამდე სხვაობამ მინიმალური იყო. ბოლო 17 წუთში **ტორსტენ ჰელსტადმა, სტეფან ივერსენმა და იონ არნე რიისემ** კიდევ სამი უპასუხო გოლი გაიტანეს. ნორვეგიას ლიდერი საბერძნეთისგან ხუთი ქულა აშორებს. ოთხშაბათს აგე ჰარეიდეს შეგირდები უნგრეთს უმასპინძლებენ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	6	5	0	1	10-4	15
2. თურქეთი	6	4	1	1	16-6	13
3. ბოსნია	6	3	1	2	13-14	10
4. ნორვეგია	6	3	1	2	13-6	10
5. უნგრეთი	6	2	0	4	7-10	6
6. მალტა	6	1	1	4	5-14	4
7. მოლდოვა	6	0	2	4	3-13	2

მომდევნო ტური
6 ივნისი, ოთხშაბათი
ბოსნია–მალტა
ნორვეგია–უნგრეთი
საბერძნეთი–მოლდოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

D ჯგუფი

გერმანია-სან მარინო 6:0

გერმანია: ლემანი, ლამი (70. ჰელმესი), მერტეზაკერი, კ. მეტცელდერი, იანსენი, ჰილბერტი (59. ფრიტცი), ფრინგსი, შნაიდერი, ჰიტცლშპერგერი, კლოზე, კურანი (59. გომესი).

სან მარინო: ა. სიმონჩინი, კ. ვალენტინი, ბაჩოკი, დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ვანუჩი, ნეგრი (68. ბონინი), ალბანი, ბული (85. ვიტაიოლი), მ. მარანი (77. დომენიკონი), გასპერონი.

გოლები: 1:0 კურანი (45), 2:0 იანსენი (52), 3:0 ფრინგსი (54-პენ), 4:0 გომესი (63), 5:0 გომესი (65), 6:0 ფრიტცი (67)

გაძევება: დ. სიმონჩინი (54. სან მარინო)

მაყურებელი: 43 967

უელსი-ჩეხეთი 0:0

უელსი: ჰენესი, კოლინზი, გაბიდონი, ნიატანგა, რიკეტსი, დევისი, გიგზი (89. ერნშო), კუმასი, ლედლი, რობინსონი, ბელამი.

ჩეხეთი: ჩეხი, იანკულოვსკი, კოვაჩი, როზენალი, უიფალუში, პლაშილი, პოლაკი (65. იაროლიმი), როსიცკი, ზივოკი (83. მატეიოვსკი), ბაროში (46. კულიჩი), კოლერი.

მაყურებელი: 30 714

გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ მათი გუნდი ახალ რეკორდს დაამყარებდა - 1912 წელს ბუნდესგუნდმა რუსეთის ნაკრებს შინ 16:0 სძლია და ეს დღემდე, გერმანელთა მიერ ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული თამაშია. ჰოდა, რაკი სან მარინოს სტუმრად 13:0 სძლიეს, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ნიურნბერგის "ფრანკენშტადიონზე" მინიმუმ 17:0 მაინც დაფიქსირდებოდა და ახალი რეკორდი დამყარდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც, **იოახიმ ლიოვის** შეგირდებს მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სტვენის მოსმენა მოუხდათ, რადგან "ფრანკენშტადიონის" ტაბლო 45-ე წუთამდე 0:0-ს აჩვენებდა. დიახ, გერმანელებმა სან მარინოს მთელი 44 წუთის განმავლობაში ერთი გოლიც კი ვერ გაუტანეს. და გოლების მოსალოდნელი წვიმა მხოლოდ მატჩის მეორე ნახევარშიღა წამოვიდა, მას მერე, რაც პირველი ტაიმის მინურულს ნავსი **კევინ კურანიმ** გატეხა.

მატჩის დაწყებამდე, როცა სან მარინოელები მოედანზე გასახურებლად შევიდნენ, ნიურნბერგის 44 000-იანი პუბლიკა მათ უდიდესი ოვაციებით შეეგებება. ვერ გეტყვით, ეს დაცინვა იყო თუ უბრალოდ ძალიან სუსტი მეტოქის მინიმალური პატივისცემა, ფაქტი კი ისაა, რომ სან მარინოელებმა პირველ ტაიმში ისე ითამაშეს, რომ ის ოვაციები ნამდვილად დაიმსახურეს. მსოფლიოს ყველაზე პატარა ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზე მყოფი სან მარინო მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანს ისე ვაუკაცურად და გაბედულად ეთამაშებოდა, რომ ნიურნბერგის პუბლიკამ გერმანიის ნაკრები სტვენით აიკლო. ცხადია, სტუმართა მხრიდან ყველაზე მეტად 20 წლის მეკარე **სიმონჩინი** გამოირჩეოდა. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ ბუნდესგუნდმა ანგარიში მხოლოდ 45-ე წუთზეღა გახსნა. სან მარინოს ნაკრების ისტორიაში გერმანიასთან 44 წუთის განმავლობაში კარის მშრალად შენახვა ალბათ საუკეთესო შედეგია.

მერე კი დადგა 45-ე წუთი და მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო - ფიფას რეიტინგში 195-ე ადგილზე (199-იდან) მყოფმა გუნდმა გერმანიისგან გოლი მიიღო: შტუტგარტელმა **რობერტო ჰილბერტმა**, რომლისთვისაც ეს მხოლოდ მეორე სანაკრებო მატჩი გახლდათ, მარჯვენა ფლანგიდან სან მარინოს საჯარიმოში ჩაანოდა, იქ კი, შორეულ ძელთან ბურთს კევინ კურანი დახვდა და გერმანია დააწინაურა.

მეორე ტაიმში სან მარინომ ბუნდესგუნდს ჯეროვანი წინააღმდეგობა ველარ გაუწია და კიდევ ხუთი გოლი გაუშვა. 52-ე წუთზე მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" "ბაიერნში" გადასულმა **მარსელ იანსენმა** კუთხურიდან იხეირა და ცაციით პირველი სანაკრებო გოლი შეაგდო. ზუსტად 100 წამის შემდეგ კი ალემანებმა მესამე გაიტანეს: **დავიდ სიმონჩინიმ**, ანუ, მეკარის ძმამ, საჯარიმოში კურანი დასცა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა, **ტორსტენ ფრინგსს** კი პენალტის გატანა არ გასჭირვებია. 59-ე წუთზე ლიოვმა კურანი **მარიო გომესით** შეეცვალა და ამ უკანასკნელმაც მყისვე დუბლი შეასრულა. ჯერ იყო და, მოედანზე შესვლიდან 4 წუთში სხვაობა ოთხამდე გაზარდა, მერე კი, ამ გოლიდან ორი წუთის შემდეგ, იანსენის ჩანოდებას გამოეხმაურა და ნახევარბრუნში სიმონჩინის აუღებელი დაურტყა. ეს გახლდათ გომესის რიგით მესამე სანაკრები გოლი მეორე შეხვედრაში და ამავე დროს, მატჩის ყველაზე ლამაზი გოლი. გადის კიდევ ორი წუთი და გერმანელებს მე-6 გოლიც გააქვთ: ფრინგსისა და **კლემენს ფრიტცის** კომბინაცია ამ უკანასკნელის მოხდენილი დარტყმით სრულდება - 6:0. "ვერდერის" მარჯვენა მცველს მალევე დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ, სან მარინო ძელმა იხსნა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასრულებამდე 20 წუთი იყო დარჩენილი, ალემანებს მეტი აღარ გაუტანიათ, რისთვისაც კიდევ ერთხელ მოუხდათ სტვენის მოსმენა, ზუსტად ისე, როგორც უღიმღამო პირველ ტაიმში.

გომესმა დუბლი ორ წუთში შეასრულა

რაიან გიგზი საერთაშორისო ასპარეზიდან გააცილეს

ელოდნენ 17:0-ს, მაგრამ მიიღეს მხოლოდ 6:0, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არაა, მაგრამ ვერც ნიურნბერგის პუბლიკას გავამტყუნებთ - სან მარინოს დარ გუნდებთან ბუნდესგულშემატკივრებს უფრო მეტი გოლის ხილვა სურთ, რაც სავსებით გასაგები და გამართლებული მოთხოვნაა. ოთხშაბათს ლიოვის გუნდი სლოვაკეთს უმასპინძლებს.

გერმანიის ნაკრებს გვერდში ჩეხეთის ეროვნული გუნდი ამოუდგა. რაკი ამ ტურში ირლანდია ისვენებდა, ჩეხებმა ამით ისარგებლეს და უელსში მიღწეული ფრის წყალობით, ირლანდიას ქულით გაასწრეს. **კარელ ბრიუკნერის** გუნდი კარდიფის "მილენიუმზე" მხოლოდ პირველ ტაიმში დომინირებდა, ისიც მეტ-ნაკლებად, მაგრამ უელსელთა ხუთკაციან დაცვას ჩეხებმა ვერაფერი დაუკლეს. მეორე ტაიმიდან კი მასპინძლები გამოსწორდნენ და ბრძოლით დაამტკიცეს, რომ ეს თამაში მათთვის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის უკანასკნელი რეალური შანსი იყო. მაგრამ უელსს სათამაშო უპირატესობა მოგებისთვის არ ეყო.

პირველ ტაიმში გოლის გატანასთან ახლოს ჩეხები იყვნენ, როცა **იან კოლერი** ორჯერ აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ ორივე შემთხვევაში მასპინძელთა რიგებში გამორჩეულმა მცველმა **ჯეიმს კოლინზმა** დაჯაბნა. სხვა მხრივ კი, ბრიუკნერის შეგირდებს აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებიათ, თუ არ ჩავთვლით **ტომაშ როსიცკის** შორეულ დარტყმას, რომელიც უელსელთა დებიუტანტმა მეკარემ, 20 წლის **უეინი ჰენესიმ** უპრობლემოდ მოიგერია.

51-ე წუთზე მასპინძელთა დაწინაურება **კუმასს** შეეძლო, მაგრამ მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ბურთი ძელს მოხვდა. 64-ე წუთზე კი **რაიან გიგზს** მართებდა უკანასკნელ სანაკრებო შეხვედრაში გოლის გატანა, მაგრამ ვეტერანმა ნახევარმცველმა, მას მერე, რაც ჩეხეთის მთელი დაცვა გააბითურა, მეკარე **პეტრ ჩეხს** ვეღარაფერი დაუკლო. ასე რომ, გამოსათხოვარ მატჩში გიგზმა თავი ვერაფრით გამოიჩინა.

მომდევნო შეხვედრას ორივე გუნდი 8 სექტემბერს გამართავს - უელსი გერმანიას მიიღებს, ჩეხეთი კი სან მარინოს ესტუმრება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	6	5	1	0	27-3	16
2. ჩეხეთი	7	4	2	1	15-4	14
3. ირლანდია	7	4	1	2	12-8	13
4. სლოვაკეთი	6	3	0	3	15-11	9
5. უელსი	6	2	1	3	8-9	7
6. კვიპროსი	6	1	1	4	9-16	4
7. სან მარინო	6	0	0	6	1-36	0

მომდევნო ტური
6 ივნისი, ოთხშაბათი
გერმანია-სლოვაკეთი

E ჯგუფი

რუსეთი-ანდორა 4:0

რუსეთი: მალაფეევი, ა. ბერეზუცკი (46. ანიუკოვი), ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბისტროვი, სემშოვი, ტორბინსკი, ჟირკოვი (57. ბუდინსკი), ჟურიანოვი, არშავინი, კერჟაკოვი (54. სიჩოვი).

ანდორა: ალვარესი, და კუნია (57. სანჩესი), გარსია, აიალა, ბერნაუსი, ესკურა, ხიმენესი (73. ანდორა), ხუსტო, მ. პუიოლი, ვიეირა, მორენო (88. სომოსა).

გოლები: 1:0 კერჟაკოვი (8), 2:0 კერჟაკოვი (16), 3:0 კერჟაკოვი (49), 4:0 სიჩოვი (71)

მაყურებელი: 21 000

ესტონეთი-ხორვატია 0:1

ესტონეთი: პოომი, იაგერი, კრუგლოვი, პიიროია, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე (78. კინკი), ვასილიევი, კონსა (71. ნეემელო), ვოსკობოინიკოვი.

ხორვატია: პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ბაბიჩი, და სილვა (84. ბალაბანი), ნ. კოვაჩი, კრანჩარი (74. ლეკო), მოდრიჩი, სრნა, პეტრიჩი (54. ოლიჩი).

გოლი: 0:1 და სილვა (32)

მაყურებელი: 10 000

მაკედონია-ისრაელი 1:2

მაკედონია: ნიკოლოვსკი, ლაზარევსკი (46. გროჟდანოვსკი), ი. მიტრესკი, ნოვესკი, პეტროვი, ვასოვსკი, შუმულიკოვსკი, ტასევსკი, ნაუმოსკი (46. რისტიჩი), პანდევი (55. პოლეტანი), სტოიკოვი.

ისრაელი: ავათი, ბენადო, კეინანი, შპუნგინი, ზივი, ალბერმანი, ბადირი, ტალი, ბალილი (61. საჰარი), კოლაუტი (81. გოლანი), იცხაკი (76. ზანდბერგი).

გოლები: 0:1 იცხაკი (11), 1:1 სტოიკოვი (13), 1:2 კოლაუტი (44)

მაყურებელი: 15 000

ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ რუსეთი მოლოდინისამებრ ბოლო ადგილზე მყოფ ანდორას შინ იოლად მოუგებდა. მით უმეტეს, რომ ანდორელებს 6 ფეხბურთელი დისკვალიფიცირებული ჰყავდათ, ორი კი ტრავმირებული. შესაბამისად, ანდორამ რუსეთს მხოლოდ 8 წუთის განმავლობაში გაუძლო. ხსენებულ დროს კი, **ალეკსანდრ კერჟაკოვმა** ანდორის კარის დარაჯ **კოლდო ალვარესს** ბურთი თავს ზემოთ მოხდენილად გადაატარა და ანგარიში გახსნა. ზუსტად რვა წუთის შემდეგ ფაქტობრივად, იგივე სცენა: **იური ჟირკოვის** ჩანოდების შემდეგ, კერჟაკოვმა კიდევ ერთხელ დასცინა ალვარესს და მეორე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 4 წუთში "სევილიის" ფორვარდმა ჰეთ-თრიკი გაიფორმა: ჟირკოვის დარტყმა (**ბისტროვის** პასის შემდეგ) კოლდომ მოიგერია, მაგრამ ბურთი კერჟაკოვს მიუვიდა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ ცარიელი კარი დაელაშქრა, რაც, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. ცოტა ხანში **ჰიდინკმა** კერჟაკოვი **დმიტრი სიჩოვით** შეცვალა, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 19 წუთით ადრე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ოთხშაბათს რუსეთი ხორვატიაში თამაშობს, ანდორა კი ისრაელს უმასპინძლებს.

რუსეთს არც ისრაელი ჩამორჩა - 2:1 მაკედონიაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ებრაელებს სკოპიედან სამი ქულის წაღება საკმაოდ გაუჭირდათ. მატჩი სტუმართათვის სახარბიელოდ დაიწყო: მე-11 წუთზე ისრაელი **ბერაკ იცხაკმა** დაწინაურა, რომლისთვისაც ეს პირველი თამაში გახლდათ ისრაელის ნაკრებში. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა, რომლებმაც ბოლო სამ შეხვედრაში 7 ქულის მოპოვება მოახერხეს, ანგარიში მალევე, ზუსტად 2 წუთში გაათანაბრეს - ეს **აკო სტოიკოვმა** შეძლო. მაგრამ ისრაელს, მხოლოდ და მხოლოდ, 3 ქულა აძლევდა ხელს და **დრორ კაშტანის** შეგირდებმაც მედგრად შეუტიეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. შედეგმაც არ დააყოვნა - გამოცდილმა **რობერტო კოლაუტიმ** ტაიმის მიწურულს თანაგუნდელის ჩაწოდებით ისარგებლა და სტუმრები კიდევ ერთხელ დაწინაურა. ამ გოლმა მაკედონიელები შოკში ჩააგდო - **სრეჩკო კატანეცის** შეგირდებმა შესვენებამდე კინაღამ მესამე გოლიც მიიღეს, როცა მათი მეკარე **ნიკოლოსკი** სამარცხვინოდ შეცდა. მეორე ტაიმში მაკედონიამ თამაში გამოასწორა და ისრაელი თავის საჯარიმოს მიაჯაჭვა. შეცვლაზე შესულ **სტევიცა რისტიჩს** კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი **ავათის** კარს მცირე მანძილით ასცდა. მალევე **ალეკსანდარ ვასოსკის** დარტყმა ავათიმ მოიგერია. ერთი სიტყვით, ისრაელს ანგარიშის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მთავარია, რომ დაგეგმილი სამი ქულა აიღო და რუსეთი კვლავინდებურად ზეწოლის ქვეშ ჰყავს.

გაუჭირდა ლიდერ ხორვატიასაც. ხორვატები ესტონეთს სტუმრობდნენ და მინიმალური ანგარიშით იმარჯვეს. მატჩის გმირი კი **ედუარდო და სილვა** გახდა. ზაგრების "დინამოს" ფეხბურთელმა 32-ე წუთზე ულამაზესი გოლი გაიტანა. ხორვატიის ჩემპიონატში და სილვამ 32 თამაშში 34 გოლის გატანა შეძლო, ამ შესარჩევში უკვე 6 გოლი აქვს, მაგრამ მისი არცერთი გოლი არ ყოფილა ისეთი ლამაზი და თვალსაჩინო, როგორიც ეს, ტალინში გატანილი უმნიშვნელოვანესი გოლი გამოდგა. აღსანიშნავია, რომ ესტონეთი ერთადერთი გუნდია ამ შესარჩევ ციკლში, რომელსაც გატანილი გოლების გრაფაში კვლავინდებურად 0 უწერია.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	6	5	1	0	16-4	16
2. რუსეთი	6	4	2	0	11-1	14
3. ისრაელი	7	4	2	1	15-7	14
4. ინგლისი	6	3	2	1	9-2	11
5. მაკედონია	7	2	1	4	6-7	7
6. ესტონეთი	6	0	0	6	0-11	0
7. ანდორა	6	0	0	6	1-26	0

მომდევნო ტური
6 ივნისი, ოთხშაბათი
ანდორა-ისრაელი
ხორვატია-რუსეთი
ესტონეთი-ინგლისი

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

F ჯგუფი

ლატვია–ესპანეთი 0:2

ლატვია: კოლინკო, ზირნისი, კლავა, ივანოვსი, ზაკრეშევსკისი, რუბინსი (66. სოლონიცინსი), ასტაფიევსი, ლაიზანსი, ბლეიდელისი (86. პერეპლოტკინსი), ვერპაკოვსკისი, კარლსონსი (89. კაუნა).

ესპანეთი: კასილიასი, რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილია, ანგულო (46. ხოაკინი), ალბელდა (67. ჩაბი ალონსო), ჩავი, ინიესტა, ლუის გარსია (55. სოლდადო), ვილია.

გოლები: 0:1 ზაკრეშევსკისი (45-საკ. კარში), 0:2 ჩავი (61)

მაყურებელი: 10 000

ისლანდია–ლიხტენშტაინი 1:1

ისლანდია: არასონი, გ. გუნარსონი, ინგმარსონი, კ. სიგურდსონი, სტეინსონი, გისლასონი, გუდმუნდსონი (70. სევარსონი), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (82. ბიარნასონი), გუდიონსენი, ვ. გუნარსონი (72. ჰ. სიგურდსონი).

ლიხტენშტაინი: იელე, ჰასლერი, რიტცბერგერი, მარტ. შტოკლასა, მიხ. შტოკლასა, ბუხელი, ბურგმაიერი (78. დ. ფრიკი), პოლვერინო (85. კიბერი), თ. ბეკი (87. რ. ბეკი), მ. ფრიკი, როლერი.

გოლები: 1:0 ბ. გუნარსონი (27), 1:1 როლერი (69)

მაყურებელი: 5 139

დანია–შვედეთი

არბიტრზე თავდასხმის გამო მატჩი 89-ე წუთზე შეწყდა. შედეგი, 3:3, გაუქმებულია.

ჩავიმ ასტაფიევსს ხელი ვერ შეუშალა

დანიისა და შვედეთის ნაკრებების მატჩის ბედი უეფას კაბინეტებში გადაწყდება. ვერდიქტი ნებისმიერ წამს შეიძლება გამოამზეურონ. შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე გერმანელმა არბიტრმა, **ჰერბერტ ფანდელმა პოულსენს** წითელი ბარათი აუფრიალა და მასპინძლები პენალტით დასაჯა. ამით განრისხებული დანიელი ფანი მოედანზე შეიჭრა და მსაჯს სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ფანდელმა კი არც აცია, არც აცხელა და თამაში შეწყვიტა. დასანანია, რადგან შეხვედრა თავბრუდამხვევი სცენარით წარიმართა და ცხადია, გაცილებით უკეთეს ფინალს იმსახურებდა. დანია არა მარტო სამი ქულის დაკარგვის, არამედ საშინაო შეხვედრების ნეიტრალურ მოედანზე გამართვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეჭვგარეშეა, უეფა ლოიალურ და ლმობიერ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. სასჯელი სამაგალითო იქნება. ყველამ უნდა დაინახოს, რომ უმსგავსო საქციელსა და ფეხბურთს არაფერი აქვთ საერთო...

შვედებმა მატჩი ძალიან ორგანიზებულად დაიწყეს. მათ თავიდანვე უკან დაიხიეს და აქცენტი კონტრშეტევებზე გააკეთეს. ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა შედეგი მალევე მოიმკა. მეშვიდე წუთზე **გრავგაარდის** მიუტევებელი შეცდომის წყალობით, **ელმანდერი** მეკარესთან ერთი ერთზე გავიდა. სტუმართა ფორვარდმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. ელმანდერმა ოთხ წუთში კარის სიახლოვეს მეტისმეტად სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ ბურთს არავინ გამოეხმაურა.

"ტულუზის" ელეგანტური და სახიფათო ფორვარდი დანიელებს მოურჩენელ თავის ტკივილად ექცათ. მას **ვილჰემსონი** უბამდა მხარს. აღნიშნული ტანდემის აქტიურობის გამო დანიის დაცვა ფაქტობრივად, მთლიანად დაიშალა.

ასეთი უსუსურობის მიუხედავად, მასპინძლებს გატანა შეეძლოთ, მაგრამ **დანიელ იენსენის** მიერ დარტყმული ბურთი **ჰანსონმა** კარის ხაზიდან გამოიტანა. ზუსტად 30 წამში შვედმა მცველმა ბურთი მოწინააღმეგის საჯარიმოსკენ უძლიერესი დარტყმით გაგზავნა. შეტევა **იაკობსენმა** განაგრძო. მეკარემ იმ ეპიზოდში ვერაფერი მოახერხა. რამდენიმე წუთის შემდეგ ვილჰემსონმა და ელმანდერმა მორიგი მწვავე იერიში წამოიწყეს. ეს ყველაფერი ელმანდერის მიერ ქუსლით გატანილი გოლით დასრულდა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ შვედეთი მასპინძლებს აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ჯობდნენ. დანია ქაოსმა მოიცვა. სრულიად წარმოუდგენელი იყო ის შემობრუნება, რომელიც **მორტენ ოლსენის** ბიჭებმა შემოგვთავაზეს. ხუმრობა ხომ არ არის 0:3-ის შემდეგ წონასწორობის აღდგენა? და მაინც, მათ ეს შეძლეს. **აგერმა, ტომასონმა** და **ანდრეასენმა** საოცრება მოახდინეს. ადგილობრივ გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ, რომ მათი კერპები დარჩენილ დროში მესამედაც შეაგდებდნენ. სხვათა შორის, ტომასონს ჰქონდა კიდეც შანსი, მაგრამ **ისაკსონმა** სასწაულებრივი სეივი შემოგვთავაზა. ბოლოს კი მოხდა ის, რაც მოხდა. შვედებმა მორიგი უმწვავესი კონტრიერიში მოაწყვეს და პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს, თუმცა განრისხებული გულშემატკივრების გამო 11-მეტრიანის შესრულება და თამაშის დასრულება ვერ მოხერხდა...

ესპანეთის ნაკრები რიგაში, რა თქმა უნდა, სამი ქულის მოსაპოვებლად ჩავიდა. ლატვიისა და "სელექსიონის" დაპირისპირება ოთხი ადამიანისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი გახლდათ. **ლუის გარსიამ** და **რობერტო სოლდადომ** თავიანთი ქვეყნის უმთავრეს გუნდში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარეს. **იმანტ ბლეიდელისმა** კი ლატვიის ნაკრების ღირსება მეასედ დაიცვა. **იკერ კასილიასი** ეროვნულის კარში 69-ედ ჩადგა და ლეგენდარული **ემილიო ბუტრაგენოს** მაჩვენებელს გაუთანაბრდა.

შესარჩევი ციკლის საწყის ეტაპზე განცდილი წარუმატებლობების გამო, **ლუის არაგონესის** გუნდს უკან დასახევი გზა არ დარჩა. პირენეელებს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე თამაში თუ სურთ, პრაქტიკულად ყველა დარჩენილი თამაში უნდა მოიგონ. ობიექტური მიზეზების გამო, სტუმრები უდავო ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. დასამალი არ არის, რომ ესპანური ფეხბურთი კლასითა და ტრადიციით შეუდარებლად მაღალ საფეხურზე დგას. აქედან გამომდინარე, "სელექსიონს" სამი ქულის მოპოვებაში მხოლოდ სასწაული თუ შეუშლიდა ხელს.

სტუმრებმა თამაში მაღალ ტემპში დაიწყეს. პირველი საგოლე მომენტი სწორედ მათ შექმნეს. ჯერ კიდევ შეხვედრის პირველ წუთზე დებიუტანტმა ლუის გარსიამ შესანიშნავი მომენტი ვერ გამოიყენა. არადა, **დავიდ ვილიამ** ესპანიოლელს დიდებული პასი მიაწოდა. არაგონესის ბიჭებმა მომდევნო წუთებიც შეტევებში გაატარეს. ლატვიის დაცვას უამრავი საფრთხე დამუქრა. მეკარეს ერთი თავისუფალი წამიც კი არ ჰქონდა. თავად განსაჯეთ, ესპანელებმა მხოლოდ პირველ ტაიმში სულ მცირე ექვსჯერ გაუშვეს ხელიდან ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, გოლი არადა არ გადიოდა. თითქოს ტაიმი საყაიმო შედეგით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ პირენეელებს დამხმარედ **ზაკრესევსკისი** მოევლინა. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მან საკუთარი კარი დალაშქრა. დაგვეთანხმებით, "სელექსიონმა" ამით ის სიმშვიდე მოიპოვა, რომელიც მეორე ნახევრის აუღელვებლად ჩატარების საშუალებას მისცემდა...

მართლაც, მეორე ტაიმში ესპანელები გაცილებით უფრო დამაჯერებლად და სწორად თამაშობდნენ. ამ საქმეში **ხოაკინის** შემოსვლამაც დიდი როლი ითამაშა. "ვალენსიის" ნახევარმცველი თანაკლუბელი **მიგელ ანხელ ანგულოს** ნაცვლად გამოჩნდა. მან შეტევებს სიმწავე შემატა. ბალტიელ მცველებს ხოაკინის სწრაფი დრიბლინგების აღკვეთა ძალიან უჭირდათ. სანჩესმა დავიდ ვილიას ორი გენიალური გადაცემა მიაწოდა, თუმცა "ვალენსიის" სუპერ ფორვარდს არც ერთხელ არ გაუმართლა. ამასობაში, მასპინძლებმა უმწვავესი კონტრშეტევა მოაწყვეს. შედეგად **მარის ვერპაკოვსკისი** იკერ კასილიასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ "ხეტაფეს" თავდამსხმელმა ძალიან ცუდად დაარტყა. ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი საკმაო მანძილით ასცდა კარს.

თამაშის ბედს მე-60 წუთზე მოეფინა ნათელი. დებიუტანტმა რობერტო სოლდადომ სწრაფი იერიში წამოიწყო. ოსასუნელმა კარგ პოზიციაზე მყოფი **ჩავი** მონახა. ერნანდესმა არ დაახანა და ძლიერად დაარტყა. ბურთი გზად **ანდრეს ინიესტას** შეეხო და ლატვიელთა მეკარე მცირე რიკოშეტის წინაღმდეგ სრულიად უძლური აღმოჩნდა. მასპინძლებმა თამაშის გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაკარგეს. ესპანეთმა კი ძალების დაზოგვითა და ტემპის დაგდებით საქმე უმნიშვნელოვანეს გამარჯვებამდე მიიყვანა.

საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე ჩავიმ ყვითელი ბარათი მიიღო. ამის გამო ის ოთხშაბათს ლიხტენშტეინთან საკვალიფიკაციო მატჩს გამოტოვებს. რომ არა ერთი ფრიად უჩვეულო და დელიკატური გარემოება, ამ ისტორიაში განსაკუთრებულს ვერაფერს აღმოვაჩენდით. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სჯობს თავად ჩავის განცხადებას გავეცნოთ: *"გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ყვითელი ბარათი განზრახ ავიკიდე. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, მომდევნო ტურის შეხვედრას ჩემი თანაგუნდელები უპრობლემოდ მოიგებენ. მე კი "ბარსელონას" უფრო ვჭირდები. სხვათა შორის, ნაკრებისთვისაც ასე სჯობდა. სექტემბერში ისლანდიასთან გაცილებით უფრო რთულ თამაშს ყვითელი ბარათი გარეშე შეეხვდები. სჯობდა ლატვიასთან გავეფრთხილებინეთ, ვიდრე ლიხტენშტეინთან."*

ესპანელი ჟურნალისტები ჩავის საქციელით გაოცებულები დარჩნენ. ისინი დაინტერესდნენ, ბარსელონელს ყვითელი ბარათის განზრახ მიღების იდეა მთავარმა მწვრთნელმა ხომ არ მიანდო. აი, რას ამბობს ლუის არაგონესი: *"ღვთის გულისთვის, მე თავი დამანებეთ. არაფერი მითქვამს. ამ საქმეში ძალიან მწარე გამოცდილება მაქვს. ერთხელ ერთ-ერთ შეგირდს ვთხოვე, გაფრთხილებულიყო, მაგრამ მან მეტისმეტი მოინდომა და წითელი ბარათი მიიღო. მოგვიანებით კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ამის შემდეგ ხმას აღარ ვიღებ. კმარა, რაც გადავიტანე. ჩავის ნაცვლად ისეთი ნიჭიერი და უძლიერესი ფეხბურთელი ითამაშებს, როგორიც სესკ ფაბრეგასია."*

ისლანდიამ სამი ქულის მოპოვების შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან. ისინი, უბრალოდ, ვალდებულები იყვნენ, საშინაო შეხვედრაში ლიხტენშტეინი დაემარცხებინათ და სატურნირო მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. მასპინძელთა თავკაცმა **ეიდურ გუდიონსენი,** რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში დააყენა, მაგრამ "ბარსელონის" ფორვარდმა განსაკუთრებული ვერაფერი გააკეთა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისლანდიის ეროვნული გუნდი ბოლო ათწლეულის განმავლობაში არასოდეს ყოფილა ასეთი სუსტი და უსუსური. გუნდში არსებული პრობლემები თამაშის ხარისხზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ისიც გასაკვირია, ჩრდილოელებმა ერთი გოლის გატანაც როგორ შეძლეს. წარმატებული იერიში მათ 28-ე წუთზე წამოიწყეს. **ემილ ჰალფრედსონმა გუნარსონი** მონახა და პასი არ დაუგვიანა. მან სიტუაცია სწორად შეასრულა, დროულად დაარტყა და ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ, შედეგმაც არ დაახანა. 69-ე წუთზე **როშერმა** მცველების სერიოზული შეცდომით ისარგებლა და წონასწორობა აღადგინა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩრ. ირლანდია	6	4	1	1	10-7	13
2. შვედეთი	5	4	0	1	9-4	12
3. ესპანეთი	6	4	0	2	11-6	12
4. დანია	4	2	1	1	7-2	7
5. ლიხტენშტაინი	6	1	1	4	4-16	4
6. ისლანდია	6	1	1	4	5-10	4
7. ლატვია	5	1	0	4	4-5	3

მომდევნო ტური
6 ივნისი, ოთხშაბათი
ლიხტენშტაინი–ესპანეთი
შვედეთი–ისლანდია
ლატვია–დანია

G ჯგუფი

ალბანეთი–ლუქსემბურგი 2:0

ალბანეთი: ბექაი, კური, დალკუ, დედე, შკელა, კანა, ჰაჯი (74. ვანგიელი), დურო, ბერიშა (46. მუკა), ბუში (76. სალიჰი), კაპლანი.

ლუქსემბურგი: ჟობერი, კინტციგერი, ბიგარდი (60. და მატა), ჰოფმანი, პეტერსი, შტრასერი, ბეტმერი, რაიალი (82. ფერეირა), კოლეტი (69. საგრამოლა), რემი, მუტში.

გოლები: 1:0 კაპლანი (38), 2:0 ჰაჯი (57)

მაყურებელი: 3 000

ბელარუსი–ბულგარეთი 0:2

ბელარუსი: ყევნოვი, ომელიანჩუკი (72. შტრახანოვიჩი), შტანიუკი, ტიგორევი, კულჩი, კალაჩოვი, კორიტკო, კოვბა, ა. გლები, კორნილენკო (59. ვასილიუკი), კუტუზოვი (46. ვ. გლები).

ბულგარეთი: იანკოვი, ტუნჩევი, ტომაზიჩი, ანგელოვი (90. დომოვჩიისკი), ვაგნერი, ტელკიისკი, კიშიშევი, ს. პეტროვი, იოვოვი (80. მანჩევი), მ. პეტროვი (90. გენკოვი), ბერბატოვი.

გოლები: 0:1 ბერბატოვი (28), 0:2 ბერბატოვი (46)

მაყურებელი: 27 000

სლოვენია–რუმინეთი 1:2

სლოვენია: ჰანდროვიჩი, ჩესარი, ილიჩი, ჯოკიჩი, მავრიჩი, ჩეჰი, კომაჩი, კორენი (53. ბირსა), შუკალო (83. ვრშიჩი), ლავრიჩი, რაკოვიჩი (61. ნოვაკოვიჩი).

რუმინეთი: ლობონტი, კივუ, კონტრა, რაცი, ტამაში, კოდრეა, ნიკოლიცა, როსუ (63. ციკუ), სტოიკა (78. მურეშანი), მარიკა (74. ნიკულაე), მუტუ.

გოლები: 0:1 ტამაში (52), 0:2 ნიკოლიცა (69), 1:2 ვრშიჩი (90)

გაძევება: ჩესარი (80. სლოვენია), ნიკულაე (80. რუმინეთი)

მაყურებელი: 6 000

ქართველი ქომაგისთვის ალბანეთი-ლუქსემბურგის შეხვედრა ერთად ერთი გარემოების გამო თუ იქნება საინტერესო. საქმე ის არის, რომ ალბანეთისა და ლუქსემბურგის ნაკრებების დაპირისპირებას ქართველ მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა. მთავარი არბიტრი **ლაშა სილაგავა** გახლდათ. ლაინსმენობა კი **ლევან მიქელაძემ** და **ზურაბ ჯვარიძემ** გასწიეს. **ლევან ფანიაშვილი** სათადარიგო მსაჯი იყო. უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, ის მასპინძელთა დიდი უპირატესობით აღინიშნა. გამარჯვების გოლები **კაპლანისა** და **ჰაჯის** ანგარიშზე ჩაიწერა.

ხრისტო სტოიჩკოვის "სელტაში" გადაბარგების შემდეგ ბულგარეთის ნაკრებმა პირველი საკვალიფიკაციო ორთაბრძოლა ჩაატარა. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, სტუმრებს, ისევე, როგორც მასპინძლებს, შეტევაში აქტიურად უნდა ეთამაშათ. მოკლედ, ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბულგარეთს მხსნელად **დიმიტარ ბერბატოვი** მოევლინა. მან დუბლი შეასრულა. ცხადია, ეს სერიოზული მიღწევაა, მაგრამ ბულგარელთა ფორვარდის მთავარი დამსახურება არა ორი გოლი, არამედ ის აქტიური და დაუღალავი თამაშია, რომლის გამოც ბელორუსები მთელი ძალით წინ წასვლას ვერ ახერხებდნენ. ერთი სიტყვით, ბერბატოვმა ძველი ტაქტიკა აამოქმედა - თავდასხმა ხომ თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა...

სტუმრებმა 4-2-3-1 ტაქტიკას მიანიჭეს უპირატესობა. ერთი შეხედვით, ბერბატოვი მარტოდ მარტო მიტოვებული ფორვარდი გახლდათ, თუმცა ასე ნამდვილად არ იყო. დიმიტარს ფლანგებიდან **ხრისტო იოვოვი** და **მარტინ პეტროვი** ეხმარებოდნენ. შეტევას **სტანისლავ ანგელოვი, სტილიან პეტროვი** და **დიმიტარ ტელკიისკიც** დიდ ძალებს ახმარდნენ.

ბელორუსებმა უფრო თამამი ტაქტიკა შეიმუშავეს - 4-1-3-2. მასპინძელთა დამრიგებელმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე მხოლოდ **ალექსანდრ კულჩი** გაამწესა. სამაგიეროდ თავდასხმაში ორი კაცი მოქმედებდა. **სერგეი კორილენკოსა** და **ვიტალი კუტუზოვს** გოლების გატანაზე უნდა ეზრუნათ. **ალექსანდრ გლებს, ვლადიმირ კორიტკოსა** და **ტიმოფეი კალაჩევს** კი მათი ხელსაყრელი პასებით მომარაგება ევალებოდათ. მასპინძელთა ჩანაფიქრმა კრახი განიცადა, სქემამ არ იმუშავა.

ინიციატივისთვის ბრძოლამ სულ რაღაც ათ წუთს გასტანა. ამის შემდეგ ბელორუსებმა მთელი გუნდით უკან დაიხიეს და ბულგარელებს თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცეს. მე-12 წუთზე ბერბატოვმა მილიმეტრებით ააცილა **ყევნოვის** კარს. მოგვიანებით, მან ხარიხას გაარტყა ბურთი. ბუნებრივია, უიღბლობათა სერია უსასრულოდ არ გაგრძელდებოდა. მალე ბერბატოვმა უსამაზესი შეტევა განახორციელა. ის ერთბაშად სამ მცველს დაუსხლტა და მოჭრილი დარტყმით ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის დებიუტში კი ბელორუსებს, პრაქტიკულად, ყველა შანსი დაუკარგა. 47-ე წუთზე სტუმართა გენიალურმა ფორვარდმა დაახლოებით 14 მეტრიდან აუღებელი დაარტყა. ამ გამარჯვების წყალობით, ბულგარელებმა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლის შანსები შეინარჩუნეს...

სლოვენიელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს, რუმინეთის ნაკრებს ღირსეულად დაუპირისპირდებოდნენ. მასპინძელთა მოლოდინი მატჩის მეოცე წუთის შემდეგ მთლიანად გაქარწყლდა. სტუმრები უდავო უპირატესობას დაეუფლნენ. გასაკვირი მხოლოდ ის არის, მეორე ტაიმამდე ანგარიშის გახსნა როგორ ვერ მოახერხეს. რუმინეთი **ტამაშის** ზუსტი დარტყმის წყალობით დაწინაურდა. ზუსტად 17 წუთში მოვლენათა ეპიცენტრში უკვე **ნიკოლიცა** მოექცა. მან **შუკალოს** მიერ წესების დარღვევისთვის დანიშნული საჯარიმო გამოიყენა. საფინალო სასტვენამდე არცთუ დიდი ხნით ადრე ორბურთიანი უპირატესობა, რა თქმა უნდა, სერიოზული განაცხადი გახლდათ. რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა თავს მოდუნების უფლება მოლოდ მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო წამებზე მისცა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ **ვრშიჩმა** საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი. რუმინეთისთვის სლოვენიაში მიღწეული ტრიუმფი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ. ვლახები ჯგუფის ფავორიტებად რჩებიან...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	6	4	2	0	12-4	14
2. ჰოლანდია	6	4	2	0	8-2	14
3. ბულგარეთი	6	3	3	0	9-3	12
4. ბელარუსი	6	2	1	3	9-13	7
5. ალბანეთი	6	1	3	2	5-6	6
6. სლოვენია	6	1	1	4	5-10	4
7. ლუქსემბურგი	6	0	0	6	1-11	0

მომდევნო ტური
6 ივნისი, ოთხშაბათი
ლუქსემბურგი–ალბანეთი
ბულგარეთი–ბელარუსი
რუმინეთი–სლოვენია

იტალია

სერია B

XL ტური

არეცო-ბოლონა	0:0
ბარი-იუვენტუსი	1:0
ბოლონია-კროტონე	2:1
ჩეზენა-ვერონა	0:1
ფრეზინონე-ალბინოლეფე	2:0
მანტოვა-ჯენოა	1:0
ნაპოლი-ლეჩე	1:0
პესკარა-ბრეშია	1:3
სპეზია-ტრევიზო	1:2
ტრიესტინა-რიმინი	1:1
ვიჩენცა-პი



ზდენეკ ზემანი

სამწვრთნელო გადაადგილებები

ზემანი ემზადება, ბალდინი უკვე დასაქმდა

სკანდალური ჩეხი რეჯინაში ინიშნებაო...

იტალიაში სამწვრთნელო გადაადგილებები გრძელდება. "რეჯინა" გენუაში გადახვეწილი **ვალტერ მაძარის** შემცვლელს ჯერ კიდევ ეძებს. მიუხედავად იმისა, რომ რეჯოკალაბრიული კლუბი ბოლო ტურში გადაურჩა გავარდნას, 11-ქულიანი ჯარიმის პირობებში გუნდს სეზონი მაინც წარმატებულად ეთვლება. პირველ რიგში, ეს თამაშის ხარისხზე ითქმის. ამიტომ, კლუბის პრეზიდენტი **პასკუალე ფოტი** მაძარის ალტერნატივად ღირსეულ და სახელიან კაცს ეძებს. ცალკეული სააგენტოების მტკიცებით, ვაკანტურ პოსტზე უკვე შეგულებულია **ზდენეკ ზემანი**, რომელსაც მთავარ მწვრთნელად ამ დღეებში დაამტკიცებენ.

სამი წელია, სკანდალურ ჩეხს სერია A-ში არ უმუშავია. "ლეჩედან" წასვლის შემდეგ, ის ქვედა დივიზიონში მოღვაწეობდა. იყო "ბრეშას" დამრიგებელი, მაგრამ სამსახური შუა სეზონში დაატოვებინეს. მერე "ლეჩეში" დაბრუნდა, მაგრამ ჩემპიონატის ბოლომდე ვერც იქ გაძლო. ის ამ მომენტისთვის უმუშევარია. *"თავს კარგად ვგრძნობ, კარგადაც დავისვენე და უკვე მზად ვარ, საქმეს დავუბრუნდე"* - აცხადებს შემტევი ფეხბურთის მოყვარული ზემანი, რომელიც ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, მაინც მოთხოვნადი სპეციალისტია.

ამასობაში კი "კატანიამ" სამწვრთნელო პრობლემა უკვე გადაჭრა. ოფიციალურად გაცხადდა, რომ ახალი სეზონიდან სიცილიურ კლუბში გამოცდილი **სილვიო ბალდინი** იმუშავებს. იტალიურ ფეხბურთში ბალდინის "მეხანძრედ" იცნობენ. ის ხშირად შუა სეზონში ინიშნება ამა თუ იმ პოსტზე და მეტნილად წარმატებებს აღწევს. ამჯერად, მუშაობის დაწყება მას უფრო მშვიდ რეჟიმში მოუწევს. ბალდინის ბოლო წარმატება 2004 წელს, სერია A-ში "პალერმოს" დაბრუნებას უკავშირდება. თვალსაჩინო იყო მისი მიღწევა "ემპოლიშიც", რამდენიმე წლის წინათ, როცა გუნდი ჯერ ელიტაში აღაზევა, მერე კი ცხრილის შუაში დაუმკვიდრა ადგილი. ბალდინის ხვალ წარადგენენ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ვერდერი კლოზეს ახლავე გაუყიდნიდ

მთავარია, ბავარიელებმა არ დაიგვიანონ და 15 მილიონი გადაიხადონ

მიროსლავ კლოზემ სან მარინოსთან 90 წუთი ითამაშა, მაგრამ გოლები ისევ სხვებმა გაიტანეს. ამრიგად, მუნდიალის ბომბარდირმა ვერც უსუსურ სან მარინოსთან შეძლო თავის გამოჩენა. მიუხედავად ამისა, მირო მაინც ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

"ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** რეგულარულად იმეორებდა, კლოზეს არ გაყიდით, მირო მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნებაო. ახლა კი, ყველასათვის მოულოდნელად, აზრი შეიცვალა - ალოფსი მზადაა, "ბაიერნთან" მოლაპარაკებები დაიწყოს. *"თუკი მიუნხენური კლუბის შეფები დამირეკავენ, ყურმილს ნამდვილად არ დავკიდებ, დაველაპარაკები. სიამოვნებით მოვუსმენ, გააჩნია, რას შემომთავაზებენ. ჩვენ იძულებულები ვართ, რომ არსებული სიტუაცია რეალურად შევაფასოთ და ისე ვიმოქმედოთ, როგორც "ვერდერისთვის" აჯობებს,"* - განაცხადა ალოფსმა "ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში. რა იქნება "ვერდერისთვის" უმჯობესი? ცხადია ის, რომ კლოზე ახლავე გაყიდონ, რადგან გაისად კონტრაქტის ვადა ამოეწურება და რეკორდმაისტერში უფასოდ გადავა. მაგრამ ალოფსი იქვე ამატებს: *"მზად ვარ, მოლაპარაკებები ვაწარმოო, ოღონდ გარკვეულ დრომდე. თუკი ბავარიელები დროულად არ დამირეკავენ, მოვა დრო, როცა მათთან საუბარზე უარს ვიტყვი. და მაშინ, რაოდენ დიდი თანხაც არ უნდა შემოგვთავაზონ, მიროს არ გავყიდით."*

საქმე ისაა, რომ "ვერდერი" კლოზეს სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ითხოვს. ბავარიელებს კი მხოლოდ 12 მილიონი ევროს გადახდა სურთ და იმით მანიპულირებენ, რომ კლოზეს გაისად კონტრაქტი უმთავრდება და "ვერდერს" სხვა გზა არ აქვს, 12 მილიონზეც უნდა დათანხმდეს. ამასობაში "მუსიკოსების" ფინანსების განმკარგველმა **იურგენ ლ. ბორნმა** დაადასტურა, რომ "ბაიერნის" შეფებს კლოზეს თაობაზე რამდენჯერმე ესაუბრა და რომ მოლაპარაკების საგანი სნორედ მირო იყო. თუმცა ბორნი იმასაც ამბობს, რომ მიუნხენელებს მისთვის ოფიციალური წინადადებით ჯერ არ მიუმართავთ და რომ ზემოთ ხსენებული საუბრებით რეკორდმაისტერის შეფებს მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვა სურდათ.

კლოზე იყიდება

"დარწმუნებული გახლავართ, რომ 2008 წლის ზაფხულში კლოზე "ბაიერნში" გადმოვა. არაა გამორიცხული, რომ ეს ტრანსფერი უფრო ადრეც განხორციელდეს," - ეს უკვე მიუნხენელთა ვიცე-პრეზიდენტის **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. თვითონ ფეხბურთელი ჯერ ჯერობით დუმილს ამჯობინებს. არც სან მარინოსთან თამაშამდე და არც მატჩის შემდეგ, მირომ მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ კლოზე "ბარსელონის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში კვლავინდებურად ფიგურირებს.

კლოზეს მდგომარეობასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა მისმა ბრემენელმა კოლეგა **ტორსტენ ფრინგსმა**: *"არა მგონია, მიროს ბრემენში დარჩენა უნდოდეს. მართალია, ძალიან გვჭირდება და პირადად მეც ვისურვებდი, რომ დარჩეს, მაგრამ ამ თეატრის შემდეგ ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ "ბაიერნში" გადასვლა უნდა. და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ უნდა წავიდეს. ასეთ შემთხვევაში, კლოზე "ვერდერს" არაფერში სჭირდება."* ერთი სიტყვით, რაც დრო გადის, კლოზე "ბაიერნს" სულ უფრო და უფრო უახლოვდება.

გოტფრიდ ლენცი

ბრაგედია ზამბიაში

12 ქრმაგი დაიღუპა და 46 დაშავდა ზამბიაში, ამ ქვეყნის ნაკრებისა და კონგოს ეროვნულ გუნდს შორის აფრიკის თასის საკვალიფიკაციო მატჩის (3:0) დროს მომხდარი შეტაკების შედეგად. უცნაურია, რომ ყველა დაღუპული (9 კაცი, 3 ქალი) ადგილობრივი გულშემატკივარია. ქალაქი, სადაც თამაში გაიმართა, კონგოს საზღვართანაა ახლოს. ამდენად, 18-ათასიან სტადიონზე სტუმარი ქომაგებიც მრავლად იყვნენ. გადაწყვეტილი იყო, რომ მატჩი დღის შუქზე გაიმართებოდა, რათა ჩამოსულებს შინ დაბრუნება დაბნელებამდე მოესწროთ, თუმცა შეხვედრა დათქმულზე გვიან დაიწყო. ორგანიზატორები, თურმე, სტადიონის შევსებას ელოდებოდნენ. უწესრიგობას, სტუმართა თავაშვებულობის გარდა, უსაფრთხოების სამსახურის უნიათობასაც აბრალებენ.

კინმა სქოულზი სანდერლენდში მიიწვია

როი კინმა პოლ სქოულზის შეძენა გადაწყვიტა. "სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელი ვეტერან ნახევარმცველში 2 მილიონ გირვანქას იხდის. "მანჩესტერ იუნაიტედმა" ახალი სეზონისათვის სამი ნახევარმცველი შეიძინა. **ანდერსონის, ნანისა** და **ოუენ ჰარგრივსის** ტრანსფერები "ეშმაკებს" 48 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. სქოულზის პოზიციები შეიძლება შესუსტდეს. არაა გამორიცხული, პოლმა თადარიგში გადაინაცვლოს. კინი შექმნილ ვითარებას ითვალისწინებს და ძველ მეგობარს სარფიან კონტრაქტს სთავაზობს. ირლანდიელს სქოულზის გამოცდილება სჭირდება. როის არ სურს, პრემიერლიგაში აღზევებულმა მისმა გუნდმა მხოლოდ ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოლოს. 32 წლის სქოულზს საუცხოო სეზონი ჰქონდა. პროფესიონალი ფეხბურთელთა გამოკითხვაში ის წლის მესამე ფეხბურთელად დაასახელეს. "სანდერლენდმა" შეიძლება ნიუკასლელი ნახევარმცველის, **ნიკი ბატის** ტრანსფერზეც იმუშაოს.

ანელკას ზღაპრული ქორწილი მაროკოში

მომავალ კვირაში **ნიკოლა ანელკა** ზღაპრულ ქორწილს გადაიხდის. ის სტუმრებს მაროკოს ქალაქ მარაკეშში ელოდება. ფრანგმა თავდამსხმელმა კერძო თვითმფრინავი დაიქირავა, რათა ბოლტონელი თანაგუნდელები ჩრდილოეთ აფრიკაში ჩაიყვანოს. მათთვის ოთხი დღით განმავლობაში დაჯავშნილი იქნება ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. სტუმართა სიაში არიან მწვრთნელები, ფეხბურთელები, "ბოლტონის" მომსახურე პერსონალი, მაგრამ როგორც ირკვევა, ანელკას ქორწილში გამგზავრებას ყველა ვერ მოახერხებს. ზოგიერთს ოჯახებთან ერთად შვებულება უკვე დაგეგმილი აქვს. ნიკოლას არა ერთი კლუბი აქვს გამოცვლილი. მისი ყველა ტრანსფერის საერთო ღირებულებად 50 მილიონ გირვანქას გადააჭარბა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელმა მარტო ამ ტრანსფერებიდან მილებული შემოსავლებით მრავალმილიონიანი ქონება დააგროვა.

ინგლისი vs ბრაზილია. გამოხმაურება

უკეთესი ინგლისი

ბექჰემი ესტონეთთან ძირითადში ითამაშებს

ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელ **ტერი ვენეიბლს დევიდ ბექჰემის** გამოძახება არ სურდა. ამ ინფორმაციას "სანდი მირორი" ავრცელებს. მაგრამ **სტივ მაკლარენმა** მის მიერვე უარყოფილ ნახევარმცველს მაინც უხმო. ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩის 68-ე წუთზე დევიდმა საგოლე პასი გააკეთა, ხოლო 77-ე წუთზე, როცა **ჯერმეინ ჯენასით** შეცვალეს, ფეხზე წამომდგარმა მაყურებელმა ოვაციები მოუწყო.

ოთხშაბათს ინგლისი ესტონეთს ეწევა. "მირორის" მიმომხილველს ეჭვი არ ეპარება, რომ ბექზი ძირითადში ითამაშებს. ის იმაშიც დარწმუნებულია, რომ დევიდს უკლებლივ ყველა საკვალიფიკაციო მატჩისათვის გამოიძახებენ, თუნდაც ამისათვის კალიფორნიიდან ხანგრძლივი მგზავრობა გახდეს საჭირო.

პარასკევს ბრაზილიამ მსაჯისაგან დამატებულ დროში გაათანაბრა. **დიეგომ** და **ჟილბერტო სილვამ** (საგოლე პასის ავტორი) ცენტრალური მცველების შეცდომით ისარგებლეს. **ჯონ ტერი** რომ ყოფილიყო, გოლი იქნებ ვერც გაეტანათ, მაგრამ მწვრთნელს კაპიტნის საკუთარი სურვილით არ შეუცვლია. "ჩელსის" ვარსკვლავმა მუხლი იტკინა და ტალინში შეიძლება ვერ ითამაშოს.

ბრაზილიასთან მატჩის წინ ჯონმა ფანებს მოუწოდა, მოდით, "უემბლი" ციხესიმაგრედ გადავაქციოთო. მაგრამ მეორე ტაიმი დაიწყო და ტრიბუნებზე ადგილ-ადგილ ცარიელი სკამები გამოჩნდა. ნუთუ ინგლისში არ მოგროვდა 90 ათასი მაყურებელი, რომელიც "უემბლის" გაავსებდა? მოგროვდებოდა, ორგანიზატორებს ბევრი კორპორატიული ბილეთი რომ არ გაეყიდათ – ეს ხალხი ფეხბურთის ნამდვილი ფანი არ აღმოჩნდა.

თამაშის გარჩევისას მიმომხილველებმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. პირველი: თავდასხმაში ვერ იმუშავა **ალან სმიტისა** და **მაიკლ ოუენის** დუეტმა, დაცვის ცენტრში არადამაჯერებლად გამოიყურებოდა **ლედლი კინგი**, ხოლო **ჯეიმი კარაგერს** ძალიან გაუჭირდა მარჯვენა მცველობა. **ალან შირერმა**, რომელიც რეპორტაჟს "სქაის" ეთერში უძღვებოდა, დასძინა, რა თქმა უნდა, პრობლემები იყო, მაგრამ მე დადებითი უფრო მეტი დავინახეო. ალანის თქმით, ცენტრში შეუდარებელი იყო **სტივ ჯერარდი**. "ლივერპულის" კაპიტანმა **კაკას** თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა. უფერულად ითამაშა **რონალდინიომაც**, თუმცა ეს უკანასკნელი მატჩს ისე მოეკიდა, თითქოს კობაკაბანის პლაჟზე ყოფილიყოს.

სტუმართაგან ყველაზე მაღალი შეფასება **ჟილბერტო სილვამ** დაიმსახურა. არბიტრის შეცდომა რომ არა, არსენალელი ანგარიშს გახსნიდა. მე-20 წუთზე მას უსამართლოდ გაუუქმეს გოლი. **რობინიოს** პასისას სამი ბრაზილიელი ფეხბურთელი დარჩა თამაშგარეში, მაგრამ მათ შორის ჟილბერტო არ ყოფილა. მან მოძრაობის დასაწყებად დრო ზუსტად შეარჩია და თავით შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა ალამი აღმართა. ნახევარმცველს უსამართლო გადაწყვეტილება დიდად არ გაუპროტესტებია.

ინგლისელთა უკლებლივ ყველა საჯარიმოსა და კუთხურს ბექჰემი ასრულებდა. **ფრენკ ლემპარდი,** ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო. ფრენკს უსტვინეს, როცა თამაშის წინ მისი გვარი გამოაცხადეს და უსტვინეს მაშინაც, როცა მინდორს ტოვებდა. ბექჰემისა და ტერის გასვლა ინგლისს მაშინვე დაეტყო. **ვეს ბრაუნი** გახურებული არ იყო, რომ ბურთი მეტოქის თავდამსხმელს ჩააბარა და კინაღამ გოლი მიიღო. ბრაზილიელთა საპასუხო გოლი და თამაშის დასრულება ერთი იყო. თუმცა ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ალბიონელთა გადახალისებული შემადგენლობა ბევრად სჯობდა მაკლარენის ტრადიციულ ნაგავს. მთავარია, ამ შემადგენლობამ ოფიციალურ მატჩებშიც სასურველ შედეგებს მიაღწიოს.

დევიდ ბექჰემი და ჯონ ტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ

ᲓᲦᲔᲡ კალათბურთის აკადემიის დარბაზში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შეიკრიბება. 20-წლამდელებს წინ მეტისმეტად ცხელი ზაფხული ელით - ჯერ თბილისში მოემზადებიან, შემდეგ უკრაინაში გამართავენ საკონტროლო მატჩებს, ივლისში კი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან.

ევრო-2007 ორ ქვეყანაში გაიმართება - საკალათბურთო მატჩებს იტალის ქალაქი გორიცია და სლოვენიური ნოვა გორიცა უმასპინძლებს. ევროპის ახალგაზრდული პირველობა 6 ივლისს დაიწყება და 15-მდე გასტანს. ასე რომ, თუ 20-წლამდელებიდან ვინმე ეროვნულ ნაკრებში ადგილს დაიმსახურებს, **გორდონ ჰერბერტის** გუნდსაც ჩამოასწრებს - საქართველოს ნაკრების ოფიციალური შეკრება ხომ 18 ივლისს იწყება.

ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 16 გუნდი ოთხ ჯგუფადაა განაწილებული. დავით უსტიაშვილის კოლექტივის მეტოქენი იქნებიან იტალიელები, ლატვიელები და ბულგარელები. თითო ჯგუფიდან სამ-სამი საუკეთესო მეორე ეტაპზე გავა, ხოლო 4 ბოლოადგილოსანი მე-13-16 ადგილებისთვის განაგრძობს ბრძოლას.

ჯგუფებიდან გასული 12 ნაკრები ორ ქვეჯგუფად გაიყოფა, საიდანაც პირველ-მეორეადგილოსნები ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან. ნახევარფინალს რაც მოსდევს, მკითხველსაც კარად მოეხსენება.

სათამაშო ფორმატისთვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმისთვის, რომ ვაღიაროთ - დიდი შანსია, ქართველმა 20-წლამდელებმა A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნონ. ამისთვის აუცილებელია პირველ ჯგუფურ ეტაპზე მეოთხე ადგილს თავი დააღწიონ. იმასაც შეგახსენებთ, რომ B დივიზიონში 2 ნაკრები დაქვეითდება.

გასულ კვირას ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელის, **დავით უსტიაშვილის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. იგი ამბობდა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონატისთვის მთლიანად ახალი გუნდის შენება მოუწევს. თუ შარშანდელ ახალგზარდულ ნაკრებში მოთამაშე 1986-წლიანები მანამდე ერთად სამი წლის განმავლობაში ასპარეზობდნენ, წლეულს, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობიდან 1987-88 წელს დაბადებულებს ერთად არ უთამაშიათ.

ამ სიტყვებში კალათბურთში ჩახედული ქომაგი ფიბა-ში გაგზავნილი განაცხადიდანაც დარწმუნდება:

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

20-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

	ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ	ᲓᲐᲑ. ᲗᲐᲠ	ᲙᲚᲣᲑᲘ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲐ	189	15.10.1989	ᲐᲖᲝᲢᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ	203	12.04.1987	ᲗᲡᲣ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲫᲝᲫᲣᲐ	192	10.04.1987	ᲐᲖᲝᲢᲘ
ᲠᲔᲖᲝ ᲓᲘᲓᲘᲐ	204	26.12.1987	ᲐᲖᲝᲢᲘ
ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲑᲐᲨᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ	186	25.03.1988	ᲐᲡᲙ (ᲚᲐᲢᲕᲘᲐ)
ᲒᲘᲝᲠᲗᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ	188	11.02.1988	ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲒᲔᲫᲐ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ	188	06.01.1989	ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ (ᲚᲘᲢᲕᲐ)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲯᲒᲔᲠᲘᲜᲐᲘᲐ	205	11.09.1988	ᲛᲐᲙᲐᲑᲘ
ᲚᲔᲥᲩᲝ ᲚᲐᲨᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ	196	13.03.1987	ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ	207	01.01.1989	ᲗᲡᲣ
ᲚᲣᲙᲐ ᲜᲝᲬᲐᲫᲔ	206	31.07.1988	ᲡᲢᲣ
ᲚᲐᲨᲐ ᲤᲐᲠᲚᲐᲚᲐᲕᲐ	190	07.02.1987	ᲞᲔᲜᲡᲐᲙᲝᲚᲐ (ᲐᲨᲨ)
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ	198	24.09.1988	ᲣᲙᲚᲣᲑᲝᲛ
ᲒᲘᲝᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ	196	18.11.1988	ᲛᲐᲙᲐᲑᲘ
ᲒᲘᲝᲠᲗᲘ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ	216	02.04.1989	ᲛᲐᲙᲐᲑᲘ

ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲘᲡᲐ ᲠᲝᲛᲐᲡᲗᲐᲜ

ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲓᲐ

ᲡᲘᲔᲜᲐᲨᲘ განცდილი წაგების შემდეგ **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲘᲡᲐᲡ** "მონტეპასკიმ" იტალიის დედაქალაქში იქაური "რომა" მძიმე ბრძოლაში 84:76 დაამარცხა.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲡᲐᲢᲝᲡ ზუსტი თამაშის წყალობით სიენელებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, საწყისი მეოთხედი 21:10 მოიგეს, მაგრამ მეორეში რომაელებმა სიტუაციის გამოსწორება სცადეს და სტუმართა მწვრთნელ **ᲡᲘᲛᲝᲜᲔ ᲞᲘᲐᲜᲘᲯᲐᲜᲘᲡ** დაცვის გასაძლიერებლად მოედანზე ვლადიმერ ბოისას გამოყვანა მოუხდა. ვოვამ სულ 8 წუთი ითამაშა და 4 ქულა ჩაიწერა. მან ეს ოთხივე ქულა მეორე ათწუთეულში ჩააგდო, ჯერ ორქულიანით სხვაობა 9-მდე გაზარდა (36:27), ხოლო ტაიმი სტუმრებმა რომ მოიგეს, ესეც ჩვენიანის დამსახურებაა - პირველი მეოთხედის ბოლო წუთზე ბოისამ ორი საჯარიმო ზუსტად ტყორცნა 38:34.

მესამე ათწუთეული კვლავ "მონტეპასკის" იყო. შეხვედრის ბედიც სწორედ ამ პერიოდში გადაწყდა, სტუმრებმა ბოლო რაუნდის წინ 7-ქულიანი ფორა მოიპოვეს (61:54) და საფინალო სირენამდე "რომასთვის" გადასწრების უფლება არ მიუციათ.

ასე და ამგვარად, სერია A-ს ნახევარფინალურ დაპირისპირებაში ანგარიში გათანაბრდა - 1:1. "მონტეპასკი"-"რომას" მესამე მატჩი 5 ივნისს გაიმართება. ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ რომაულ ნახევარფინალს იტალიის საფეხბურთო ნაკრებისა და "რომას" ვარსკვლავი, **ᲤᲠᲐᲜᲩᲔᲡᲙᲝ ᲢᲝᲢᲘᲪ** დაესწრო.

ᲗᲣᲙᲘ ბოისას შეზღუდული სათამაშო დრო (8 წუთი) "მონტეპასკის" გასვლითმა გამარჯვებამ გადაფარა, სლოვენიიდან სანუგეშო არაფერია - ფინალური სერიის მესამე მატჩში **ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მონაწილეობა არ მიუღია (ფეხის ტრავმა აქვს), მისი და ფინელი **ᲢᲔᲔᲛᲣ ᲠᲐᲜᲘᲙᲝᲡ** გარეშე "ოლიმპიამ" "ჰელიოსს" ვერაფერი დაუპირისპირა და, "ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში კაპიტულაცია გამოაცხადა: საწყისი 20 წუთი ჰელიოსელებმა 37:25 მოიგეს. მეორე ნახევარში კი დაცვაში თამაში გაამკაცრეს და საფინალო სირენამ მასპინძელთა 66:56 გამარჯვება დაფიქსირა.

ერთადერთი, ვისზეც "ოლიმპიას" რიგებში აუგი არ ითქმის, **ᲛᲘᲰᲐ ᲖᲣᲰᲐᲜᲘᲐ**, რომელმაც 23 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

სამი ფინალური მატჩის შემდეგ სერიას "ჰელიოსი" იგებს - 2:1. მას ოქროს მედლამდე ერთი გამარჯვებაღა უკლია...



ᲑᲠᲐᲘᲐᲜᲢᲡᲐ (8) ᲓᲐ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲡ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲓᲣᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲕᲐᲠᲐᲣᲦᲘ

ᲗᲣᲙᲘ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲡ ᲑᲠᲐᲘᲐᲜᲢᲨᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲐᲜ...

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ გაზეთ "ჰუპს ვორლდში" გამოქვეყნდა მოკლე, მაგრამ საინტერესო სტატია, რომელშით გაომთქმული იყო ვარაუდი - თუ "ატლანტა ჰოქსი" კობი ბრაიანტის დამატებას მოინდომებს, შეიძლება ზაზა ფაჩულიას "ლეიკერსში" გაშვება მოუწიოს:

"კობი ბრაიანტმა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელებს გაყიდვა მოსთხოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი 29 გუნდი კობის ყიდვაზე დაფიქრდება, რადგან ბრაიანტის დონის მოთამაშე, სწორად გამოყენების შემთხვევაში, ფლეი ოფში მოხვედრის გარანტიაა. ბრაიანტი კი ყველაზე მეტად "ატლანტა ჰოქსს" არგებს - **ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲗᲐᲜ** ერთად იგი მრისხანე შემტევ დუეტს შექმნის.

მაგრამ კობის კონტრაქტის ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია, რომ იგი არ იყიდება. ამიტომ ვინც მის დამატებას მოინდომებს, სერიოზული ტრეიდი უნდა განახორციელოს. მაგალითად "ატლანტას" "ლეიკერსში" 5 კაცის გაშვება მოუხდება - **მერვინ უილიამსის, ჯოშ სმიტის, სპიდი კლექსტონის, ზაზა ფაჩულიასი** და დრაფტის მე-3 ნომრის. კობი ბრაიანტი იმდენად საჭირო ფიგურაა, რომ "ჰოქსის" გენერალური მენეჯერი ამ ხუთეულის გარდა, შეიძლება კიდევ 2007 წლის დრაფტის მე-11 ნომერსაც შეელიოს. ასეთი გაცვლა "ლეიკერსსაც" უნდა აწყობდეს, რადგან ჩანთებზე მჯდომი ბრაიანტის ნაცვლად რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას მიიღებს."

საინტერესო მოსაზრებაა, მაგრამ მას ოფიციალური პირების კომენტარი არ ახლავს. ხოლო ზაზა როგორ რეაგირებს ჟურნალისტების მსგავს ვარაუდებზე, ქართველ მკითხველს კარგად მოეხსენება: *"ბამთარშიც ჩამოვარდა საუბარი ჩემს გაცვლაზე. ჟურნალისტებმა "შემფისში" გადამიყვანეს, ხოლო პაუ გასოლი "ატლანტაში" ჩარიცხეს, მაგრამ ეს მხოლოდ ჭორაობა იყო. სახელისთვის ბევრი სენსაციურ ჭორებსაც იგონებს, მაგრამ იგი თითქმის არასოდეს მართლდება. ასე რომ, მსგავს მოსაზრებებს არც მე ვაქცევ ყურადღებას."*

ძიუდო

საქართველოს ნაკრები

ჩაქვიდან რიო დე ჟანეირომდე

ხუთი შეკრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ



კონკურენტები: ადამ ოქრუაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები რამდენიმე ტურნირში გამოვიდა, მერე ცოტა დაისვენა და ხვალიდან მსოფლიო ჩემპიონატისთვის იწყებს მზადებას. აღსანიშნავია, რომ ეს უპრეცედენტოდ დატვირთული მოსამზადებელი ეტაპი იქნება, რადგან ჩვენები ერთბაშად 5 შეკრებას გაივლიან. თანაც, ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებულ ადგილებში - მთაში, ბარში, ზღვაზე, საქართველოში, უცხოეთში... აქამდე მსგავსი ტურნირებისთვის გუნდი ძირითადად სამ შეკრებას ახერხებდა და ისიც მხოლოდ საქართველოში, ახლა კი სასიამოვნო მრავალფეროვნებაა.

ცხადია, ამ ციკლში გუნდიდ ძირითადი დამფინანსებელი ისევ ოლიმპიური ფონდია (ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლასაც ის აფინანსებს), თუმცა ამჯერად თავისი წვლილი საქართველოსა და აჭარის ძიუდოს ფედერაციებსაც შეაქვთ. ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო, ისე გამოდის - სამთა ძალისხმევით მზადების უწვეულო ციკლი დაიგეგმა, რაც უთუოდ მისასალმებელია.

თუმცა ვიდრე ამ შეკრებების თანმიმდევრობაზე ვისაუბრებთ, მანამ იმ შემადგენლობას შეგახსენებთ, რომელიც ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** სალიცენზიო ტურნირების შედეგებით, 13-16 სექტემბერს გასამართი მსოფლიო პირველობისთვის შეიგულა: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100).

გასარკვევია მონაწილეთა ვინაობა 81 კილოში და აბსოლუტურ პირველობაში . 81-ში სანაკრებო ლიდერობისთვის **გიორგი ბაინდურაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** იბრძვიან, აბსოლუტურში - **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი**. მაგრამ აქ ერთი განსხვავებაც უნდა შევნიშნოთ - თუ 81-ში ხაბარელმა არჩევანი კონკურენტთა სიძლიერის გამო ვერ გააკეთა, აბსოლუტურში კანდიდატთა აქამდელი გარჯით უკმაყოფილოა და არ გამორიცხავს, თუ მათ შეკრებებსა და დარჩენილ ერთადერთ გამოსაცდელ ტურნირზე არ მოუმატეს, აქაც გუჯეჯიანი აჭიდაოს.

ნაკრები პირველ შეკრებას ხვალ იწყებს ჩაქვიდან, სადაც ბიჭები ზღვაზე დაისვენებენ. ეს განსატვირთი შეკრებაა, სადაც დიდი ფიზიკურ-ტექნიკური დატვირთვები არ იქნება. ძირითადი ძალების აღდგენას დაეთმობა. ამიტომ სპორტსმენებთან ერთად მათი ოჯახის წევრებიც იქნებიან. ზღვაზე დასვენებას ჩვენები პერიოდულად კი ახერხებდნენ, მაგრამ ეს იმდენად იშვიათად ხდებოდა, მსგავსი რამ ნაკრებისთვის მაინც უცხო ხილია. სწორედ ამ შეკრებას აფინანსებს აჭარის მხარე, რომელიც ნაკრების მოამაგეთა შორის ახალი სახეა.

დასასვენებელ-განსატვირთი შეკრების შემდეგ გუნდი ბაკურიანში გაემგზავრება, სადაც ძირითად აქცენტს ფიზიკურ დატვირთვებზე გააკეთებს. ამას ბორჯომში შეკრება მოჰყვება, სადაც დატვირთვა უკვე ტატამზე გადავა, მერე კი გუნდი მინსკში გაემგზავრება სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე მოსამზადებლად. ამასობაში ბოლო საკონტროლო-საცდელი ტურნირის ჯერიც დადგება - აგვისტოში გუნდი გერმანიის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. ნაკრებში მოხვედრილთათვის ეს ძალების მოსინერჯვა იქნება (მით უფრო, კედელაშვილსა და ქევხიშვილს სატურნირო პრაქტიკა აკლიათ რადგან ტრავმების გამო ბუქარესტის ტურნირი გამოტოვეს) ორ დარჩენილ, საკონკურენციო წონაში კი - შესარჩევი შეჯიბრება. სწორედ იქ გაირკვევა ნაკრების დანარჩენ წევრთა ვინაობა.

ბოლო შეკრებას გუნდი ბრაზილიაში გამართავს, სადაც აკლიმატიზაციის გასავლელად სექტემბრის დასაწყისშივე გაემგზავრება.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

მოგება როლან გაროსზე

ოქსანა კალაშნიკოვა

16 წლის ქართველი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** როლან გაროსის ახალგაზრდულ ტურნირში ჩაება. სამწუხაროდ, ოქსანა ერთადერთი ქართველია ახალგაზრდულ დიდ სლემზე - წინასწარ სიაში ძირითად ბადეში **ლაზარე კუხალაშვილიც** უნდა ყოფილიყო, თუმცა ტურნირში ის არ მონაწილეობს. გუშინ როლან გაროსის მე-11 კორტზე ოქსანამ პირველი ბრძოლა გამართა, მისი მეტოქე რუსი **ელენა ჩერნიაკოვა** იყო. კალაშნიკოვა და ჩერნიაკოვა ტოლები არიან, თუმცა ახალგაზრდულ რეიტინგში რუსი ჩვენებურს 10 საფეხურით უსწრებს (ოქსანა მსოფლიოს 30-ე ჩოგანია). ოქსანამ პირველი სეტი იოლად, 34 წუთში მოიგო - 6:2. პირველი სეტი კალაშნიკოვამ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა, მას არც ერთი ორმაგი ან უნებლიე შეცდომა არ დაუშვია, ჩაგდო სამი ეისი და ოთხიდან სამი ბრეიქპოინტი მოიგო. ჩერნიაკოვამ 8-დან მხოლოდ ერთი ბრეიქპოინტი მოიგო. მეორე სეტი თანაბარი გამოდგა, ოქსანამ მხოლოდ ორჯერ შეძლო ბრეიქპოინტის მოგება (ოთხი ცდიდან), თუმცა ეს მან გადამწყვეტ გეიმში მოახერხა და მატჩი 6:2, 7:5 მოიგო. მეორე წრეში კალაშნიკოვას კიდევ უფრო ძლიერი მეტოქე ელის, მე-4 ნომრად განთესილი რუმინელი **სორანა ჩირსტეას** სახით. ჩირსტეამ იოლად დაამარცხა ფრანგი **ვიქტორია ლარიერი** - 6:1, 6:1. რუმინელი 17 წლისაა, ის წლეულს ახალგაზრდულ ტურნირებში აღარ თამაშობს, დიდებში კი უკვე მსოფგლიოს 169-ე ჩოგანია. სირსტეამ ახლახან სტამბოლის WTA ტურის ფინალურ საკვალიფიკაციო ბადეში **ანა ტატიშვილთან** წააგო სამსეტიანი მატჩი. შარშან ჩირსტეა ბათუმის ტურნირს სტუმრობდა.

სტამბოლის ნახევარფინალი იკმარა

თურქეთის ქალაქ სტამბოლში დასრულდა ქალ ჩოგბურთელთა 10-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობდა ოთხი ქართველი ჩოგბურთელი, რომელთაგან უკეთ 20 წლის ურეიტინგო **თინათინ ყავლაშვილმა** ითამაშა. **სოფიო შაფათავა** და **მანანა შაფაქიძე** ერთეულთა თანრიგის მეოთხედფინალში დამარცხდნენ, ხოლო **სოფიო ქვაცაბაია** - მერვედფინალში. ყავლაშვილი ნახევარფინალში ტურნირის პირველ ჩოგანს, გერმანელ **რია დორნენმანს** (462) შეხვდა და სამსეტიანი ბრძოლა დათმო - 4:6, 6:4, 3:6. ყავლაშვილმა სტამბოლში წყვილთა თანრიგშიც ნახევარფინალურ სტადიაზე წააგო. თინათინი 2004 წელს მსოფლიოს 570-ე ჩოგანი იყო, მაშინ მან ზუსტად სტამბოლის ტურნირში იმარჯვა, ერთ წელიწადში კი საერთაშორისო ასპარეზი მიატოვა და ტურნირებს წლეულს აპრილშიღა დაუბრუნდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰოკეი

საქართველოს ჩემპიონატი

ყინულის რაინდები და ჯვაროსნები

დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ყინულის ჰოკეიში, რომელიც მთელი წელი გაგრძელდება, დასკვნითი ნაწილი კი 2008 წლის იანვარში, ბაკურიანში გაიმართება. მონაწილეობს ოთხი კლუბი. სამი თბილისისა - "ყინულის რაინდები", "ცეცხლოვანი ჯვაროსნები", "რუხი მგლები" და ერთიც ბაკურიანის - "შიმინო". შეხვედრები ყოველ შაბათს, მინიფორმატით, სპორტის სასახლესთან მდებარე საციგურაო მოედანზე გაიმართება.

პირველ შეხვედრაში ერთმანეთს "ყინულის რაინდები" და "ცეცხლოვანი ჯვაროსნები" დაუპირისპირდნენ. მატჩი რაინდების გამარჯვებით 4:1 დასრულდა (0:1, 0:0, 4:1. გოლები: 0:1 ნადირაშვილი, 1:1 დავიდოვი, 2:1 ჩალათაშვილი, 3:1 ნატროშვილი, 4:1 ნატროშვილი). "ყინულის რაინდების" შემადგენლობაში საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა **დენის დავიდოვმაც** ითამაშა.

"საერთოდ პირველი თამაშის განცდა ნებისმიერ მოთამაშეს აქვს და, შესაბამისად, მატჩიც დაძაბული გამოდგა, განსაკუთრებით I და II პერიოდში. III პერიოდში კი მოთამაშეები სტრატეგიულად გადავანაწილეთ, რამაც შედეგი მოგვცა და შიბა გავიტანეთ. გოლმა კი დაძაბულობა მთლიანად მოხსნა, გუნდმა თამაში ლოგიკურად დაიწყო. ფაქტობრივად, შეხვედრის ბედი მხოლოდ 7 წუთში გადაწყდა, ვინაიდან ოთხივე გოლი ამ მონაკვეთში გავიტანეთ". - თქვა დენის დავიდოვმა.

შემდეგი მატჩი 9 ივნისს "რუხ მგლებსა" და "შიმინოს" შორის გაიმართება.

თიკა ასლანიშვილი

ავტორბოლა

ბიძინაშვილმა მოიგო, თავართქილაძე ისევ ლიდერია

კვირას, ავტორბოლაში საქართველოს ჩემპიონატის მე-7, უშუალოდ აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში კი მე-3 ეტაპი გაიმართა. შეჯიბრება მუხათნყაროს მიდამოებში, 4 კმ-იან ტრასაზე მოეწყო.

რბოლის ფავორიტებად, ტრადიციულად, **ოთარ თავართქილაძე, ზურაბ ბეჟაშვილი, გაორგი ოგბაიძე და არჩილ ბიძინაშვილი** ითვლებოდნენ. მათთან გაბრძოლებას ლამობდა **მამუკა მელაძეც**, მაგრამ ავარიამ ხელი შეუშალა.

ორი რბოლა ისე წარიმართა, რომ საბოლოო გამარჯვებულის ვინაობაში ეჭვი არავის შეპარვია. ბიძინაშვილი შედარებით რთულ და მიხვეულ-მოხვეულ ტრასას არ შეუშინდა, მთელი დღის განმავლობაში სტაბილური იყო და პირველი ადგილიც დაიკავა. თავართქილაძე მეორე იყო, ოგბაიძე მესამე. ჩემპიონატში ქულათა რაოდენობით კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს ოთარ თავართქილაძე და ტიტულის მოპოვების რეალური კანდიდატია.

დავით ჩუბინიძე

თეჩილი

სერგო ბაბარაევი. დაიბადა 03.06.1928, მეგუთი, ზნაური. თაეისუფალი ჭიდაობა (67 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1954). სსრკ ჩემპიონი (1954), მეორე (1953) და მესამე პრიზიორი (1955). სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1956). სსრკ ჩემპიონი სამბოში (1956). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

აძვსენტი გიორგაძე. დაიბადა 04.06.1976, ქუთაისი. რაგბი. 36 მატჩი საქართველოს ნაკრებში (8 ლელო). ევროპის ერთა თასის მფლობელი (2001, 5 მატჩი, 2 ლელო), მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილე (2003, 4 მატჩი). კლუბი: როვიგო (იტალია). რამდენჯერმე უთამაშია იტალიის ჩემპიონატის "ოლსტარში". თამაშობდა შვიდკაცა ნაკრებშიც. მისი ძმა ირაკლიც (დაბ. 26.12.1982) საქართველოს ნაკრების მოთამაშეა.

ლერი მიქელაძე

35 წლისამოულოდნელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ცნობილი მეკლდეური და მთამსვლელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ახალგაზრდებსა და დიდებში, წლების განმავლობაში ნაკრები გუნდის წევრი ლერი მიქელაძე.

უაღრესად ნიჭიერმა სპორტსმენმა და მაღალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეულმა ამ ახალგაზრდამ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში მეკლდეურობისა და მთამსვლელობის წინსვლა-განვითარების საქმეში. როგორც მაღალი კვალიფიკაციის მეკლდეური და მთამსვლელი ასრულებდა სპეციალურ დავალებებს - სასიმაღლო სამუშაოებს. მისი ხელმძღვანელობით თბილისში სისტემატურად იწმინდებოდა მეტეხის კლდის მასივი. მუდამ ტრიალებდა თავის მეგობრებთან, ეხმარებოდა სპორტული ასპარეზობის ორგანიზებაში. ის უბედური შემთხვევაც, რამაც მისი სიცოცხლე შეიწირა, მეკლდეურობაში საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში მოხდა.

ლერი მიქელაძე მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ახლობლებისთვის იყო სიკეთისა და კეთილშობილების განსახიერება, სითბოთი, უბრალოებით ყველასთვის სამაგალითო. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ სპორტის ვაჟკაცური სახეობები აირჩია სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის. დაამთავრა განათლების სამინისტროს თმამსვლელობისა და მეკლდეურობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა.

ლერი მიქელაძის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია, განათლების სამინისტროს სპორტსკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი | საქართველოს თასი. პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

სათასო რევანში

უნივერსიტეტი-არმაზი 30:25

უნივერსიტეტი: (15-9) ფერაძე, კიკვიძე, კუპრეიშვილი, კაკოვინი, კავთიძე, ბაირამაშვილი, ნიკლაური; (1-8) დონაძე, ნუცუბიძე, ალადაშვილი სბ, მასხარაშვილი (სურგულაძე 56), მჭედლიძე, კილასონია, დათუნაშვილი, დარასელია; 3ლ (ნიკლაური, დონაძე, კიკვიძე); 3გ, 2ს (კუპრეიშვილი); ა (ბაირამაშვილი)

არმაზი: (15-9) ძნელაძე, მინაშვილი, კაიფაჯიანი, გეთიაშვილი, ხინთიბიძე (ჩხაიძე 41), ბექა ურჯუკაშვილი, მჟავანაძე; (1-8) კიკოლაშვილი (მაჭარაშვილი 41), სოსელია, ლეფსკვერიძე, ჯიშკარიანი, მელიქიძე, კანდელაკი, პინაიშვილი სბ, ცირეკიძე (ლამბაშიძე 41) - 3ლ (სოსელია, გეთიაშვილი, მინაშვილი); 2გ, 2ს (ბექა ურჯუკაშვილი)

მსაჯი: მ. ჩაჩუა.

"უნივერსიტეტისა" და "არმაზის" საჩემპიონატო მატჩისგან განსხვავებით, სათასო შეხვედრა პირველის გამარჯვებით დასრულდა 30:25. თამაში საინტერესო, დაძაბული გამოდგა და ერთერთ ეპიზოდში გუნდურ ჩხუბშიც გადაიზარდა. ამან შეხვედრას უარყოფითი დაღი დაასვა, მაგრამ ორივე გუნდის თამაში და თავდადება უდავოდ საქებარია. მატჩის პირველმა ნახევარმა უნივერსიტეტელთა უპირატესობით ჩაიარა. თუმცა მესამე წუთზე ანგარიში არმაზელთა დამრტყმელმა **ბექა ურჯუკაშვილმა** გახსნა საჯარიმოდან - 3:0. შემდეგი ხუთი წუთის განმავლობაში კი უნივერსიტეტის ახალგაზრდულმა გუნდმა სამომავლო პერსპექტივაში ყველა ნათლად დაარწმუნა. მე-6 წუთზე ცხრა ნომერმა **ბექა ნიკლაურმა** თავისივე წამოწყებული შეტევა თვითონვე დაასრულა. შერკინებამ უპირატესობა შექმნა, მერე ხაზმა ხელდახელ ჩაათამაშა და ნიკლაური საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა. გარდასახვა შუამარბმა **ბესო კუპრეიშვილმა** დაარტყა - 7:3.

ორ წუთში უკვე შერკინებამ გაინავარდა. მარჯვენა ფრთაზე თანაგუნდელების წამოწყებული შეტევა მეორეხაზელმა **ბექა მჭედლიძემ** გააგრძელა, ოცდაორმეტრიან ზონაში დაფარული გადაცემით პირველხაზელ **ტარიელ დონაძესთან** ჯვარედინი კომბინაცია გაითამაშა და ამ უკანასკნელს ლელომდე წინააღმდეგობა არ შეხვედრია, კუპრეიშვილმა ისევ გარდასახა - 14:3.

გაშვებულმა ორმა ლელომ "არმაზი" საგრძნობლად გამოაცოცხლა. მე-17 წუთზე თანაგუნდელების ძალისხმევა შუამარბმა **ზურაბ გეთიაშვილმა** ლელოდ აქცია, გარდასახვა **ბექა ურჯუკაშვილმა** გაიტანა და სხვაობა შეამცირა - 10:14.

უნივერსიტეტელებს თამაშის ტემპი ოდნავაც არ დაუგდიათ. 3 წუთში გარემარბმა **ჯაბა კიკვიძემ** მარცხენა ფრთაზე ცენტრის ხაზიდან სოლო რეიდი განახორციელა. გზად ხელის კვრით სამი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა და ლელოში შეფრინდა, კუპრეიშვილმა გარდასახა - 21:10. ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდმა მონაგარს თითო საჯარიმო მიუმატა - 24:13.

მეორე ტაიმში "არმაზმა" თამაშს უმატა და მეტოქეს ორი ლელო გაუტანა, რომელთაგან მხოლოდ ერთი გარდასახა და მატჩის მიწურულისთვის ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა 25:27. მანამდე, ტაიმის დასაწყისში კუპრეიშვილმა ერთი საჯარიმოც მიითვალა. თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა **ლაშა ბაირამაშვილმა** არეკნით პირველი მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 30:25.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საბედისწერო გარდასახვა

ხარები-დინამო 20:19

ხარები (რუსთავი): (15-9) შუბითიძე სბ, თვაური (ლამბაშიძე 56), თევზაძე, დევიძე, სამსონიძე, ლობჟანიძე, ზირაქაშვილი; (1-8) ბალახაშვილი (კაპანაძე 72), კაკაბაძე, აზნიაშვილი, კობახიძე, ყოჩაშვილი, კაპანაძე, ნანიევი (ავალიშვილი 67), ქარუხნიშვილი; - 4ლ (თვაური, დევიძე, სამსონიძე, ავალიშვილი)

დინამო: (15-9) ოდიშარია, შაშიაშვილი, ღირსიაშვილი, ციბაძე, გრუდკო (ჯეირანაშვილი 45), გრძელიშვილი სბ, კრეპსი; (1-8) გაგნიძე, მურვანიძე, მირცხულავა, ჭიჭინაძე, მეიშვილი, რამიშვილი სბ, ხვიჩია (ანდრიასოვი), აზალაძე - 3ლ (აზალაძე 2, ღირსიაშვილი) 2გ (ოდიშარია)

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი.

პირველლიგელმა რუსთავის "ხარებმა", მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონთან შეთხელებული შემადგენლობით ასპარეზობდა, გამარჯვებას მიაღწია 20:19. თუმცა, რომ არა დამრტყმელის, ბურჯ **დავით ბალახაშვილის** უზუსტობა გარდასახვებისას, სხვაობა ბევრად მეტი იქნებოდა.

"ხარებმა" მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა, აქედან სამი პირველ ტაიმში. შედეგად, მატჩის პირველი ნახევარი რუსთაველებმა 15:0 მოიგეს. გარემარბმა **გიორგი თვაურმა** პირველივე წუთზე დაალელოვა მოწინააღმდეგე. მერე 25-ე და 31-ე წუთებზე თავი ისევ უკანახაზელებმა **შოთა დევიძემ** და **ბესო სამსონაძემ** გამოიჩინეს. ბალახაშვილმა ყველა გარდასახვა ააცილა და ზედ ერთი გაუტანელი საჯარიმოც მიაყოლა.

პირველ ტაიმში "დინამოს" ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია, მაგრამ, მეორეში სულ სხვაგვარად ათამაშდა და მე-60 წუთისთვის ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ორი ლელო 45-ე და მე-60 წუთზე **ლაშა აზალაძემ** გაიტანა, ორივე ფულბეკმა **დავით ოდიშარიამ** გარდასახა - 14:15.

67-ე წუთზე "ხარები" შეცვლაზე შემოსულმა მესამეხაზელმა **არჩილ ავალიშვილმა** კიდევ უფრო დააწინაურა - 20:14.

მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი "დინამომ" ისევ შეამცირა სხვაობა, თუმცა ოდიშარიამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გარდასახა, რაც მის გუნდს ნაგებად დაუჯდა. შეხვედრის ბოლო წუთები დინამოელებმა მოწინააღმდეგის ლელოს მიდამოებში გაატარეს, მაგრამ რუსთაველთა დაცვის გატეხვა ვერაფრით შეძლეს - 19:20.

ბესიკ ჯანგავაძე

სხვა მატჩები	
ლოკომოტივი-ყოჩები 2	86:22
ლელო-აკადემია	28:3
აია-ყოჩები	ჩაიშალა

საპასუხო მატჩები 19-20 ივნისს

შვიდკაცა რაგბი. მსოფლიო სერია

რუსებს მაინც მოვუგეთ

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა მსოფლიო სერიის ბოლო ეტაპზე შოტლანდიაში 11-12 ადგილები გაიყო. ჩვენმა მეშვიდკაცეებმა ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ერთში მიაღწიეს გამარჯვებას - ფიალის მეოთხედფინალში ტრადიციას არ უღალატეს და რუსეთის ნაკრები დაამარცხეს 19:7. მანამდე კი დ ჯგუფში სამი შეხვედრა წააგეს: ინგლისთან 0:24, ზელანდიასთან 7:43 და არგენტინასთან 5:31. ბოლო მარცხი ფიალის (IX ადგილი) ნახევარფინალში ვიგემეთ პორტუგალიის ნაკრებთან - 12:19.

სამკვირიანი ტურნე ჩვენი გუნდისთვის, რომელიც მეტწილად ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, საკმაოდ რთული და დამღლელი გამოდგა. ხშირი იყო ტრავმებიც. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შემცვლელი არ გვყავდა, საქართველოს ნაკრებში შოტლანდიელმა მორაგბემ ითამაშა. საქართველოს ნაკრები შინ ხვალ დაბრუნდება და მომავალ უქმეებზე თბილისში, ევროპის სერიის ეტაპზე იასპარეზებს.

ბესიკ ჯანგავაძე

აკრობატიკა | საქართველოს ჩემპიონატი

აქცენტი ქალთა დუეტზე

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციამ მხატვრული ტანვარჯიშის შემდეგ, ამ უქმეებზე, სპორტულ აკრობატიკაშიც ჩაატარა ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავისა და მარნეულის სამოცამდე აკრობატი გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ მარნეულში ამ სახეობის არსებობა აქამდე არ გაგვეგონა, მაგრამ ახლახან გაუხსნიათ სექცია და უკვე ქვეყნის ჩემპიონატზეც გამოვიდნენ. კარგი იქნება, თუ მათ სხვა ქალაქებიც მიბაძავენ.

პრიზები განაწილდა ექვს სხვადასხვა სახეობაში.

შეჯიბრების დასასრულ, გავესაუბრეთ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ინგა გიორგობიანს**. იგი სპორტულ აკრობატიკას საკმაოდ პერსპექტიულად მიიჩნევს და გული სწყდება, რომ მას ყურადღება აკლია.

- რაკილა წლეულს პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო წელია, ჩვენ კი ოლიმპიური სახეობა არ ვართ, სახელმწიფოებრივი დაფინანსება, ფაქტობრივად, არ გვქონია. არ ვიცი, როგორ ჩავატარებდით ეროვნულ ჩემპიონატს, გვერდში უანგაროდ რომ არ ამოგვდგომოდა დეველოპერული კომპანია "კალასი". სწორედ მისი დაფინანსებით შევძელით შეჯიბრების ჩატარება, რისთვისაც თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობას ვუხდი "კალასის" ხელმძღვანელობას. სხვათა შორის, ტანვარჯიშში ეს მგონი პირველი შემთხვევა იყო, როცა ქვეყნის პირველობა მთლიანად სპონსორის დახმარებით ჩატარდა.

ლია ბეშკენაძე და ლანა ქარაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს ჩემპიონატს, მან საკმაოდ კარგად ჩაიარა. გამოჩნდა არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი, რომელთაც დიდი პერსპექტივა აქვთ. თბილისელების გარდა, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ბათუმელმა და ქუთაისელმა აკრობატებმა.

საერთოდ, ამ სახეობაში, 1990 წლამდე, ცხრა მსოფლიო ჩემპიონი გვყავდა. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვა სახეობების მსგავსად, ჩვენც გაგვიჭირდა, მოხდა თაობებს შორის წყვეტა და ახლა, ფაქტობრივად, თავიდან ვიწყებთ ყველაფერს ახალგაზრდებით.

ამჟამად, ძირითად აქცენტს ვაკეთებთ ლია ბეშკენაძისა და ლანა ქარაიას დუეტზე, რომელიც შარშან ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. არ ვიცი, საიდან მოვნახავთ თანხას, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ რომ, ეს წყვილი ოქტომბერში ჰოლანდიაში გავუშვათ ევროპის ჩემპიონატზე. ჰოლანდიაში ისინი კვლავ ახალგაზრდებში იასპარეზებენ, რადგან უფროსებში გადასასვლელად ასაკი ჯერ არ უწყობთ ხელს – ორი წელი აკლიათ. სწორედ მათ მოიგეს საქართველოს ჩემპიონატი ქალთა წყვილებში.

კობა ხატისაშვილი

NBA. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲚᲔᲑᲠᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲣᲠᲡᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 98:82

27:21, 21:27, 19:18, 31:18

კლივლენდი: გიბსონი (31 ქ. 6 მ. 2 პ), ლ. ჯეიმსი (20 ქ. 14 მ. 8 პ. 2 ჩ. 2 დ), ილგაუსკასი (11 ქ. 12 მ), ჰიუზი (9 ქ. 4 პ), პავლოვიჩი (8 ქ).

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (29 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), უებერი (13 ქ. 6 მ), რ. უოლასი (11 ქ. 3 ჩ. 2 მ. 2 დ), ბილაპსი (9 ქ. 2 ჩ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 4:2

სერიის გმირი ლებრონი და მატჩის გმირი - გიბსონი

კლივლენდში, ამერიკულ პროფესიულ სპორტში ჩემპიონი ბოლოს, 1964 წელს ჰყოლიათ, როდესაც ამერიკული ფეხბურთის "ბრაუნზმა", სუპერ ბოულის დაარსებამდე მოიპოვა სანუკვარი და ყველაზე პრესტიჟული ჯილდო. ბეისბოლისტთა "ინდიანზმა" 1948 წელს მოიგო მსოფლიო სერია, ანუ ჩვენებურად ფლეი ოფი, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კი, ამ ქალაქს თავისი წარმომადგენელი ახლაც არ ჰყავს. სამაგიეროდ, ნლეუულს, სუპერფინალის მაისურები "კავალიერსის" გმირული და ამასთან ერთად, მოულოდნელი გამოსვლის წყალობით გაიყიდება. ფინალში **ლებრონ ჯეიმსი** და მისი რაზმი ფავორიტ "სან ანტონიო სპურზს" შეხვდება. მოდით, ამ სერიის პრევიუ მომავლისთვის შემოვინახოთ (ფინალური სერია ჯერ კიდევ 4 დღეს მოიცდის), დღეს კი აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალის ბოლო მატჩს გადავავლოთ თვალი.

"კავალიერსის" წინსვლა და რეგრესიც ერთადერთ მოთამაშეზე, ბევრის აზრით, უკვე დღეს **კობი ბრაიანტზე** უკეთეს ლებრონ ჯეიმსის თამაშზეა დამოკიდებული, თუმცა "პისტონზთან" სერიაში "მეფეს" გვერდით ახალგაზრდა და უშიშარი **დანიელ გიბსონი** და მოტივირებული **ჟიდრუნას ილგაუსკასი** რომ არ ჰყოლოდა, ფინალი ისეთივე იქნებოდა, როგორც 2005-ში, ანუ "სან ანტონიოს" "დეტროიტი" დაეჯახებოდა.

"კლივლენდის" პროგრესი იმაზე სწრაფია, ვიდრე თავის დროზე "ჩიკაგო ბულზის" იყო, ანუ ლებრონმა თავისი გუნდის ფინალში **მაიკლ ჯორდანზე** ადრე გაიყვანა, თუმცა, მაშინდელი და დღევანდელი აღმოსავლეთის შედარება ცოტა უხერხულია. დღეს კონფერენციაში თუნდაც ერთი სტაბილური, ძლიერი გუნდი არ მოიძებნება, ხოლო "მისი უჰაერესობის" კარიერის პირველ წლებში კი, კონფერენციას **ლარი ბერდის** "ბოსტონი", **აიზია ტომასის** "დეტროიტი", **დომინიკ უილკინსის** "ჰოქსი" და კიდევ რამდენიმე სახიფათო ოპონენტი აზანზარებდა.

ჯორდანს ლებრონზე სოლიდური სტატისტიკა ჰქონდა, რომელიც ნლიდან წლამდე უმჯობესდებოდა, ჯეიმსის წლევანდელი რეგულარული კი, შარშანდელზე უარესი გახლდათ.

მთავარი კი მაინც ეს არის - აღმოსავლეთი წლეუულს არნახულად სუსტი იყო, "კლივლენდმა" კი რეგრესირებად კონფერენციაში ყველაზე მეტი საფლეიოფო მარიფათი გამოავლინა და სუპერფინალშია, სადაც... თუმცა, ამაზე ხომ შევთანხმდით, მერე ვისაუბროთ.

ისევე, როგორც სერიის მეოთხე შეხვედრისას, ლებრონი დარბაზში შეხვედრის დაწყებამდე 3 საათით ადრე მივიდა და სამქულიანებზე ვარჯიში დაიწყო. ლებრონმა დარბაზის დაცვას ვარჯიშიდან მასმედია მოახსნევინა, ჟურნალისტებს კი ბოდიში მოუხადა, კონცენტრაციის დაკარგვა არ მსურდაო.

ჯეიმსი, რომელმაც წინა მატჩში 48 ქულით პირადი საფლეიოფო რეკორდი დაამყარა, ამჯერად მთელი შეხვედრის განმავლობაში 2, რიგ ეპიზოდებში კი სამი მეურვის გარემოცვაში იმყოფებოდა და თუმც ეს მის სათარეშო არეალს ზღუდავდა, ლებრონმა უკვე პირველ მეოთხედში 5 შედეგიანი გადაცემა და ამდენივე მოხსნა მოიმკო.

სამი მეოთხედის განმავლობაში თანაბარი, ტოლ-სწორი ბრძოლა მიდიოდა, ბოლო 12-წუთეულში კი გიბსონი "გაცოფდა", რომელმაც მეოთხედის პირველ 4 წუთში სამი სამიანი გამოიყენა, სულ კი შეხვედრა 5-დან 5 ზუსტი შორეული გასროლით ჩაამთავრა.

"კლივლენდი" დამსახურებული ფინალისტია, "პისტონზში" კი, მომდევნო რეგულარულამდე ძირეულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ - **ჩონსი ბილაპსი** (43 წუთში ერთადერთი ზუსტი პასი) და **კრის უებერი** ხომ თავისუფალი აგენტები ხდებიან და გუნდის მესვეურებს მათ შესანარჩუნებლად დიდი ფული და მოტივაცია დასჭირდებათ.

"მთელი ქალაქი ბედნიერია, რაც პირველ რიგში, ლებრონის დამსახურებაა. სხვებმა ვიცით, რომ ჩვენს ლიდერს ხელი არ უნდა შევუშალოთ, რადგან "კავალიერსს" კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე ჰყავს", - ამბობდა ნამატჩევს **დრიუ გუდენი**, რომელმაც შეხვედრა მხოლოდ 7 ქულითა და 4 შეცდომით კი დაასრულა, მაგრამ დაცვაში მაგრად დაუდგა **რაშიდ უოლასს** და ამ უკანასკნელმა 14 სროლიდან მხოლოდ 5 გამოიყენა. რაც შეეხება **ტაიშონ პრინსს**, მან კიდევ ერთი კოშმარული მატჩი ჩაატარა (10-დან ერთადერთი ტყორცნა გამოიყენა).

მოკლედ, "კლივლენდი" თუ "სპურსი"?

ზურაბ თალაკვაძე

ᲰᲝᲙᲔᲘ

NHL ᲚᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

მომავალ სეზონში, ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი, შესაძლოა ღია არენაზე გაიმართოს. ამ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი", NHL-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაყრდნობით ავრცელებს.

სხვათა შორის, ლიგას უკვე გააჩნია ასეთი მატჩის გამართვის გამოცდილება. 2003 წელს, Commonwealth-ის სტადიონზე რეგულარული ჩემპიონატის შეხვედრას 60 ათასი მაყურებელი დაესწრო. მაშინ "ედმონტონ ოილერზი" და "მონრეალ კანადიენსი" ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ᲚᲘᲒᲐ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲡ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲡ

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნულმა ლიგამ, გასული სეზონის გმირების დაჯილდოება დაინყო. გუშინ, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორის პრიზი (The Rocket Richard Trophy) "ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდ **ვენსან ლეკავალიეს** გადაეცა. რეგულარულ სეზონში მის ანგარიშზე 52 გოლი მოდის.

"ეს პრიზი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მორის რიშარი ლეგენდარული ჰოკეისტი იყო და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მისი სახელობის ჯილდოს მივიღებდი", - განაცხადა ლეკავალიემ.

სეზონის საუკეთესო ბომბარიდირის (გოლი+პასი) პრიზი (Art Ross Trophy), "პიტსბურგ პინგვინზის" ახალ კაპიტანს - **სიდნი კროსბის** ერგო.

გუშინვე დაჯილდოვდნენ "მინესოტა უაილდის" მეკარეები - **ნიკლას ბექსტრიომი** და **მენი ფერნანდესი**. მათმა კლუბმა რეგულარულში ყველაზე ცოტა შაიბა გაუშვა და ამიტომაც, გოლკიპერთა ამ დუეტს William Jennings Trophy ერგო, როგორც ყველაზე ნაკლები გოლის გამშვებ გოლკიპერებს.

ᲙᲘᲜᲒᲖᲛᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲤᲝᲠᲛᲐ

"ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲙᲘᲜᲒᲖᲛᲐ" მომავალი სეზონისთვის ორი ევროპელი ჰოკეისტი დაიმატა. "მეფეებმა" შვედეთის ჰვ71-დან გადაიბირეს მეკარე - **ერიკ ერსბერგი**, ხოლო სლოვაკური "კოშიცედან" მარჯვენა თავდამსხმელი - **ვლადიმირ დრავეიკი** შეიძინეს.

25 წლის ერსბერგი, მიმდინარე სეზონში შვედეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. ამ ჰოკეისტმა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა და იქ ერთ შეხვედრაში დაიცვა შვედეთის ნაკრების ღირსება.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲕᲔᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

ᲒᲐᲘᲡᲐᲓ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ ერთი შვედი დებიუტანტი ითამაშებს. "ნეშვილ პრედატორზმა" ცენტრფორვარდ **პატრიკ ჰორნკვისტთან** გააფორმა კონტრაქტი.

ეს ახალგაზრდა ფორვარდი, ნლეუულს, შვედეთის ელიტარული ლიგის საუკეთესო დებიუტანტად დაასახელეს. ქვეყნის ჩემპიონატში ჰორნკვისტმა 23 შაიბა გაიტანა, აგრეთვე მონაწილეობდა მოსკოვში მსოფლიო პირველობაზე, სადაც მის ანგარიშზე 2 გოლი და 4 შედეგიანი პასი იყო.

კონტრაქტის მიხედვით, შვედი დებიუტანტი პირველ სეზონში 475 ათას დოლარს მიიღებს, მეორეში - 525 ათასს და მესამეში - 550 ათასს.

ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲨᲘ ᲤᲘᲜᲔᲚᲘ ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ

"ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡ ᲑᲚᲣ ᲯᲔᲩᲙᲔᲢᲡᲛᲐ" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფინელ მცველ **მიკო მაენპაასთან**.

24 წლის ჰოკეისტს ფინეთის ჩემპიონატში , 5 სეზონის განმავლობაში 142 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზეა - 14 გოლი, 26 შედეგიანი პასი და 48 საჯარიმო წუთი.

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘᲛ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲭᲝᲕᲐ

"ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ ᲤᲚᲔᲘᲛᲖᲛᲐ" თავის ორ წამყვან ფორვარდს გაუგრძელა კონტრაქტი. კანადურმა კლუბმა **მეტიუ ლომბარდი** და **მარკუს ნილსონი** შეინარჩუნა.

სააგენტო AP-ის ცნობით, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულმა - ლომბარდიმ სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი, შვედმა ნილსონმა - ორით.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ

2009 ᲬᲚᲘᲡ, ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატი შვეიცარიაში ჩატარდება. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ პირველობის მატჩების ნახევარს ბერნი უმასპინძლებდა. მეორე ქალაქი კი, ციურიხს, ბაზელს, ლოზანას, რაპერსვილსა და კლოტენს შორის უნდა აერჩიათ.

საბოლოოდ, ტურნირის ორგანიზატორებმა არჩევანი კლოტენზე შეაჩერეს. მათი აზრით, ამ ქალაქში ჰოკეის მატჩების გამართვისთვის იდეალური პირობები არსებობს. გარდა ამისა, ბერნსა და კლოტენს შორის მანძილის დაფარვა, სულ რაღაც 75 წუთშია შესაძლებელი.

შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონატი, 2009 წლის 24 აპრილს დაინყება და 10 მაისს დასრულდება. ბერნის არენა 17 ათას მაყურებელს იტევს, კლოტენისა - 7500-ს.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲨᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡᲒᲐᲚᲛᲔᲚᲘᲐ

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა - **ზორან სლავნიჩმა** იმ 32 კალათბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც 2007 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის დაინყებენ მზადებას.

კანდიდატთა შორის, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 5 ლეგიონერია. ესენი არიან: **მილე ილიჩი** ("ნიუ ჯერსი ნეტსი"), **დარკო მილიჩიჩი** ("ორლანდრ მეჯიკი"), **ვლადიმირ რადმანოვიჩი** ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), **მარკო იარიჩი** ("მინესოტა ტიმბერვულვზი") და **ალექსანდრ პავლოვიჩი** ("კლივლენდ კავალიერზი").

გაფართოებულ შემადგენლობაში ევროპული ლიგების ვარსკვლავებიც არიან - **მილან გუროვიჩი, უროშ ტრიპკოვიჩი, მილოშ ვუანიჩი** და **იგორ რაკოჩევიჩი**. სიაში 18 მოთამაშე სერბულ კლუბებს წარმოადგენენ. ნაკრებში შეიძლება ვიხილოთ **ნიკოლა პეკოვიჩიც**, რომელსაც ჯერ გადაუწყვიტავს - სერბეთში ითამაშოს თუ ჩერნოგორიაში.

ტრავმების გამო, ნაკრებში არ იქნება NBA-ის კიდევ ორი ლეგიონერი - **პრედრაგ სტოიაკოვიჩი** და **ნენად კრსტიჩი**.

ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, სერბეთის მეტოქეები იქნებიან - რუსეთი, საბერძნეთი და დამატებითი საკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებული.

ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲢᲐᲘᲡᲝᲜ ᲒᲔᲘᲡ ᲐᲠᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ



ტაისონ გეი

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ, "რიბოკის" დიდ პრიზზე ასპარეზობისას, ამერიკელმა **ტაისონ გეიმ** ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდი კი გააუმჯობესა, მაგრამ მისი შედეგი ოფიციალურად არ დადასტურდა, რადგან მის შედეგზე გავლენა დასაშვებზე ძლიერმა ზურგქარმა იქონია.

ასე იყო თუ ისე, გეიმ დისტანცია 9.76 წამში გაირბინა, რაც 0.01წამით ნაკლებია მსოფლიოს ახლანდელ რეკორდზე, რომელიც ორი წლის წინათ, იამაიკელმა **ასაფა პაუელმა** ათენში ასპარეზობისას დაამყარა და მერე ორჯერ გაიმეორა.

24 წლის გეიმ უკან მოიტოვა ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორებიც არიან 200 მეტრზე სპრინტში ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **შონ კრაუფორდი** და ამ სეზონის მეორე საუკეთესო შედეგის მფლობელი, ამერიკელი **დერიკ ატკინსი**.

"გარწმუნებთ, ამ ეტაპზე, რეკორდის გაუმჯობესება სულაც არ შედიოდა ჩემს გეგმებში. ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძლიერ მეტოქეებთან პაექრობაში გავიმარჯვე. არც იმის შემდეგ დავრჩი განწირული, როცა გავიგე, რომ ჩემს დროს რეკორდად არ დააფიქსირებენ. ჩემთვის მთავარი გამარჯვებაა, მაგრამ თუ რეკორდსაც დავამყარებ, ეს კიდევ უკეთესი იქნება. გუშინ ატო ბოლდონმა მითხრა, 9.74 წამში შეგიძლია გარბენაო. შეიძლება ასეცაა და ერთ მშვენიერ დღეს, ასაფას რეკორდი ჩამოვართვა", - განაცხადა გეიმ, ვისაც ასპარეზობისას დასაშვები 3.2 კმ/სთ-ის ნაცვლად, 3.52 კმ/სთ სიჩქარის ზურგქარი ეხმარებოდა.

სხვათა შორის, ორი კვირით ადრე, გეიმ ასი მეტრი 9.79 წამში გაირბინა, მაგრამ მაშინაც, დასაშვებზე ძლიერმა ზურგქარმა შეუწყო ხელი. ცნობისთვის, ყველა დროის საუკეთესო შედეგი 1996 წელს დაფიქსირებული აქვს ბარბადოსელ **ობადელე ტომპსონს**, რომელმაც თითქმის 8 კმ/სთ სიჩქარის ზურგქარის დახმარებით, ასი მეტრი 9.69 წამში გაირბინა.

მერაბ ლორთქიფანიძე

საფრანგეთის ღია პირველობა

ფინალი მეოთხედფინალში



ჩაკვეტაძე მეოთხედფინალშია

გასულ უქმეებზე საფრანგეთის ღია პირველობას კიდევ რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი გამოეთიშა, რომელთაგან ალბათ ყველაზე გამორჩეული ფრანგი **ამელი მორესმო** იყო. თუმცა როლან გაროსის კორტებზე, უფრო მნიშვნელოვანი სხვა ორი ამბავი მოხდა. ჯერ ერთი, მეოთხედფინალში ერთმანეთს **სერენა უილიამსი** და **ჟუსტინ ანენი** დაუპირისპირდებიან. მეორეც, **როჯერ ფედერერმა** კიდევ ერთი ისტორიული რეკორდი გაიმეორა - დიდი სლემის ტურნირებზე სეტის დაუთმობლად, მან ზედიზედ 11 თამაში მოიგო და ამით **ჯონ მაკინროის** რეკორდის მაჩვენებლის თანაავტორი გახდა.

მაკინროიმ თავისი ტრიუმფალური სეზონი 1984 წლის უიმბლდონის მეორე წრეში დაიწყო და აშშ-ის ღიას მეოთხედფინალამდე გააგრძელა. ფედერერმა კი სეტის დაუთმობლად მოპოვებულ გამარჯვებათა სერია ავსტრალიის ღიას პირველივე წრიდან დაიწყო და ჯერაც არ შეუწყვეტია.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, რომლის მიღწევათა გალერეას დიდი სლემის ტურნირებიდან ერთადერთი სწორედ საფრანგეთის ღიას ტიტული აკლია, მეოთხე წრეში (მერვედფინალში) რუს **მიხაილ იუჟნის** მოუგო. მართალია, რუსმა პირველ სეტში მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია და მოწოდებაც აუღო, მაგრამ ტაიბრეიკზე მაინც ვერაფერს გახდა. მეორე სეტი ფედერერმა ბრეიკით დაიწყო და ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. მესამის დასაწყისში, მეტოქეებმა თითო ბრეიკი კვლავ გაცვალეს, მეშვიდეში კი ფედერერმა კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის სერვისზე და თამაშსაც მალე დაუსვა (მესამე მატჩ პოინტზე) გამარჯვების წერტილი.

რაც შეეხებათ ანენსა და სერენას, მათს დაპირისპირებას საინტერესო ისტორია აქვს. ისინი ოთხი წლის წინათ, ამავე ტურნირის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ბელგიელმა ვტა-ს ტურზე ამერიკელის ბატონობას დაუსვა წერტილი. შეხვედრის შემდეგ, სერენა ბრაზობდა, ამ გოგოს თავის მოკატუნება ეხერხება და ამგვარი ეშმაკობით შეხვედრის რიტმს თავის სასარგებლოდ ცვლისო. ასეთი მკვახე გამონათქვამებისთვის, სერენამ მაყურებლისგან სტვენა დაიმსახურა. მას შემდეგ, ისინი როლან გაროსზე ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

სერენამ ამ სეზონის პირველი სასლემო ტურნირი - ავსტრალიის ღია კი მოიგო, მაგრამ საფრანგეთის ღიაზე ჟუსტინს ბოლო ორი სეზონია, ბადალი არ ჰყავს. ჰოდა, ვინ იცის, იქნებ, ახლა სერენას ჯერია, პარიზში ბელგიელის ბატონობას დაუსვას წერტილი? ძნელი სათქმელია. ორივე შესანიშნავ ფორმაშია და თუ ვინ მოიგებს, ამას უშუალოდ მათი მატჩის შედეგით შევიტყობთ.

"ჟუსტინი შესანიშნავად თამაშობს, მე კი ამ ეტაპზე, დასაკარგი არაფერი მაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ წინასვლა შემიძლია. ყოველი შეხვედრის წინ, საკუთარ თავს მოსაგებად განვაწყობ და ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად გამომდის. ასევე მოვიქცევი მასთან შეხვედრამდე", - ამბობს სერენა.

ქალები

მესამე წრე

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:1, 6:3, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6)**-ოლივიე პატიენსი (საფრ) 7:6(2), 2:6, 3:6, 7:6(4), 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 12) 4:6, 7:6(2), 6:3, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 14)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 20) 1:6, 6:3, 7:5, 6:2; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 16)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:2, 6:2 ჰაიეკის ტრავმა; **კარლოს მოია (ესპ, 23)**-ხუან პაბლო ბრუეფიცკი (არგ) 6:1, 6:3, 7:5; **იგორ ანდრეევი (რუს)**-პოლ-ანრი მატიე (საფრ) 7:6(4), 6:0, 6:3; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:7(3), 6:3, 6:0, 6:1

1/8 ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-მიხაილ იუჟნი (რუს, 13) 7:6(3), 6:4, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 15) 6:3, 7:6(1), 3:6, 7:6(2); **ტომი რობრედო (ესპ, 9)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 29) 6:2, 7:5, 6:1; **გილერმო კანიასი (არგ, 19)**-ხუან მონაკო (არგ) 6:0, 6:4, 6:2

ქალები

მესამე წრე

მარია შარაპოვა (რუს, 2)-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ) 6:2, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25)**-ამელი მორესმო (საფრ, 5) 6:3, 7:6(3); **ანა ივანოვიჩი (სერბ, 7)**-იოანა რალუჩა ოლარუ (რუმ) 6:2, 6:0; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-აი სუგიამა (იაპ, 21) 6:4, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 24)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 12) 4:6, 7:6(2), 7:5; **პატი შნიდერი (შვეი, 14)**-კარინ ნნაპი (იტა) 6:1, 4:6, 7:5; **შაჰარ პეერი (ისრ, 15)**-კატარინა სრებოტნიკი (სლო, 17) 6:1, 4:6, 6:3

1/8 ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-სიბილ ბამერი (ავსტ, 20) 6:2, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-პატი შნიდერი (შვეი, 14) 3:6, 6:4, 9:7; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-შაჰარ პეერი (ისრ, 15) 6:4, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 4)**-ბარტოლი (საფრ, 18) 6:1, 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 6)**-ტატიანა გარბინი (იტა, 19) 6:3, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 7)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 24) 6:3, 3:6, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-დინარა საფინა (რუს, 10) 6:2, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25) 6:4, 0:6, 6:2

4 ივნისი. ორშაბათი

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 იტალიის ჩემპიონატი. სერია B. ბარი-იუვენტუსი.
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-ბოკა ხუნიორსი.
18:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
22:00 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-ხორვატია.
00:00 არგენტინის ჩემპიონატი. არგ. ხუნიორსი-სან ლორენსო.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-სერბეთი.
08:45 კრივი. რინგ-საიდი.
09:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია B. ბარი-იუვენტუსი.
11:30 ფეხბურთი. Barca TV. ალბერტ ხორკერა.
12:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-კორინთიანსი.
14:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. გლაზგო. შოტლანდია.
17:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ბოსნია-თურქეთი.
19:15 სპორტის სამყარო.
19:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:05 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
22:00 სპორტკლუბი.
22:50 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. სულთან იბრაჰიმოვი-შენონ ბრიგზი.
01:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-კორინთიანსი.
03:40 წყალბურთი.
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი (LIVE).
06:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

EUROSPORT

10:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-შვედეთი.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-იტალია.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. გერმანია-საფრანგეთი. ტულონი. საფრანგეთი.
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
01:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი.
13:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ჩინეთი-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-შვედეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-უკრაინა.
18:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი. მუგელო.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. გერმანია-საფრანგეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-არგენტინა. პოლონეთი.
23:45 ავსტრალიური ფეხბურთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. იაპონია-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

კალათბურთი

საბერძნეთი
ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

არისი-ოლიმპიაკოსი	75:83

ესპანეთი
ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ბაუმგრესი-ბარსელონა	76:83
რეალი-ხუენტეული	69:76

იტალია
ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

რომა-მონტეპასკი	76:84
ვირტუსი-მილანი	78:81

საფრანგეთი
ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ნანსი-რუანი	74:81

ჯიროს დ'იტალია

დი ლუკა ჯიროს ჩემპიონია

ჯიროს დ'იტალიის ახალი ჩემპიონი ჰყავს. მისი სახელია **დანილო დი ლუკა**, ველოსიპედისტი, რომელმაც პირველად მოიგო პრო ტურის სერია და რომელიც უნივერსალიდან სამთო სპეციალისტად მოგვევლინა. გუშინ დასრულებულ ჯიროზე დი ლუკამ პირველ რიგში, სტაბილურობის წყალობით მიაღწია გამარჯვებას. მან ურთულესს სამთო მონაკვეთებზე შეძლო ისეთი ძლიერი მეტოქის შეტევების მოგერიება, როგორიც ჯიროს ორგზის ჩემპიონი **ჯილბერტო სიმონია**.

გუშინ ჯიროზე ეგრეთ წოდებული სააღლუმე, ბოლო ეტაპი იყო, რომლის სპრინტერულ ფინიშზეც, პირველობა არავის დაუთმო **ალესანდრო პეტაკიმ**, ვინც წლევანდელ ჯიროზე მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

"რბოლის დაწყებამდე მჯეროდა, რომ ჯიროს მოგება შემეძლო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ეჭვი მეპარებოდა. ახლა კი ოცნება ავისრულე. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო. იმათ, ვინც რბოლის დროს მეხმარებოდა, ვინც ჩემი სტრატეგია დაგეგმა", - განაცხადა იტალიელმა, ვინც ამ სეზონის დასაწყისში მილანი-ტურინისა და ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის კლასიკური რბოლები მოიგო.

უშუალოდ ჯიროზე მან ერთადერთი, მეოთხე ეტაპი მოიგო, საერთო ჯამში კი ლიდერის ვარდისფერი მაისურა 12 ეტაპის განმავლობაში ეცვა. ნარბოლევს დი ლუკამ განაცხადა, რომ კიდევ ხუთი წელი აპირებს უმაღლეს დონეზე ასპარეზობას.

დაბოლოს, ის პირველი ველოსიპედისტი იყო სამხრეთი იტალიიდან, ვინც იტალიური ველოსიპედისტონის მოგება შეძლო. აქამდე ჯიროს ყოველთვის ჩრდილოიტალიელები იგებდნენ ხოლმე.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-20 ეტაპი. ბარდოლინოდან ვერონამდე (დროზე რბოლა, 43 კმ)

1. პაოლო სავოლდელი (იტალია, ასტანა) 52.20 (49.299 კმ/სთ); 2. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 0.36; 3. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) 0.38; 4. ლასლო ბოდროგი (უნგრეთი, კრედიტ აგრიკოლი) 1.08; 5. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 1.16; 6. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.28...8. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 1.57...

მე-19 ეტაპი. ტრევიზოდან კომანო ტერმეამდე (179 კმ)

1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 5:18.54 (34.807 კმ/სთ); 2. მაქსიმილიანო რიკეზე (არგენტინა, კერამიკა პანარია) იგივე დროში; 3. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 4. ჯუზეპე პალუმბო (იტალია, აკვა ე საპონე); 5. სტეფანო ძანინი (იტალია, პრედიქტორ-ლოტო) ყველა იგივე დროში...



დი ლუკა გამარჯვებას ზეიმობს

საბოლოო კლასიფიკაცია

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 92.59.39; 2. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.55; 3. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 2.25; 4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონინე დიუვალი) 3.15; 5. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 3.49...

ოლიმპიზმი

გერმანია ტესტებს მოუხშირებს

საბაგენტო "როიტერის" ცნობით, გერმანიის ოლიმპიური სახეობების კონფედერაციამ, რომელშიც ქვეყნის ძირითადი სპორტული ფედერაციები შედიან, ყოველწლიური დოპინგ ტესტების რაოდენობის გაზრდა გადაწყვიტა.

ფედერაცია აკრძალულ პრეპარატ ერითროპოეტინზე შემოწმებების რიცხვს, 1800-დან 9000-მდე გაზრდის. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სპეციალური ანტისადოპინგო პროგრამა, რომელსაც გერმანიის მთავრობა აფინანსებს.

კალათბურთი

ლავრინოვიჩმა რუსეთი იტალიაზე გაცვალა

ლიტვის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი **კშიშტოფ ლავრინოვიჩი** გაისად იტალიის ჩემპიონატში ითამაშებს. კალათბურთელმა არ გააგრძელა კონტრაქტი რუსეთის უნიქს-თან და "მილანში" გადავიდა.

"კონტრაქტი უკვე გავაფორმე და უახლოეს ორ სეზონს იტალიაში გავატარებ. სამწუხაროდ, "მილანში" ძმის გარეშე მომიწევს ნასვლა. დარიუშს, მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, კიდევ ერთი წელი უწევს უნიქს-ში თამაში", - აცხადებს კშიშტოფ ლავრინოვიჩი.

ჰოკეი

შევსება გერმანიიდან

"ბაფალო სეიბრზის" გენერალურმა მენეჯერმა **დარსი რეგერმა** ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისმა კლუბმა კონტრაქტი გააფორმა 19 წლის გერმანელ ფორვარდ **ფილიპ გოგულასთან**. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ხელშეკრულება სამწლიანია და გერმანელს დებიუტანტის ხელფასი ექნება.

"ბაფალომ" გოგულა ჯერ კიდევ 2005 წლის დრაფტზე 48-ე ნომრად აირჩია. ეს თავდამსხმელი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო თავის გუნდში, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე.



პრონგერი ანტიგმირი იყო

ოტავა-ანაჰაიმი	5:3

1:1, 3:2, 1:0

გოლები: 0:1 ე. მაკდონალდი-7 (სელიანე-9), 1:1 ნილი-2 (კელი-3, მეზაროში-6), 1:2 პერი-5 (პენერი-4, გეტცლაფი-9), 2:2 ფიშერი-5 (ვოლჩენკოვი-4), 2:3 გეტცლაფი-7 (პენერი-5, პერი-7), 3:3 ალფრედსონი-11 (რედენი-7, კორვო-7), 4:3 მაკამონდი-5 (საპრიკინი-1, შუბერტი-1), 5:3 ვოლჩენკოვი-2 (ვერმეტი-3, კელი-4).

სერია 1:2

NHL. სტენლის თასი. ფინალი

ოტავამ ნავსი გატეხა

ფინალური სერიის მესამე მატჩმა დაგვანახა, რომ ორ სასტარტო შეხვედრაში განცდილი მარცხის მიუხედავად, "ოტავა სენატორზი" დარჩენილი შეხვედრებისთვის ფსიქოლოგიურად კარგად არის მზად და ბოლომდე აპირებს სტენლის თასისთვის ბრძოლას.

მასპინძლები სამჯერ აგებდნენ შეხვედრას და სამივეჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. როგორც იქნა, შეწყვიტა თავისი უგოლო სერია, ფლეი ოფის საუკეთესო სნაიპერმა - **დანიელ ალფრედსონმა**. მეორე პერიოდის მიწურულს, სწორედ მან გაქვითა მესამედ მატჩში ანგარიში. თუმცა, შვედი კაპიტნის გოლმა დიდი კამათი გამოიწვია. სტუმრებს მოეჩვენათ, რომ ალფრედსონმა შაიბა ფეხით შეაგდო, რაც წესებით აკრძალული გახლავთ. მსაჯებმაც თავიდან გოლი გააუქმეს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, დასახმარებლად ვიდეო-რეფერის მიმართეს. ხუთწუთიანი სჯა-ბაასის შემდეგ, ანგარიში 3:3 გახდა.

ეს ამ მატჩის გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა. ცოტა ხანში, **დინ მაკამონდმა** პირველად გაიყვანა წინ "ოტავა". ეს გოლიც ერთგვარად კურიოზული აღმოჩნდა. აშკარად მოუმზადებელი დარტყმა, "ანაჰაიმის" წამყვან მცველ **კრის პრონგერს** მოხვდა და ისე შევარდა **ჟან-სებასტიან ჟიგერის** კარში. ფეხბურთის წესების მიხედვით, ამ შაიბას პრონგერს ავტოგოლად ჩაუთვლიდნენ.

მესამე პერიოდში, "ანაჰაიმს" შეტევებზე ფიქრი მართებდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ, "იხვებმა" უხეშობას უმატეს და ბოლო 20-წუთეულში, ოთხჯერ მისცეს მეტოქეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი. შესაბამისად, 20-დან რვა წუთი, სტუმრებმა დაცვაში გაატარეს, იმ დროს, როცა ანგარიში ჰქონდათ გასათანაბრებელი. ამას რუსი მცველის - **ანტონ ვოლჩენკოვის** გოლიც დაერთო თან და ცხადი გახდა - დემორალიზებულ "ანაჰაიმს" მატჩის ბედის შემოსატრიალებლად არანაირი რესურსი აღარ ჰქონდა.

გარდა 4 გაძევებისა, სტუმრების უხეშობამ სხვა სავალალო შედეგიც მოიტანა. იმავე კრის პრონგერმა, რომელიც თამამად შეიძლება ამ მატჩის ანტი-გმირად მოვნათლოდ, სრულიად უწყინარ სიტუაციაში თავის ტრავმა მიაყენა დინ მაკამონდს, რომელმაც თამაში ველარ გააგრძელა და შესაძლოა, კიდევ ორი მატჩიც გამოტოვოს. ლიგის ხელმძღვანელობა პრონგერის უხეშობას განიხილავს და სავარაუდოდ, ამ მცველს ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემს. სხვათა შორის, პრონგერი "დეტროიტთან" წინა სერიაშიც ანალოგიურად დაისაჯა, როცა **ტომას ჰოლმსტრიომს** განზრახ ეუხეშა.

ასე რომ, "დაქსს" სერიის მეოთხე მატჩის ჩატარება შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს.

ამჯერად ვერ შეძლო თავისი გუნდის გადარჩენა, წინა მატჩში შატაუტის ავტორმა - ჟან-სებასტიან ჟიგერმა. "იხვების" მეკარემ, ბოლო 15 საფლეიოფო შეხვედრაში პირველად გაუშვა სამზე მეტი გოლი. სულ კი, მან შეხვედრა 24 სეივით დაასრულა. გაცილებით ნაკლები სამუშაო ჰქონდა ჟიგერის ვიზავის - **რეი ემერის**. მის ანგარიშზე 19 მოგერიებული დარტყმა მოდის.

"ოტავას" ყველა ჰოკეისტმა მაღალ დონეზე ითამაშა. თუ ასეთი განწყობით გავაგრძელებთ მოქმედებას, დარწმუნებული ვარ თასი ჩვენ დაგვრჩება", - ამბობდა მატჩის შემდეგ დანიელ ალფრედსონი. სხვათა შორის, ამ მატჩში "ოტავას" თავდამსხმელთა ოთხივე ტრიომ გამოიჩინა თავი.

"ანაჰაიმის" მთავარ მწვრთნელ **რენდი კარლაილს** კი, დამარცხების მიუხედავადაც არ დაუკარგავს იუმორის გრძნობა: *"საინტერესოა, რომ ჩემი გუნდის ასეთი საშინელი თამაშის მიუხედავად, სტენლის თასის მოპოვების კარგი შანსი გვაქვს"*.

სერიის მეოთხე მატჩი კვლავ ოტავაში, სამშაბათს გამთენიისას გაიმართება.

ავტოსპორტი

ფორმულა 1

ესპანეთს ორი ეტაპი ექნება

ევროპის გრან-პრი ვალენსიაში გაიმართება, საფრანგეთი თამაშგარეში?

ფორმულა 1-ის 2008 წლის ჩემპიონატში, ესპანეთის ტერიტორიაზე ორი ეტაპი გაიმართება: ბარსელონას გრან-პრის გარდა, პირენეის ნახევარკუნძულზე ევროპის გრან-პრიც ჩატარდება, რომელსაც ვალენსია უმასპინძლებს. ადრე, ამ ეტაპს გერმანული "ნიურბურგრინგი" იღებდა.

შვიდწლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ გადაწყვეტილება, სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე, ფორმულა 1-ის მფლობელმა - **ბერნი ექლსტოუნმა** და ვალენსიას მთავრობის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს. ექლსტოუნის ცნობით, ეს ეტაპი უკვე ჩასმულია 2008 წლის კალენდარში, ხოლო მისი გამართვის ზუსტი თარიღი ამა წლის ოქტომბერში გახდება ცნობილი.

მართალია, საკითხი თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ თავად რბოლის გამართვა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ჩვენ ვიტყობინებოდით იმის შესახებ, რომ ექსლტოუნი ვალენსიაში ევროპის გრან-პრის ჩატარების უცილობელ პირობად, არჩევნებზე ოპოზიციური სახალხო პარტიის გამარჯვებას ასახელებდა. სწორედ ამ პარტიაში ირიცხებიან გრან-პრის ორგანიზატორები. არჩევნები გასულ უიქ-ენდზე შედგა და ის ფორმულა 1-ის ესპანელი გულშემატკივრებისთვის სასურველი შედეგით დასრულდა.

ბუნებრივია, ექლსტოუნის მსგავსი განცხადებები ესპანელი პოლიტიკოსებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მათ ფორმულას შეფი მაშინვე დაანაშაულეს დემოკრატიული პრინციპების დარღვევასა და არჩევნების შედეგებზე ზემოქმედებაში.

თუმცა, ექლსტოუნმა ყველა ბრალდება საკმაოდ ლოგიკური განცხადებებით უარყო. მან თქვა, რომ კონტრაქტი კონკრეტულ ადამიანებთან გააფორმა და მხოლოდ მათ ენდობა, ხოლო თუ რა გეგმები აქვთ არჩევნებში მათ ოპონენტებს, ეს მისთვის უცნობია. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ ვალენსიაში ლიცენზირებული ავტოდრომი - "რიკარდო ტორმო" არსებობს, სადაც ფორმულა 1-ის ტესტები და მოტორბოლის ეტაპები იმართება, ექლსტოუნი დაჟინებით ითხოვდა, რომ მონაკოს გრან-პრის მსგავსად, აქაც ქუჩის რბოლა გამართულიყო. რბოლის ნაწილი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ჩაივლის.

ვალენსიამდე, ევროპის გრან-პრი ორ ბრიტანულ ავტოდრომზე - "დონინგტონ პარკსა" და "ბრენდს-ჰეთჩზე", ესპანურ "ხერესსა" და გერმანულ "ნიურბურგრინგზე" (ბოლო რვა ეტაპი სწორედ აქ ჩატარდა) იმართებოდა. მიუხედავად ამ პროექტში დაბანდებული დიდი თანხისა (26 მილიონი ევრო), ვალენსიას რბოლის ორგანიზატორები ღონისძიების კომერციულ წარმატებაში დარწმუნებულნი არიან.

გარდა ამისა, პრესკონფერენციაზე ექსლტოუნმა სხვა სიახლეებიც გააცნო ჟურნალისტებს. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ამ სეზონში, საფრანგეთის გრან-პრი უკანასკნელად გაიმართება მანიკურზე. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ისაა, რომ იქაური ტრასა ველარ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

საფრანგეთის ეტაპის გამართვის ახალ სავარაუდო ადგილად ელისეის მინდვრებს ან ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველ ტერიტორიას - დისნეილენდს ასახელებენ.

თუმცა, საფრანგეთის საავტომობილო ფედერაციამ მოულოდნელი განცხადება გაავრცელა: *"ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეაჩერა საფრანგეთის გრან-პრის მონაწილეობა 2008 წლის კალენდარში, რადგან არ არსებობს რბოლის ნორმალურ პირობებში ჩატარების პირობები"*.

ასე რომ, გაისად, შესაძლოა 1955 წლის შემდეგ პირველად, საფრანგეთში აღარ გაიმართოს ფორმულა 1-ის ეტაპი.

ექლსტოუნმა ახალი საქმე გაჩარხა

ჩოგბურთი

პირსი პეკინის ოლიმპიადას უმიზნებს

ფრანგული ჩოგბურთის ვეტერანმა - **მარი პირსმა** "როლან გაროსის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გაისად, მისი მთავარი მიზანი, პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა იქნება.

"ჩემს კარიერაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მიზნები, რომელთა მიღწევასაც ვაპირებ. დიდ ჩოგბურთში დაბრუნების ზუსტი თარიღი ჯერ არ ვიცი. შეიძლება ეს ამ სეზონის ბოლოს მოხდეს, ან მომავალი წლის დასაწყისში - ავსტრალიის ღია პირველობაზე. ჩემი მთავარი მიზანი კი, 2008 წლის ოლიმპიადაა. პეკინში გამოსვლის შემდეგ, დიდ ჩოგბურთს თავს დავანებებ", - ამბობს 32 წლის ჩოგბურთელი.

ველოსპორტი

ულრიხს ოლიმპიურ მედლებს ართმევენ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა - **ჟაკ როგემ** გამოაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია სპეციალურ გამოძიებას დაიწყებს. როგეს სურს გაარკვიოს - იყენებდნენ თუ არა დოპინგს **იან ულრიხი** და **ანდრეას კლოდენი** სიდნეის ოლიმპიადის დროს.

"თუ დამტკიცდება, რომ იმ თამაშებზე გერმანელმა ველომრბოლებმა აკრძალული პრეპარატი გამოიყენეს, მაშინ ულრიხსაც და კლოდენსაც ოლიმპიური მედლები ჩამოერთმევათ", - ამბობს ჟაკ როგე ჟურნალ Le Soir-თან საუბარში.

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, ულრიხმა ოქროსა და ვერცხლის მედლები მიიღო, კლოდენმა - ბრინჯაოსი.

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა